№35 (302) ● 15 ოქტომბერი, 2014 წელი ● გამოდის ოთხშაბათს ● E-mail: saertogazeti@yahoo.com ● ფასი 1 ლარი

WWW.SAERTOGAZETI.GE

საერთო გაზეთი

ირაკლი დარიბაშვილი:

უმკაცრესად დაისჯება ყველა, ვინც ჩვენი სახელმწიფოს და მოქალაქეების წინააღმდეგ რამეს დაგეგმავს

ალამიანი – პროვოკატორი

„ÓÄÀÐ ÂËÀÑÒÜÞ“ - დოკუმენტური ფილმი მიხეილ სააკაშვილზე

ორი გაზეთი ერთ გაზეთში

„მარტო ღა ყვეიგან, საქართველო, მე ვარ შენთანა...“
იელა

პატრიოტი

ირაკლი ტრიპოლსკი:

სამწუხაროდ, ჩვენ არ ვიცით, ვინ ვართ სინამდვილეში, რანი ვართ და რა შეგვიძლია...

ედიშერ ხაჰელიძე:

რომელ რეფორმებზე შეიძლება ლაპარაკი, როცა განათლების მინისტრად ჯერ სანტექტნიკი გვყავდა, მერე პროკურორი, მერე ციხეების უფროსი, ახლა კი „ბუღალტერშა“ „გვანათლებს“...

ყველაზე „ქარმავალი ბრიტანელები“

ვინ ამოთხრის ვარლამ არავიძეს?

„ოპერატიული ინფორმაციის თანახმად, მარტო შევარდნაძის მმართველობის პერიოდში (1992-2003 წლები), საქართველოში 200 მილიარდი აშშ დოლარი „გათეთრდა“.

„საბჭოთა კავშირის დაშლის პერიოდისთვის ქართველი მეანაბრეების თანხა 13 მილიარდი მანეთი იყო, მაგრამ ხელოვნურად გამოწვეული ჰიპერინფლაციის შედეგად ისინი უცებ გაკოტრდნენ“.

შევარდნაძის დანაშულებრივი საქმიანობის შემზარავი ფაქტები

საერთო გაზეთი – ვაზეთი ეოაზროვნე ეკითხველისთვის

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი მეუღლესთან ერთად სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში სვეტიცხოვლობის დღესასწაულთან დაკავშირებულ საზეიმო წირვას დაესწრო, რომელიც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ მღვდელმთავრებთან ერთად აღავლინა.

ტაძარში პრემიერთან ერთად მინისტრთა კაბინეტის წევრები იმყოფებოდნენ.

ირაკლი ღარიბაშვილი: – უმკაცრესად დაისჯება ყველა, ვინც ჩვენი სახელმწიფოს და მოქალაქეების წინააღმდეგ რამეს დაგეგმავს

უმკაცრესად დაისჯება ყველა, ვინც ჩვენი სახელმწიფოს და მოქალაქეების წინააღმდეგ რამეს დაგეგმავს, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ადამიანის მძევლად აყვანის ფაქტზე ყოფილი სოდ-ის და კუდ-ის თანამშრომლების დაკავების კომენტირებისას განაცხადა.

როგორც პრემიერმა აღნიშნა, ეს ადამიანები სოდ-იდან და კუდ-იდან ორი წლის წინ, შინაგან საქმეთა მინისტრობისას გაათავისუფლა.

„ოპერაციას პირადად შინაგან საქმეთა მინისტრი ხელმძღვანელობდა. დღეს დილით, 07:00 საათზე მინისტრმა დამირეკა და მითხრა, რომ დაკავებულები იყვნენ გამტაცებლები. მინდა, კიდევ ერთხელ შევახსენო მოსახლეობას, ვის ხელში იყო საქართველო. ასეთი კრიმინალების, გამტაცებლების, მკვლელების და ყაჩაღების ხელში იყო მთელი შინაგან საქმეთა სამინისტრო და ესენი მართავდნენ საქართველოს. გასარკვევია, ვინ დგას ამის უკან და სამინისტრო და მინისტრი ამის გარკვევაზე მუშაობენ. ეს შემთხვევითი არ არის. მე მაქვს გონივრული ეჭვი, რომ ამის უკან დგას ორგანიზებული ძალა. დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ეს არის „ნაციონალური მოძრაობის“ ხელწერა, თუმცა ამას, რა თქმა უნდა გამოძიება სჭირდება. ეს არის ის, რაზეც ალექსანდრე ჭიკაიძე საუბრობდა სულ რაღაც ერთი თვის წინ, რომ ეს არის ორგანიზებული ჯგუფი“, - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

მადლობა შსს პირად შემადგენლობას

მთავრობის მეთაურმა შინაგან საქმეთა სამინისტროს პირად შემადგენლობას მადლობა გადაუხადა მაღალპროფესიონალურ დონეზე შესრულებული ოპრეაციისთვის, რომლის შედეგად, მძევლად აყვანილი იოსებ გიორხელიძე ოჯახს ყოველგვარი ზიანის გარეშე დაუბრუნდა.

„მინდა, კიდევ ერთხელ გავაფრთხილო ის ადამიანები, ვინც დგას მათ უკან და ვის ბინძურ თავშიც იხარშება ეს სისასტიკე, რომელიც იგეგმებოდა წლების განმავლობაში, ესენი არიან ადამიანები, რომლებმაც ჩაიდინეს ხურჩის ტერაქტი, ისინი, ვინც აუპატიურებდნენ და აწამებდნენ ადამიანებს პოლიციაში, ციხეებში, იტაცებდნენ და კლავდნენ ადამიანებს. მინდა, მათ საბოლოო გაფრთხილება მივცე - გონს მოეგონ, თუ ისინი სახელმწიფოს და ჩვენი მოქალაქეების წინააღმდეგ რამეს დაგეგმავენ, უმკაცრესად დაისჯებიან. ძალიან მკაცრად დაისჯება ყველა, ვინც მსგავს პროვოკაციას და სიბინძურეს გააკეთებს“, - აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

შსს-მ ყოფილი სოდის და კუდის თანამშრომლები დააკავა

„შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის, თბილისის მთავარი სამმართველოს და გენერალური პროკურატურის თანამშრომლებმა კომპლექსური ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად ყოფილი კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ანუ კუდის თანამშრომელი – 1962 წელს დაბადებული დურმიშხან ღვაჩლიანი, ყოფილი სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის ანუ სოდის თანამშორმელი – 1977 წელს დაბადებული ჯემალ შონია, ასევე 1983 წელს დაბადებული ალექსანდრე ჭანტურია და 1978 წელს დაბადებული გიორგი ქალდანი ანგარებით, ადამიანის მძევლად ხელში ჩაგდების ფაქტზე დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულებმა დაგეგმეს და განახორციელეს რამინ გიორხელიძის შვილის, იოსებ გიორხელიძის გატაცება. 10 ოქტომბერს ჯემალ შონიამ და გიორგი ქალდანმა მოტყუებით შეაღწიეს გიორხელიძის სახლში, იარაღის მუქარით გამოიყვანეს სახლიდან იოსებ გიორხელიძე, რომელსაც ფულის გამოძალვის მიზნით თავისუფლება უკანონოდ აღუკვეთეს. გამტაცებლები იმავე დღეს დაუკავშირდნენ რამინ გიორხელიძეს და შვილის გათავისუფლების სანაცვლოდ 300 000 აშშ დოლარი მოსთხოვეს. რამინ გიორხელიძემ სამართალდამცველებს მიმართა.

სამართალდამცველებმა ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად 12 ოქტომბერს ჯემალ შონია და ალექსანდრე ჭანტურია – თბილისში, ხოლო 13 ოქტომბერს დურმიშხან ღვარჩლიანი დაბა წყნეთში და გიორგი ქალდანი სოფელ არმაზში დააკავეს. გიორგი ქალდანის პირადი ჩხრეკისას „ტე-ტე“-ს სისტემის პისტოლეტი, ვაზნები და 10 000 დოლარი ამოიღეს.

გამოძიება წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ მძევლად ხელში ჩაგდების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 144-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ვ“ ქვეპუნქტებით)“, – ნათქვამია შსს-ს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

გენდერული თანასწორობის საბჭო ქალების მიმართ ძალადობის ფაქტებზე რეაგირებას ითხოვს

საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭო ბოლო პერიოდში ქვეყანაში ჩადენილი ქალთა მკვლელობების და მათ მიმართ ძალადობის ფაქტების გამო შეშფოთებას გამოხატავს. ამის შესახებ საბჭოს მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი.

მის თანახმად, ქალებისა და გოგონების მიმართ ძალადობის პრობლემა კონკრეტული ოჯახების ფარგლებს სცილდება. ამიტომ მისი გადაჭრა საზოგადოებისა და ხელისუფლების განსაკუთრებული ზრუნვის საგანი უნდა იყოს.

„საბჭოს მიაჩნია, რომ ამ მძიმე დანაშაულთან ეფექტიანი ბრძოლის მიზნით აუცილებელია მთელი სამოქალაქო საზოგადოების, ადამიანის უფლებების დამცველი ადგილობრივი თუ საერთაშორისო ორგანიზაციების, პოლიტიკური პარტიების, ხელისუფლების, ეკლესიის, რელიგიური და ეთნიკური ჯგუფების ძალისხმევის გაერთიანება. განსაკუთრებით აღსანიშნავია საზოგადოებრივი მაუწყებლის და, ზოგადად, მასმედიის როლი ქალთა უფლებების დაცვის საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლების საქმეში. გენდერული თანასწორობის საბჭო მიმართავს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და საჯარო სკოლებს, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ ახალგაზრდობის სამოქალაქო განათლებას“, – ნათქვამია გენდერული თანასწორობის საბჭოს განცხადებაში.

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97
რეგისტ. №202375349; უაკ (udc) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი ხვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
იბეჭდება შპს „გამომცემლობა სამშობლოში“; ტელ.: 599 95 31 90
◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

ირაკლი სესიაშვილი:

ჩვენ არ დავუშვებთ, რომ რომელიმე სახელმწიფომ საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო აგრესია განახორციელოს

„საერთო გაზეთი“ პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავჯდომარეს ირაკლი სესიაშვილს ესაუბრა.

— ბატონო ირაკლი, ცნობილია, რომ საქართველოში ნატოს საწვრთნელი ბაზების მშენებლობა იგეგმება, რა შედეგს მოგვიტანს ამ ბაზების აქ არსებობა, რამდენად წაადგება ეს ჩვენს ქვეყანას, რაიმე საფრთხეს არ უნდა ველოდეთ?

—მოდით, საუბარი უელსის სამიტის შეფასებით დავიწყოთ, დავაკონკრეტოთ რა შედეგი მივიღეთ. შედეგი მივიღეთ ის, რომ ჩვენ მოგვცეს გაძლიერებული თანამშრომლობის პაკეტი (რა თქმა უნდა, შეპირება, რომ საქართველო გახდება ნატოს წევრი კვლავ ძალაში დარჩა). რა არის ეს პაკეტი?! ამ პაკეტის ფარგლებში ნატო ჩვენთან ერთად თანხმდება იმაზე, რომ საჭიროა ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერება და, რა თქმა უნდა, ამისთვის საჭიროა, ჩვენი ქვეყნის, ჩვენი, შეიარაღებული, სამხედრო ძალების ადეკვატური წვრთნა, აღჭურვა, უზრუნველყოფა და მხარადაჭერა. აი, სწორედ ამის ფარგლებში ერთ-ერთი და არა ერთადერთი კომპონენტი არის საწვრთნელი ბაზა. თავისთავად ცხადია, რომ ჩვენი სამხედროები უნდა იყვნენ კარგად გაწვრთნილები და ამ ბაზის ფარგლებში მოხდება ჩვენი სამხედროების იმ ყველა სტანდარტით გაწვრთნა, როგორიც აქვს ამერიკას, გერმანიას, ინგლისს, საფრანგეთს და ა.შ.

— ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ სად ვართ ჩვენ დღეს, რა სიტუაციაში, აი, ამას თუ ვაცნობიერებთ?

— რას გულისხმობთ? რას თუ ვაცნობიერებთ?

— მოდით, მიმოვიხედოთ გარშემო და უცებ აღმოვაჩენთ, რომ ჩვენ ვართ ალყაში. ვის ალყაში? რუსეთის. ანუ აფხაზეთსა და ცხინვალში რუსული ჯარი დგას? გავიხედოთ რაჭის მთებს ზემოთ, ვინ დგას? რუსული ჯარი. სომხეთის მხრიდან? რუსული ჯარი - გიუმრის სამხედრო ბაზა... ანუ ვყოფილვართ ალყაში თუ არა? - კი, აი, ამ რუსული ჯარის ალყის შიგნით ვაშენებთ ჩვენ ამ ბაზას?

— ჩვენი ქვეყანა იმყოფება ძალიან რთულ გეოპოლიტიკურ ვითარებაში. გარდა იმისა, რომ რუსეთს ოკუპირებული აქვს ჩვენი ტერიტორიები და იქ სამხედრო ბაზებია განთავსებული, საიდანაც პირდაპირი სამხედრო საფრთხე არსებობს, რეგიონში ძალიან რთული პროცესები მიმდინარეობს, რაც პირდაპირი მანიშნებელია იმისა, რომ ჩვენ სერიოზულად უნდა ვიფიქროთ ჩვენი თავდაცვის სისტემის გაძლიერებაზე. სწორედ ამ ფაქტორისა და ამ მოცემულობის გათვალისწინებით ნატო, როგორც მომავალ წევრს ნატოსი ცდილობს, რომ ადრეულ ეტაპზე დაიწყოს ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერება - მხარდაჭერა. თავისთავად ცხადია, რომ ჩვენი ჯარისკაცების წვრთნა არის მუდმივი პროცესი. მიუხედავად იმისა, ჩვენს ქვეყანაში იქნება თუ არა ნატოს საწვრთნელი ბაზა, ჩვენ თავისთავად ცხადია, ჩვენ ჯარისკაცებს მოვამზადებთ და ამ შემთხვევაში თუ ვინმე თვლის, რომ ამან შეიძლება გამოიწვიოს მკვეთრი რეაქცია რუსეთის მხრიდან, ამის საფუძველი არ არსებობს იმიტომ, რომ სამხედროების წვრთნას, აღჭურვასა და მომზადებას ყველა სახელმწიფო ახორციელებს, ეს მისი სუვერენული უფლებაა და ჩვენ ამას ნატოსთან ერთად გავაკეთებთ, თუ ცალკე, ნატოს გარეშე, ამას არ ექნება ზეგავლენა ზოგადად რეგიონის სტაბილურობაზე.

— და რა ხდება იმ შემთხვევაში თუ ნატოსთან ერთად ავაშენებთ ამ ბაზას, არ იქნება რუსეთის მხრიდან მკვეთრი, უარყოფითი რეაქცია?

— ჩვენ ნატოსთან ერთად 1992 წლიდან ვახორციელებთ სხვადასხვა პროექტებს. ჩვენს ქვეყანაში ნატოსთან ერთად არაერთხელ ჩატარებულა წვრთნები და ყველა ამ წვრთნებთან დაკავშირებით, დიახ, რუსეთს გამოუთქვამს და გამოუხატავს თავისი უარყოფითი, მკვეთრი რეაქცია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ უარი უნდა ვთქვათ ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებაზე, პირიქით, ეს მკვეთრი უარყოფითი რეაქციები არის სწორედ ნიშანი იმისა, რომ თუ ჩვენ ეს შეგვაშინებს და აღარ ვიზრუნებთ ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებაზე, აი, სწორედ ეს იქნება ზეგავლენის მომხდენი. ამიტომ ჩვენ უნდა გავაგრძელოთ სვლა ნატოსკენ, ჩვენ უნდა გავაგრძელოთ ჩვენი თავდაცვისუნარიანობის გაძლიერება, დიახ, ეს სარისკო საქმეა, მაგრამ თუ ამ რისკს არ გავწევთ და არ მივაღწევთ იმ დონეს, რასაც ჰქვია ნატოს წევრობა, ჩვენ მუდმივად ვიქნებით რისკების ქვეშ. ამიტომ უნდა ვიყოთ რისკების ქვეშ გარკვეული პერიოდი, რომ შემდგომ გარანტირებული გვქონდეს უსაფრთხო ცხოვრება ჩვენს ქვეყანასა და რეგიონში.

— ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებაზე, რა თქმა უნდა, უნდა ვიზრუნოთ, მაგრამ ისიც ხომ უნდა გავითვალისწინოთ, რა რისკის ქვეშ ვაყენებთ ქვეყანას?!

— რისკები არის მაღალი და ეს ის რისკებია, რომლის მიმართაც ჩვენ ყოველდღიურად ვატარებთ ადეკვატურ ღონისძიებებს, ვსაზღვრავთ პრევენციულ ღონისძიებებს და მუდმივ რეჟიმში ვაანალიზებთ არსებულ, თუ მოსალოდნელ საფრთხეებს და ეს ის რისკებია და ის დონეა, რომელთა მიმართებაშიც ჩვენ შეგვიძლია ადეკვატურად ვიმოქმედოთ.

ჩვენ ვართ სუვერენული სახელმწიფო და ჩვენ ღიად და ძალიან მკაფიოდ ვაცხადებთ, რომ არავისზე თავდასხმას არ ვაპირებთ. ჩვენ ვზრუნავთ მხოლოდ ჩვენი ქვეყნის თავდაცვაზე, თავდაცვის უზრუნველყოფაზე ჩვენი მოქალაქეების, ჩვენი ტერიტორიების დაცვაზე. ნებისმიერი სახელმწიფოს ვალდებულებაა ეს გააკეთოს. ჩვენ არავის ვებრძვით, ჩვენ არავის წინააღმდეგ არ ვართ, ჩვენ ვართ მშვიდობისთვის და სტაბილურობისთვის. ასე რომ, ეს კეთილი მიზანი არ ეწინააღმდეგება სხვების მიზანს. თუ სხვას ბოროტი განზრახვა აქვს, მაშინ ამას დავარქვათ თავის ბოროტი განზრახვა და შესაბამისად, ჩვენ კვლავაც დავრჩეთ ჩვენი ქვეყნის თავდაცვის მშვიდობიან პოლიტიკაზე. გასაგებია, რასაც მეკითხებით, მაგრამ კონკრეტულ საფრთხეებთან დაკავშირებით, მე თქვენ, უბრალოდ, ვერ გიპასუხებთ, უფრო სწორედ არ გიპასუხებთ, მაგრამ გეტყვით თქვენც და ჩვენს მოსახლეობასაც ძალიან მკაფიოდ განუმარტავთ იმას, რომ დღეს ჩვენი ქვეყნის თავდაცვისა და უსაფრთხოების სისტემა მაქსიმალურად ყოველდღიურ რეჟიმში აანალიზებს აღებულ საფრთხეებს, რისკებს, გამოწვევებს, მოსალოდნელ სცენარებს, და ყოველდღიურ რეჟიმში წინასწარ საზღვრავს თუ როგორ იმოქმედებს კონკრეტულ შემთხვევებთან დაკავშირებით. ასე რომ, სისტემა დღეს საკმაოდ კარგად ორგანიზებულია, თუმცა ჩვენს ქვეყანას გაჩნია თავისი რესურსი და შესაძლებლობები და სწორედ ამ რესურსებისა და შესაძლებლობების მაქსიმალური მობილიზებით ვცდილობთ არსებულ საფრთხეებს გავუმკლავდეთ. თუ ჩვენ გვინდა, რომ გარანტირებული გვქონდეს ეს ყველაფერი, ამისთვის უნდა ვეცადოთ და ვცდილობთ კიდევაც, რომ გავხდეთ იმ ოჯახის წევრი, რომელსაც ჰქვია ნატო, რომელიც კოლექტიურად უზრუნველყოფს უსაფრთხოებას. და სწორედ ამ მიმართულებით ჩვენ ვცდილობთ, რომ მაქსიმალურად გადავდგათ ადეკვატური ნაბიჯები, რომ ძალიან მალე დადგეს ის დრო, როდესაც ჩვენ შეგვეძლება ჩვენს მოსახლეობას ვუთხრათ, რომ დიახ, ჩვენ დღეიდან სრული გარანტია გვაქვს იმისა, რომ ჩვენი ქვეყნის თავდაცვა და უსაფრთხოება უზრუნველყოფილი იქნება.

— თუ აქამდე მივალთ კი და თუ ვერა, ისიც კი ითქვა, რომ საქართველოს უკეთეს შემთხვევაში უსიტყვო კაპიტულაცია ელის...

— არავინ აპირებს სიტუაციის დანებებას, არავინ აპირებს სიტყვა კაპიტულაციის დაშვებასა და გაფიქრებასაც კი და არავინ აპირებს სადმე დამალვას. ჩვენი ქვეყანა მაქსიმალურად ცდილობს მშვიდობიანი გზით და პოლიტიკით მოახერხოს ჩვენი ტერიტორიების დეოკუპაცია და არ დაუშვებთ იმას, რომ რომელიმე სახელმწიფომ განახორციელოს სამხედრო აგრესია საქართველოს წინააღმდეგ. თუ ეს მოხდება, ჩვენ მოგვიწევს ისევე ვიბრძოლოთ, როგორც ეს ჩვენმა წინაპრებმა შესძლეს. მათ ჩვენამდე მოიტანეს ჩვენი ქვეყანა. ასე რომ, კაპიტულაცია და მსგავსი საკითხები, ზოგადად ეს სიტყვა, სასურველია, რომ არც ახსენოთ, იმიტომ, რომ ამის გაფიქრების უფლებაც კი არ გაგვაჩნია თითოეულ ჩვენთაგანს.

— ჩვენ ისიც გვახსოვს, 2008 წელს ხელისუფლების მარალჩინოსნები გასაქცევად, რომ ემზადებოდნენ და მოსახლეობას დაუბარეს, როგორც და რითიც გინდათ იმით დაიცავით თავიო...

5 gv.

ადამიანი – პროვოკატორი

„Óäàð âëàñòüþ“ - დოკუმენტური ფილმი მიხეილ სააკაშვილზე

რუსეთი სააკაშვილს აპიარებს?

ამასწინათ ÒÂ Ö-ზე დოკუმენტური ფილმი „Óäàð âëàñòüþ“ აჩვენეს. ფილმი ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილზეა და მიხეილ სააკაშვილის ტელეინტერვიუდან ამოღებული ფრაზით იწყება, რომ საქართველოში მოხდა ჭეშმარიტად დემოკრატიული, ხავერდოვანი რევოლუცია, რომელიც მანამდე არასოდეს მომხდარა და იწყება (ფილმის დამკვეთის) სათქმელი. ფონად დადებული აჩქარებული მუსიკის ტონი, ტაქტი და ტექსტის წამკითხველის ხმა ისეა ერთმანში ჩასმული, თავს კონტროლი რომ არ გაუწიოს ადამიანმა, სუნთქვის რითმი აერევა (პირდაპირი მნიშვნელობით)

სააკაშვილის დაპირებები, ქროლვა, სამარცხვინო „კისკისები“, ნარკომომხმარებლისთვის დამახასიათებელი მოძრაობა, აქტიურად გამოხატული ეიფორია და „გაბურულ კაიფში“ ყოფნა – მოკლედ რომ ვთქვათ, სააკაშვილი ყველა ფორმით.

„ფსიქოპათი, რომელიც ვერ აკონტროლებს თავის რეაქციებს საზოგადოებაში“ – ამბობს მაქსიმ შევჩენკო; „როგორ უყვარდა საქართველოს, როგორ უარჰყო და შეძლებს თუ არა აპატიოს“ – მხარს უბამს „ხმა“; „მე ვიტყვი ერთმნიშვნელოვნად – სააკაშვილის ადგილი ციხეშია!“ – ჩართულია ქალბატონი ნინო ბურჯანაძის ინტერვიუდან ფრაზა; საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ბერნარ კუშნერთან ერთად გორში ვიზიტის დროს (2011 წ 11 აგვისტო) ჯავშანჟილეტიანი სააკაშვილის პანიკაში ჩავარდნა: – „let’s move away!“ მიტოვებული სტუმარი და გაქცეული მასპინძელი; წითელი ჰალსტუხის ღეჭვა, კისრისტეხვა თოვლში, კვლავ „კაიფში განგრეული“ სააკაშვილი...

„ხმა“ მაყურებელს ახსენებს, რომ სააკაშვილი მხოლოდ ის ბაქია, მხდალი და ფსიქოპათი ნარკომანი კი არ არის, არამედ პიროვნებაცაა, რომელსაც ბევრი რამ აქვს საამაყო, რევოლუცია – ერთი, მრავალრიცხოვანი წინასაარჩევნო გამოსვლები – მსოფლიო რეკორდი 97% ხმის მიღებით... აქვს ტალანტი, რომ 2-3 წუთში დაიპყროს მსმენელი...

ქრონოლოგიურად, ფილმში ამონარიდია 2004 წლის (იანვარი) გამოსვლიდან, სადაც სააკაშვილი ამბობს, რომ საქართველოს აღებული კურსი ევროპისკენ ძალაშია და ამავდროულად, ახალი ხელისუფლების მთავარი პრიორიტეტი არის ბევრად მჭიდრო, თბილი და მეგობრული ურთიერთობები რუსეთის ფედერაციასთან...

მივყვეთ ფილმს, რადგან იწყება უმთავრესი!

2003 წელი, 22 ნოემბერი. მიხეილ სააკაშვილის, ზურაბ ჟვანიასა და ნინო ბურჯანაძის მომხრეები პარლამენტში შევარდნენ ვარდებით ხელში და ხელისუფლებიდან გაამევეს მოქმედი პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე. მთავარი გმირი იყო მიხეილ სააკაშვილი, ახალგაზრდა, რომელიც ძლიერ ლიდერად მოჩანდა. (სააკაშვილის უკბილო ჩანართების ხილვა და მოსმენა მსურველს თვითონ შეუძლია; ასევე, ვინ ჩამოიყვანა სააკაშვილი საქართველოში და რა გზა გაიარა; ვინ რას ამბობს ამ პერიოდზე) საინტერეა ედუარდ შევარდნაძის სიტყვები 2003 წლის ნოემბერის რევოლუციამდე რამდენიმე დღით ადრე: – „მას (სააკაშვილს) ჰგონია, რომ ყველას ციხეში ამოალპობს, დაწყებული პრეზიდენტიდან, დამთავრებული მისი ქვეშევრდომებით; მას ჰგონია, რომ ამით დააშინებს მთელ საქართველოს – მე ვფიქრობ, რომ ეს პიროვნების ძალიან სახიფათო გამოვლინებაა...“

ერთმანეთს ეწყობა კადრები და „ხმა“ პარალელურად ახსენებს მაყურებელს როგორი სიხარულითა და აღფრთოვანებით მიიღო დასავლეთმა სააკაშვილი, რადგან ის „მათიანი“ იყო; რომ მსოფლიოს ყველა მაღალი რანგის ლიდერი ცდილობდა მისი „რჩეულობის აღმოჩენა“ მიეთვისებინა...

საინტერესოა „დემოკრატიის პრობლემების კვლევის ცენტრის ფონდის“ დირექტორის, მაქსიმ გრიგორიევის კომენტარი: – „მუშაობდნენ მთელი რიგი ჯგუფები, სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლები, აშშ-ის ხელისუფლება, ცხადია, რაღაც სპეციალური სტრუქტურები და ძალზე ძლიერი ლობისტური კანტორები, რომლებიც მილიონობით დოლარის საზღაურად წინ მიაჩოჩებდნენ როგორც უცხოეთში, ისე საკუთრივ საქართველოში“.

დგება სანდრას, „ახალი საქართველოს ჰოლანდიური ვარდის“ გამოჩენის დროც – მისი მეგრული სიმღერა, ენების ცოდნა; რომ დიასახლისობას აქტიური ცხოვრება ამჯობინა, ნიდერლანდების საკონსულოში მუშაობდა და „წითელ ჯვარში“ საქმიანობდა; რომ იგი თავმდაბალი და მოკრძალებულია, რაც სამოსზეც აისახება; კარგი დედა და მეუღლე, რომლისთვისაც უმთავრესია ოჯახი და მეუღლის კარიერა; რომ ჰილარი ქლინტონის მსგავსად ერთი კი არა, მეუღლის სექსუალური სკანდალების მთელი რიგი სერიალების გადატანა მოუხდა – ამგვარი ჭუჭყის რაოდენობით კიდევ ერთი მსოფლიო რეკორდი აქვს დამყარებული მიხელ სააკაშვილს. (სააკაშვილის სექსუალური გამოვლინებების შესახებ, რუსული, თუნდაც დოკუმენტური ფილმი, ახალს ვერაფერს გვეტყვის ქართველებს, აღვნიშნოთ და ჩავუაროთ, მხოლოდ იმ „ფავორიტკებს“ დავდოთ ჩვენც პატივი, ვინც ფილმში მოხვდნენ: ალანა გაგლოევა, ნინო კალანდაძე, ხათუნა კალმახელიძე, ნინა წკრიალაშვილი, ვერა ქობალია. (დანარჩენებმა, ვინც ფილმში ვერ მოხვდა, მათ თვითონ არკვიონ, რატომ და რა დაუწუნა ერთის მხრივ მიშიკომ, რომ თანამდებობებზე არ დანიშნა და მეორეს მხრივ, ფილმის დამკვეთებმა რატომ არ დასდეს „პატივი“)

ფილმში 2006 წელი დგება, როცა სააკაშვილი აცხადებს, რომ საკმარისია იმაზე ფიქრი დღედაღამ, რას ფიქრობს რუსეთი ჩვენზე, რას იტყვის, რას როგორ მიიღებს – ანუ ანტირუსული პოზიციის ღიად დაფიქსირება, რაც იმავე ნინო ბურჯანაძის შეფასებით: – „ცუდი იყო ქვეყნისთვის, მაგრამ კარგი იყო სააკაშვილისთვის, რადგან ამ აღებული კურსით შეეძლო ხელისუფლების შენარჩუნება“...

ადამიანი-პროვოკატორი; ადამიანი, რომელიც ტაბლეტების მიღების გარეშე არაადექვატურია; ადამიანი-მაჩო; ადამიანი-მეოჯახე; ადამიანი-გულჩვილი და ბოლოს

სააკაშვილი კოკაინისა და ალკოჰოლის „კოქტეილით“ გათანგული პატრიარქის სავარძლეში...

სააკაშვილის ბიოგრაფია, ანუ რა კვალი დატოვა ბავშვობამ მის სულზე, გულზე თუ ფსიქიკაზე, კონკრეტული განხრის სპეციალისტების საქმეა, ამდენად გვერდი ავუაროთ, თუმცა რადგან ზედ ებმის ბიძა, თემურ ალასანია, დიპლომატი, რომელიც გაერო-ში მსახურობდა, ჩვენც ვახსენოთ.

ფილმი უცბად ხტება კიევის 2013 წლის დეკემბერზე – სააკაშვილი მაიდანზე, სადაც რატომღაც იუშენკოს გახსენება ხდება, როგორც პოლიტბიოგრაფიულად მსგავსისა მსგავსთან და ისევ დროში უკან გადახტომა, 2005 წელში და ზურაბ ჟვანიას საეჭვო გარდაცვალებასთან დაუსაბუთებელი ბრალდებით – ჟვანიას მოკლვა სააკაშვილის ინტერესებში იყო!

ამას მოსდევს სააკაშვილის დიდი წვლილი ქვეყნის აღმშენებლობაში, კორუფციის დამარცხებაში, პენსიების გაზრდა, განათლების სისტემის ყველასთვის ხელმისაწვდომობა...

ფილმი გრძელდება რეალობის ამსახველი კადრებითა და კომენტარებით, რომლის დროსაც ირკვევამ რომ თურმე სოფლის მეურნეობა და ქვეყნის ეკონომიკა სავალალო მდგომარეობაში იყო, მაგრამ სააკაშვილი გამუდმებით ცრუობდა ციფრებით; რომ ქვეყანაში ფრთა შეისხა მაბეზღარობამ და პოლიციელების თავაშვებულობამ. საქართველომ მსოფლიოში პირველი ადგილი დაიკავა ერთ სულ მოსახლეზე პატიმრების რაოდენობით; ისმინებოდა და ხდებოდა საუბრების ფარული ჩაწერები და ფარული გადაღებები; რომ ეს იყო აბსოლუტური ლიბერალური ფაშიზმი...

დღეს სააკაშვილი ამბობს, რომ ტალღამ წააქცია, მაგრამ არ ჩაძირულა – უცნაურია ამ სიტყვების მოსმენა ადამიანისგან, რომლის წინააღმდეგ აღძრულია რამდენიმე სისხლის სამართლის საქმე და სასამართლოს შეუძლია გაამწესოს გისოსებსმიღმა.

კიდევ ერთხელ გადავხედოთ ფილმს და ვიკითხოთ, რა დანიშნულებისაა, ვისთვისაა გადაღებული, სააკაშვილი ქართველი აუდიტორიისთვის, რომელმაც ბევრად მეტი იცის ვიდრე ფილმია? – არა! რუსი აუდიტორიისთვის, რო-

←

მელსაც სრულებით არ აინტერესებს რაღაც ნელ-თბილი დოკუმენტური ფილმი „ჩორნაჟოპი გრუზინების“ ასევე „ჩორნაჟოპი“ ყოფილ პრეზიდენტზე, „ტემ ბოლეე“ ფსიქოპათზე? – არა! აბა, ნაურუს, ახალი ზელანდიის, აფრიკის ა.შ. აუდიტორიისთვის? – არა!

აბა, ვინ არის ის, ვისაც გულზე მოხვდება ეს ფილმი? – აშშ და ე.წ ევროპული ღირებულებების მატარებელი სამყარო. ბუნებრივია დაისმება კითხვა, რატომ მათთვის? პასუხი უმარტივესია, თუმცა ფილმმა თქვას (ფილმს მივყვეთ):

ვინ შექმნა ყველა ის წინაპირობა რომ საქართველოში (საბჭოთა კავშირის დაშლა და გამსახურდიას ხელისუფლების დამხობა იქით იყოს) სახელმწიფო გადატრიალება მომხდარიყო? – ე.წ დასავლეთმა. („ე.წ დასავლეთში“ იგულისხმება როგორც აშშ, ისე გარკვეული ევროკავშირები, ჯგუფები, თუ გაერთიანებები)

ვინ ედგა კონკრეტულად სააკაშვილს საქართველოში კიდევ ერთი გადატრიალების მოსაწყობად? – ე. წ დასავლეთი.

ვინ ხუჭავდა თვალს ყველა იმ საშინელებაზე (ქუჩებში ხალხის დახოცვა, ციხეებში ადამიანების წამება, დასახჩრება, გაუპატიურება, მოკვლა; სახელმწიფო რეკეტი და ა.შ) რაც საქართველოში აბსოლუტურად ღიად ხდებოდა, რითიც ფაქტობრივად, პირიქით, აქეზებდა? – ე.წ დასავლეთი.

ვინ ხუჭავდა თვალს (ფაქტობრივად, „უპრავებდა“) ცხრა წლის განმავლობაში სააკაშვილის ხელისუფლების მიერ გაყალბებული არჩევნების შედეგებზე? – ე.წ დასავლეთი.

ვინ დახუჭა თვალი სააკაშვილის მიერ პარლამენტში გამოცხადებულ „ნულოვან ტოლერანტობასა და ყველანი ციხეში!“ მოწოდება-გეგმაზე? – ე.წ დასავლეთმა.

ვინ იყო, ვინც „დემოკრატიის შუქურად“ „დანიშნა“ მიხეილ სააკაშვილი? – ე.წ დასავლეთი.

ვინ იყო, ვინც თვალს ხუჭავდა სააკაშვილის ყველა იმ პიროვნულ გადაგვარებაზე, რომელიც ფილმშია (ფსიქოპათია, ნარკომანია, გარყვნილება)? – ე.წ დასავლეთი.

ვინ იყვნენ ის ადამიანები, რომლებიც ერთმანეთს ასწრებდნენ ტრიბუნასთან სააკაშვილის გვერდზე დადგომას? – ე.წ დასავლელი ლიდერები.

ვინ იყო (ქვეყნები და მათი ლიდერები), ვინც ძალიან კარგად იცოდა, რომ მათ მიერ საქართველოს დასახმარებლად გამოყოფილი მილიონები საქართველოსა და ქართველ ხალხს კი არ ხმარდებოდა, კონკრეტული პირის ანგარიშზე მიდიოდა? – ე.წ დასავლეთი.

ვინ ხელში იყო ექსპერტიზის დასკვნა და ვინ დადუმდა საქართველოს პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას გარდაცვალებაზე აბსოლუტურად გაუგონარი დუმილით? – ე.წ დასავლეთი.

ვინ იცოდა, რომ სააკაშვილი ცრუობდა, საქართველოს ეკონომიკა ნულზე იყო, ხალხი სულს ძლივს იბრუნებდა და დუმდა? – ე.წ დასავლეთი.

ვინ დუმდა, როცა მაქსიმალურად ირღვეოდა საქართველოში ადამიანის ყველანაირი უფლება, პრესის, სიტყვის გამოხატვის, ჟურნალისტური და ა.შ? – ე.წ დასავლეთი.

კიდევ უამრავი კითხვაა, მაგრამ ფილმიდან გამომდინარე სხვა კითხვებიც ჩნდება, მაგალითად, რატომ გაკვრით მაინც არ არის ნახსენები იარაღით უკანონო ვაჭრობის (ხმების მიხედვით თემურ ალასანიას ინტერესის სფერო) შესახებ არაფერი, რის შესახებაც ერთ დროს თვით რუსეთი ყვიროდა, ან ნარკოტრანზიტ-ტრეფიკის შესახებ და

კიდევ ბევრი რამის შესახებ, თუნდაც, რატომ ერთ სიტყვად მაინც არ ახსენეს პრიმაკოვი?

თქმა იციან ხოლმე, ორი რუსეთი არსებობსო – ორი კი არა, ბარე ორმოცდაორი რუსეთია, ისევე, როგორც საქართველო, ჰოდა, ახლა, მოდი და ეძიე თივის ზვინში ნემსი – ვისი დაკვეთით გადაიღეს ეს 40-წუთიანი დოკუმენტური ფილმი სააკაშვილზე, რომელიც აგებულებით სასწაულად ჰგავს ერთ პირზე ფოკუსირებული მსგავსი ხასიათის ქართულ „დოკუმენტურ ფილმებს“.

ეჭვიანობა არ უნდა ამას, ელემენტარული ლოგიკაა, ამ ფილმ-მესიჯით გამოღმიდან გაღმა დაუძახეს: – ეი, თქვენ, მართალია, ეს კაცი (მიხეილ სააკაშვილი) „სუკინ სინია,“ მაგრამ ჩვენი „სუკინ სინია“ და მიხედეთ, თორემ ამას „ყველანი სახლში რომ არ ჰყავს“ ხომ იციოთ...

გარდა ამისა, როგორც ვთქვით, ფილმში გამოკვეთილადაა ნათქვამი, რომ ქართველები მოითხოვდნენ საქართველო განთავისუფლებულიყო „უფროსი ძმა აშშ-ისგან“ და რა თქმა უნდა, თვით სააკაშვილისგანო – ანუ, სააკაშვილი გაიგივებულია

აშშ-სთან, არ იქნება მიშა, აშშ დაკარგავს კოლონია-საქართველოს, რომელიც გარშემორტყმული მეზობლებიდან ერთმორწმუნე რუსეთს ამჯობინებს, მითუმეტეს იმ ფონზე, როდესაც რუსეთმა ღიად მოუწოდა აფხაზებსა და ოსებს დაფიქრებისკენ რომ მათთვის უმჯობესი საქართველოსთან ინტეგრირება; იქით – კინოფონდის უმნიშვნელოვანესი არქივი გადმოსცა; აქეთ – მოსკოვის მერიამ მოსკოვში მდებარე ქართული ეკლესია საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას გადმოსცა...

სააკაშვილზე ვიღაცები ამბობენ, „ორმაგი აგენტიაო“ – ორმაგი კი არა, ერთმაგიც არ არის, ერთი ბაქია, მშიშარა კურდღელია, რომელსაც პროკურორმა კი არა, პატრულის ეკიპაჟმა მოქმედი ციმციმათი რომ ჩაუაროს ნელი სვლით, მონოლოგად მოყვება რას რატომ აკეთებდა, ვისი დავალებით, ვისი წაქეზებით და ვისთან ერთად, აი, რატომ არ აწყობს ბევრ ვინმეს მისი დაჭერა.

ნოდარ დუმბაძეს აქვს „თეთრ ბაირაღებში“: – ექსპროპრირებული მიძახე, ორ-სამ დღეში რომ დამიძახებენ: მოშიაშვილი, ს ვეშჩამიი!

– რატომ, კაცო, რატომ შენ დაგიძახებენ და მე არა? შენზე ნაკლები ქურდი ვარ, შენზე ნაკლები გამფლანგველი, შენზე ნაკლები ცოლ-შვილი მყავს, შენზე ნაკლებად მინდა სუფთა ჰაერზე გასვლა თუ რა? რითი მჯობიხარ?

– იმით გჯობივარ, ჩემო შოშია, რომ მე ფიზიკურად ძალიან სუსტი და ნაზი ვარ, ჩემი ორგანიზმი ვერ გაუძლებს ციხეში დიდხანს ჯდომას. კიდევ ერთი-ორი დაკითხვადა შეიძლება, ძალიან ბევრი ხალხი დავღუპო, იმიტომ, რომ ძალიან ბევრი სეკრეტები ვიცი.

– მე, შენზე ნაკლები საიდუმლო ვიცი?

– არა, შოშიას დავენაცვლე, ცოტა საიდუმლო როგორ იცი, პირიქით, რაც იცი, ისიც არ უნდა გცოდნოდა, იმიტომ, რომ შენ რაც იცოდი, უკვე ყველაფერი თქვი, მე კი ჯერ არაფერი მითქვამს და ვიდრე ვიტყოდე, ებრაელები ჩემ წონა ოქროს იშოვიან, სულ მალე გაიღებს ზედამხედველი კარებს და რუსულად დამიძახებს: მოშიაშვილი, ს ვეშჩამი!“

მე არ დავღლილვარ, მაგრამ ხალხი დაიღალა ჩემგან და დასვენება უნდაო; მივდივარ, მაგრამ მაქსიმუმ ერთ წელში დავბრუნდებიო; ტალღამ წამაქცია, მაგრამ ვერ ჩამძირაო – თქვა სააკაშვილმა ამაყად.

საინტერესოა, იმაზე თუ უფიქრია სააკაშვილს, რომ შესაძლოა იმ ბალასტად იქცეს, რომელიც გემის მთელი ეკიპაჟის გადასარჩენად ოკეანის ფსკერზე უნდა აღმოჩნდეს...

„საერთო გაზეთი“

ჩვენ არ დავუშვებთ, რომ რომელიმე სახელმწიფომ საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო აგრესია განახორციელოს

← 3 gv.

– რას ლაპარაკობთ, ახლა თქვენ, ფაქტობრივად, პირდაპირ მესიჯს აგზავნით ყველა მიმართულებით, რომ ჩვენი ნატოში ინტეგრაცია პირდაპირპროპორციულია რუსეთის აგრესიასთან. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ჩვენი დღევანდელი გარკვეული კონტროლირებადი რისკების ფარგლებში უნდა მივაღწიოთ იმას, რომ გავხდეთ ნატოს წევრები, მოვექცეთ კოლექტიური უსაფრთხოების სისტემაში, რათა დიდი ხნით უზრუნველყოთ ჩვენი თავდაცვა.

– მე მესიჯს კი არ ვგზავნი, არამედ ვსვამ ყველა იმ კითხვას, რომელიც საზოგადოებაში არსებობს, მეტიც, საზოგადოებას აწუხებს... აქვე გკითხავთ, რატომ არ იძიებს ხელისუფლება და შესაბამისი ორგანოები იმ მოვლენებსა და გარემოებებს, რაც 2008 წელს უძღვოდა წინ? ბათიაშვილის განცხადებით, სააკაშვილმა დაიწყო საომარი მოქმედებები რაღაც გარიგების ფასად, ასე წერია ტალიავინის დასკვნაშიც. უნდა გასამართლდეს თუ არა სააკაშვილი ქვეყნის მოღალატის მუხლით და სანაკოევი რატომ არის კვლავ პრეზიდენტი?

– პირველ რიგში მინდა განვაცხადო, რომ სამწუხაროდ, წინა ხელისუფლების მემკვიდრეობიდან ძალიან ბევრი რთული საკითხი დაგვხვდა დღის წესრიგში. მათ შორის, იცით, რომ ჰააგის სასამართლო თავად არის უკვე ჩართული ამ ომის საგამოძიებო საკითხებში და ჩვენ ვალდებულება გვაქვს, რომ ეს საქმეები გამოვიძიოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში ჰააგის სასამართლო თავად გამოიძიებს ამ საქმეებს. ამიტომ თავისთავად ეს მძიმე მემკვიდრეობით მიღებული მოცემულობა ჩვენთვის ძალიან რთულ სურათს იძლევა, თუმცა პროკურატურა მუშაობს. სააკაშვილის ხელისუფლების დროს კი, ეს პროცესი შეჩერებული იყო. ჩვენ, როგორც სახელმწიფოს გვაქვს ვალდებულება, რომ ეს საქმეები გამოვიძიოთ, გამოძიება მიმდინარეობს. აქ საუბარია არა იმაზე, ვინ რა დაიწყო და რა პოლიტიკური განცხადებები თუ მოქმედებები განახორციელა, საუბარი არის კონკრეტულ დანაშაულებზე, რომელიც განსაზღვრულია საერთაშორისო სისხლის სამართლის მიხედვით. რაც შეეხება ტალიავინის დასკვნას, ტალიავინის დასკვნაში ასე არ წერია პირდაპირ, საერთოდაც, მე ამ თემის პოლიტიზირებას არ ვაგრძელებ, იმდენად, რამდენადაც დღეს და ყოველთვის ასე უნდა იყოს. ნებისმიერი ხელისუფალის ამოცანა და ინტერესი ქვეყნის ინტერესების დაცვა უნდა იყოს. შესაბამისად დღეს ჩვენ ვცდილობთ მაქსიმალურად გამოვიყენოთ ჩვენი რესურსი და შესაძლებლობები იმისთვის, რომ ჩვენი ქვეყნის ინტერესები დავიცვათ, ხოლო რაც შეეხება ამ მიმართულებით გამოძიებას, ის გრძელდება და პროკურატურა როცა ამის დრო მოვა, თავისთავად ცხადია, თავის დასკვნას დადებს. სანაკოევის პოსტს რაც შეეხება, ეს ერთ-ერთი ის მოცემულობაა, რომელთან დაკავშირებითაც ჩვენ გვჭირდება სწორად აწონ-დაწონვა, იმიტომ, რომ თქვენ იცით, სანაკოევი ამავე დროს არის ჟენევის მოლაპარაკებებში ერთ-ერთი წევრი, ამიტომ ჩვენმა მოსახლეობამ უნდა იცოდეს, რომ ეს პოსტი ჩვენ მოგვწონს თუ არ მოგვწონს აქ ჩვენ ის მოცემულობაც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ჩვენ სანაკოევის სახით წარმომადგენელი გვყავს ამ ჟენევის მოლაპარაკებებში.

– რაც ალბათ შეცდომა იყო, ბატონო ირაკლი?

– იცით, რა იყო შეცდომა და რა იყო სწორი, ამას ალბათ, ისტორია გასცემს პასუხს. ჩვენი ვალდებულებაა, რომ ამ მოცემულობაში, პირველ რიგში, სახელმწიფო ინტერესებიდან გამოვიდეთ.

ქეთი ხომერიკი
592 53 53 03

ვინ ამოთხრის ვარლამ არავიძეს?

როგორ გაძარცვა და გაანადგურა საქართველო შევარდნაძემ და მისმა კლანმა?


დავით გაგნიძე

ვაგრძელებთ ინტერვიუების ციკლს პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკ დავით გაგნიძესთან. როგორც წინა ინტერვიუში აღვნიშნეთ, ჩვენი რესპოდენტი ეკონომისტია, კომუნისტების პერიოდიდან მუშაობდა სამართალდამცავ სტრუქტურებში, ამიტომაც კარგად არის ინფორმირებული თუ როგორ ხდებოდა ჩვენი მოსახლეობის გაღატაკება ხელისუფლებაში მოკალათებულ პერსონათა და მათთან დაახლოებული ბანკირთა თუ ბიზნესმენთა მხრიდან.

დავით გაგნიძე: „1993 წლის დასაწყისში საქართველოში ხუთი მსხვილი სახელმწიფო კომერციული ბანკი მოქმედებდა, ესენია: **„საქბინსოცბანკი“, „აგრობანკი“, „ექსიმბანკი“, „ინდუსტრიაბანკი“ და „ახალი ქართული ბანკი“** (იგივე „შემნახველი ბანკი“), ისინი ქვეყანაში არსებული საბანკო აქტივების დაახლოებით 80%-ს ფლობდნენ. **ედუარდ შევარდნაძე საქართველოში დაბრუნების შემდეგ ნელ-ნელა იმყარებდა ხელისუფლებას, რისთვისაც ბუნებრივია, საბანკო რევოლუცია სჭირდებოდა. სწორედ ამიტომ მან 1994 წლის 13 იანვარს საბანკო „გადატრიალება“ მოაწყო, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ მან ფინანსურ „მწვერვალზე“ მხოლოდ ერთი ადამიანი, მისი უახლოესი ნათესავი ვლადიმერ პატეიშვილი დატოვა.** ამ უკანასკნელმა უბრალოდ ადგილი შეიცვალა, „შემნახველი“ ბანკის ნაცვლად „საქბინსოცბანკის“ ხელმძღვანელად დაინიშნა. მოგვიანებით პატეიშვილმა გეგენავა-სილაგაძესთან ერთად ძალზე საეჭვო ფინანსებით „საქართველოს ბანკი“ დააარსა. **სილაგაძე** მეცნიერი, ცნობილი პიროვნება გახლდათ, სამწუხაროდ მისი სახელი აღარ მახსოვს, ის იყო ასე ვთქვათ, ტვინი ამ სამეულში. პატეიშვილი ხელისუფლებას წარმოადგენდა, მესამე წევრი არჩილ გეგენავა გახლავთ, შემდგომში ნაციონალებთან ფრიად დაახლოებული და მთაწმინდის მაჟორიტარი დეპუტატი. იმ პერიოდში **არჩილ გეგენავა** ბევრს არაფერს წარმოადგენდა, რამდენადაც ვიცი ვერის საძმოს წევრი იყო, ხოლო მისი ძმა „შავი სამყაროს“ წარმომადგენელი. საიდან მოდიოდა ის ფინანსები, რომლის ადრესატიც ეს „სამეული“ გახლდათ, დაზუსტებით ვერ გეტყვით.

იმ პერიოდში ჯერ კიდევ სახელმწიფო მეთაურის სტატუსში მყოფი შევარდნაძე, ოფიციალური ვიზიტით თურქეთში გაემგზავრა, ხოლო ვიცე-პრემიერმა **ავთანდილ მარგიანმა** ჩუმად გამართა სამთავრობო სხდომა, საიდუმლოდ დაიწერა დადგენილების პროექტი და ბატონმა მარგიანმა ახალი ბანკირები დანიშნა, რომელთაც არ ჰქონდათ არც ეროვნული ბანკის პრეზიდენტის თანხმობა და არც საბანკო სფეროში ხანგრძლივი მუშაობის გამოცდილება. ეს განსაკუთრებით **ვანო ჩხარტიშვილსა** და **ანდრო დევდარიანს** ეხებოდათ. სამაგიეროდ, ხუთივე ახალდანიშნულს კომკავშირულ-პარტიული გამოცდილება და რაც მთავარია შევარდნაძისადმი ერთგულების მაღალი ხარისხი აერთიანებდათ. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ **ანდრო დევდარიანს** საბანკო სფეროში საერთოდ არ ჰქონდა არანაირი გამოცდილება, გარდა იმისა, რომ **დემურ დვალიშვილის** პრეზიდენტობის დროს, ეროვნული ბანკიდან უამრავი კრედიტი ჰქონდა გატანილი.

ვანო ჩხარტიშვილი

ზაზა სიორიძე

შევარდნაძის დანაშულებრივი საქმიანობის შემზარავი ფაქტები

სახელმწიფო ობიექტების პრივატიზაციის დაწყებისთანავე ნათლად გამოჩნდა, რომ ამ ობიექტების დიდ ნაწილს მათი ხელმძღვანელები შეისყიდდნენ. ბუნებრივია, ეს კარგად ჰქონდა გაცნობიერებული სახელმწიფოს მეთაურსაც, რომელმაც ახალი ბანკირების დანიშვნით, ფაქტობრივად წინასწარ განსაზღვრა ვინ იქნებოდა მოგებული ბანკების პრივატიზაციის დროს. ხუთი თვის შემდეგ, „ექსიმბანკის“ მმართველად ამირან ხეცურიანის ნაცვლად, სახელმწიფოს მეთაურის მრჩეველი ეკონომიკურ საკითხებში **ზაზა სიორიძე** დანიშნეს. ზაზა სიორიძეს კომკავშირული წარსულის გარდა, გერმანიაში დაცული ხარისხიც გამოადგა, ხოლო ანდრო დევდარიანს, თავისი მეუღლის მაია კვეზერელის ნანული შევარდნაძესთან მეგობრობა. როგორც აღვნიშნეთ, საბანკო ბაზარზე ხუთ ბანკს ჰქონდა მონოპოლია, მათი ხელმძღვანელები გარდა იმისა, რომ მეგობრები იყვნენ, ერთმანეთის ბანკებში ქონებრივი ინტერესიც ჰქონდათ, მეწილეები იყვნენ, სწორედ ამიტომ მათ თავისუფლად დაიწყეს არა მარტო კურსებით თამაში, არამედ ნებისმიერი ფასიანი ქაღალდის ფასის განსაზღვრაც ისეთ პატარა ბაზარზე, როგორიც საქართველო იყო.

- ბატონო დავით, მოდით უშუალოდ ბანკების პრივატიზაციის თემაზე ვისაუბროთ.

- ბანკების პრივატიზაციის პროცესი 1994 წლიდან იწყება, შევარდნაძემაც არ დააყოვნა ზემოხსენებული პერსონების „დასაჩუქრება“ დაიწყო. კერძოდ, **„ექსიმბანკის“** ერთი მილიონი აშშ დოლარი, რომელიც მეანაბრეებს ჰქონდათ შეტანილი, სახელმწიფომ შიდა ვალად აღიარა, იგივე ბედი ეწია „შემნახველ ბანკში“ მეანაბრეების მიერ შეტანილ ფულსაც. კომუნისტების მმართველობისას ქართველ მეანაბრეებს 13 მილიარდი მანეთი ჰქონდათ ბანკებში. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კი მანეთის გაუფასურება, ფაქტობრივად ყოველ წუთს ხდებოდა. როგორც წინა ინტერვიუში გითხარით, მანეთის გაუფასურების ინიციატივა რუსეთიდან მოდიოდა, კომუნისტური პარტიისა და სუკის „ელიტის“ მიზანი იყო, რაც შეიძლება მეტი ეკონომიკური დარტყმა მიეყენებინათ ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკებისთვის. **საბჭოთა კავშირის დაშლის პერიოდისთვის ქართველი მეანაბრეების თანხა 13 მილიარდი მანეთი იყო, მაგრამ ხელოვნურად გამოწვეული ჰიპერინფლაციის შედეგად ისინი უცებ გაკოტრდნენ** და ფაქტობრივად, ბედის ანაბარა დარჩნენ. ამას მასობრივი საკრედიტო ემისიაც დაერთო, რომელიც ბოლო თვეებში საერთოდ გამოვიდა კონტროლიდან. მაგალითად, მარტო 1992 წლის დეკემბერში საქართველოს საწარმოებისთვის ახალი კრედიტის სახით გაცემულმა თანხამ 30-40 მილიარდ რუბლს მიაღწია, ეს მაშინ, როცა იმავე წლის ნოემბრის დამლევს დაუფარავი კრედიტების თანხამ 100 მილიარდ რუბლზე მეტი შეადგინა. საწარმოთა ხელმძღვანელობას გამოჰქონდა კრედიტები და მაშინვე მყარ ვალუტას ყიდულობდნენ, არავის აინტერესებდა რაიმე ეკონომიკური საქმიანობის წამოწყება, როგორც ამბობენ ამ კრედიტების მხოლოდ 7-8% თუ წავიდა დანიშნულებისამებრ. 1994 **წელს ეროვნული ბანკის ყოფილმა პრეზიდენტმა დემურ დვალიშვილმა შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობაში თავი მოიკლა**. იგი ხსენებულ თანამდებობას 1992 წლის ნოემბრიდან 1993 წლის ოქტომბრამდე იკავებდა. 1993 წლის 1 აპრილამდე საქართველო სამანეთო ზონაში შედიოდა, ამიტომაც დვალიშვილს ფულის ემისიის უფლება არ ჰქონდა. ეს ყველაფერი ჩვენი სურვილის მიუხედავად რუსეთის ხელისუფლებაზე დამოკიდებულს გვხდიდა, რადგან იგი ამ ფაქტს პოლიტიკურ-ეკონომიკური ზეწოლის იარაღად იყენებდა.

1993 წლის 3 აპრილიდან ეროვნული კუპონი შევიდა ბრუნვაში, რომელსაც სრულფასოვანი ეროვნული ვალუტის შემოღებამდე, მთელი დატვირთვა დააწვა. კუპონის შემოღების შემდეგ, ქვეყანაში არსებულ

ისედაც მძიმე მდგომარეობას, გაუმართლებელი ფულად-საკრედიტო მდგომარეობა დაერთო, რამაც კუპონის კატასტროფული დევალვაცია გამოიწვია. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ კუპონიც საფრანგეთში დაიბეჭდა, თვითმფრინავი, რომელმაც კუპონების პარტია ჩამოიტანა საფრანგეთიდან გამთენიისას ჩამოფრინდა, დილას დაახლოებით 8-9 საათზე კი უკვე იყიდებოდა ეს ფული მეტროებთან, ცხადია, ბანკებიდან მოხვდა ე.წ. შავ ბაზარზე. კუპონის დევალვაციის პროცესს ეროვნული ბანკი წინ ვერ აღუდგებოდა, უძლური იყო, რადგან სავალუტო მარაგი არ გააჩნდა. 1992 წლის აგვისტოში საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი, რომლის თანახმადაც, თუ ვთქვათ, ბანკში შეტანილი გქონდათ 10.000 რუბლი, 15.000 რუბლი გახდებოდა, მალე მეორე კანონიც მიიღეს, ყოველი შეტანილი რუბლი ორმაგდებოდა. იმ პერიოდში სწორედ ამიტომ შეჰქონდა ხალხს მასიურად ბანკებში ფული, რაც შემდგომ ისევ ინფლაციამ შეჭამა. იმდროინდელი კურსით საქართველოს მოსახლეობას რვა მილიარდი აშშ დოლარი ჰქონდა შეტანილი, ბოლო ინფორმაციით 1,6 მილიონი დოლარიღა დარჩა, თუმცა ეს ფულიც შევარდნაძის ხსენებულმა „კომკავშირლებმა“ მიითვისეს. ხალხს „კავკასიის ბირჟაზე“ ტომრებით მიჰქონდა კუპონები და რუსულ რუბლზე ცვლიდა, ბუნებრივია, ამ ყველაფრიდან გამომდინარე ბანკები ფულში „იხრჩობოდნენ“, საქართველოს მოსახლეობა კი „იმედიანად“ შეჰყურებდა მომავალს. **მხოლოდ ერთ დღეს ქართულმა „გამა-ბანკმა“ ათი მილიარდი რუბლი გააკეთა. ესეც არნახული „აფიორა“ იყო.** „კავკასიის ბირჟის“ პრეზიდენტი ამირან ქადაგიშვილი და მისი ვაჟი არჩილ ქადაგიშვილი საქართველოს უშიშროების სამინისტრომ 2004 წლის 19 ივლისს დაკავა, თუმცა არავინ იცის რატომ დააკავეს ან რა მოყვა შედეგად. ეს იყო გასაიდუმლოებული ოპერაცია ასევე საიდუმლო შედეგით. 90-იანი წლების ეს „პერიპეტიები“ ძალიან წააგავდა1918 წლის მოვლენებს, როდესაც საბჭოთა რუსეთს ვაგონებით შემოჰქონდა საქართველოში რუსული მანეთი და ქართულ ფულად მაჩვენებელს „ბონს“ ყიდულობდა, რათა შეგნებულად გამოეწვია ამ უკანასკნელის ჰიპერინფლაცია. საქართველოს მაშინდელი მთავრობა გამოუვალ მდგომარეობაში ჩააგდო ამ პროცესმა, თუმცა მიუხედავად ამისა, ქართულ ბონს ათჯერ მეტი მსყიდველობითი უნარი გააჩნდა ვიდრე რუსულ მანეთს.

დემურ დვალიშვილი

ამირან ქადაგიშვილი

- იმ პერიოდის საქართველოში სოკოებივით მრავლდებოდნენ კერძო ბანკები თუ საინვესტიციო ორგანიზაციები, რომლებიც „ფანტასტიკურ“ სარგებელს სთავაზობდნენ მეანაბრეებს, თუმცა მოკლე ხანში თავს გაკოტრებულად აცხადებდნენ და ხალხის ფულიანად უკვალოდ ქრებოდნენ. თქვენი აზრით, რა მოვლენასთან გვქონდა საქმე?

- კერძო ბანკების „კაპიტალინვესტის“, „ოქროს საწმისის“ და სხვათა გაკოტრების თემას როცა შევეხებით, ერთად ერთი კითხვა დავსვათ, რატომ მოკლეს ვენაში დავით სანიკიძე, ედუარდ შევარდნაძის პირადი წარმომადგენელი ევროპაში? არ გაინტერესებთ ამ საქმეში სანიკიძის გარდა კიდევ ვინ ფიგურირებდა – საქართველოს უშიშროების სამსახურის ყოფილი თანამშრომელი ვინმე ჩიხლაძე და ცნობილი ე.წ. კანონიერი ქურდი ტარიელ ონიანი. ამ ტრიუმვირატს სახელმწიფო მეთაურის წარმომადგენელი-უშიშროების სამსახურის ყოფილი თანამშრომელი-„კანონიერი ქურდი“ თვალს რომ გადაავლებ, ყველაფერი ნათელი გახდება და ვფიქრობ სალაპარაკოც აღარაფერია. მაშინდელი ოპერატიული ინფორმაციების თანახმად ბანკების გაკოტრების საქმეში აქტიურად იყო ჩართული ხელისუფლება, ხალხისთვის მოპარული ფული საზღვარგარეთ გაიტანეს, როგორც ამბობდნენ „ექსპორტირებული“ თანხა 15 მილიონ აშშ დოლარს შეადგენდა, მაგრამ მე გაცილებით მეტი მგონია. სამართალდამცავი სტრუქტურის, უფრო ზუსტად ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურის წარმომადგენლებმა ერთი კვირით ადრე ვიცოდით ხსენებული პროცესი რომ უნდა დაწყებულიყო. საქართველოდან გატანილი ხსენებული ფული უნდა განაწილებულიყო, მაგრამ ჩვენი ინფორმაციით ტარიელ ონიანი, ანუ „შავი სამყარო“ მოტეხეს, რასაც დავით სანიკიძის მკვლელობა მოყვა. სხვათა შორის, ამ მკვლელობასთან დაკავშირებით ისრაელის უშიშროების სამსახურის და ამერიკის დაზვერვის ფედერალური სამსახურის წარმომადგენლებიც დაკითხა ავსტრიის პოლიციამ.

ეს პროცესები ბანდიტიზმს მაგონებდა, ის ვინც თვლის, რომ ბანდიტიზმი ბლაგვი ბუნტი, უპასუხისმგებლობის გაუაზრებელი გამოვლინებაა, ღრმად ცდება, ბანდიტიზმი მთელი „კულტურაა“, რომელიც დაფუძნებულია სახელმწიფო კანონების და სამოქალაქო პასუხისმგებლობის უარყოფაზე. ამ შემთხვევაში ამას ჰალსტუხიანი, საკმაოდ განათლებული „მამულიშვილები“ აკეთებდნენ თავიანთი მოსკოველი „შეფეს“ და სხვა „ბიზნესმენების“ ინტერესებიდ. ეს ადამიანები ბანკებიდან ფულს ინაბრებ-ინაბრებ ინაბრებ-ინაბრებ ინაბრებ-ინაბრებ

ირაკლი ალასანია „პოლიტიკური „დამოუკიდებლობის“ გამოცხადებას აპირებს?

როგორც უკვე ითქვა, „თავისუფალი დემოკრატების“ მომავალ ყრილობაზე პარტიის თავმჯდომარედ ირაკლი ალასანია მოგვევლინება, რითაც, ფაქტობრივად, დაიწყება ამ პარტიისა და მისი ლიდერის პოლიტიკური „დამოუკიდებლობის“ პირველი ეტაპი, რაც, ალბათ, მოგვიანებით კოალიციიდან გამოყოფით დამთავრდება.

ბოლო პერიოდში ირაკლი ალასანიას მიერ გადადგმულ ნაბიჯებს თუ გავიხსენებთ, ადვილად დავრწმუნდებით, რომ ეს ხმები სიმართლესთან ახლოს არის, ხოლო ის განცხადება, რომელიც ბატონმა ირაკლიმ სულ ახლახან, ათიოდე დღის წინათ, გააკეთა, უტყუარად ადასტურებს, რომ ალასანია კოალიციისგან დამოუკიდებელ პოლიტიკურ ფიგურად ჩამოყალიბებას აპირებს და ამას უკვე არც მალავს.

მას, მართალია, პირდაპირ არ უთქვამს, მაგრამ ძალიან ნათლად მიანიშნა, რომ სწორედ ის არის უმრავლესობის და ოპოზიციის ანუ მთელი პოლიტიკური სპექტრის გამაერთიანებელი ძალა.

ცხადია, იგულისხმება, რომ ასეთ ძალას მთელი ერის კონსოლიდაციის და თავის გარშემო შემოკრების პრეტენზიაც გაუჩნდება მომავალში.

როგორც ჩანს, ირაკლი ალასანია თავის თავს ერის ლიდერად ამზადებს და მოარულ ხმებს თუ დავუჯერებთ, მას ამაში მის მიმართ აშკარად კეთილგანწყობილი ფრიად გავლენიანი უცხოური პოლიტიკური წრეებიც დაეხმარებიან.

მართალია, თავის დროზე, გაუთვალისწინებელ გარემოებათა გამო, ირაკლი ალასანიას გაპრეზიდენტების პროექტი ჩაიშალა, მაგრამ როგორც ოკუპანტი რუსების ანდაზა გვასწავლის: „ნეტ ხუდა ბეზ დაბრა“.

თავდაცვის მინისტრის პოსტი ალასანიასთვის ის საყრდენი აღმოჩნდა, რომლის მეშვეობითაც მან კიდევ უფრო განიმტკიცა ხაზგასმულად პრამერიკული (პროდასავლური) ორიენტაციის პოლიტიკოსის იმიჯი.

თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ ბევრჯერ გაგვაოცა ისეთი განცხადებებით, რომლებიც, როგორც მოგვიანებით ირკვეოდა, არ იყო შეთანხმებული სახელისუფლო გუნდთან, ყოველ შემთხვევაში, ამ გუნდის რეაქციის მიხედვით ასე ჩანდა.

ასე, მაგალითად, დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყვა საქართველოში ნატოს თავდაცვითი სისტემების განლაგების თემას, სულ ახლახან კი საქართველოში სირიელი მებრძოლების მოსამზადებელი ბაზის გახსნის საკითხზე ატყდა დიდი ალიაქოთი.

ორივე შემთხვევაში მთავრობას სპეციალური განცხადებების გაკეთება მოუხდა, რომ უარეყო ეს ინფორმაციები.

ისმის კითხვა: თუ მთავრობასთან არ იყო შეთანხმებული ზემოთ ნახსენები საკითხები, მაშინ ვის შეიძლებოდა საკუთარი ინიციატივით გაეჟღერებინა ეს თემები, რომლებიც ლამის საერთაშორისო რეზონანსის მქონე პოლიტიკური სკანდალის და ვნებათაღელვის მიზეზი გახდა?

დაბეჯითებით ვერ ვიტყვით, მაგრამ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ საკითხების წამოწევის ინიციატორი სწორედ თავდაცვის მინისტრი იყო, თუმცა ამის გამო მისთვის პასუხი არავის მოუთხოვია.

ირაკლი ალასანიას უდავოდ აქტივში ჩაეთვლება ის ფაქტიც, რომ მისი მინისტრობის დროს ქართველი სამხედროები კიდევ უფრო გაზრდილი ფორმატით მონაწილეობენ ნატოს სამშვიდობო მისიებში და თავდადებით იბრძვიან სამხედრო ოპერაციებში.

ალასანიას მინისტრობის დროს წამოიწია აგრეთვე საკითხმა ნატოს სწრაფი რეაგირების ძალებში ქართული საჯარისო ნაწილების ჩართვის შესახებ.

ალასანიას „ნამსახურობის“ სიის გაგრძელება კიდევ შეიძლება, თუმცა, რაც ითქვა, ალბათ, ისიც საკმარისია იმის დასადასტურებლად, რომ ირაკლი ალასანია ნატოს ხელმძღვანელობის და ამერიკელების დიდი ნდობით სარგებლობს, მან კი ეს ნდობა იმ მკვეთრი პოზიციით მოიპოვა, რომელიც მან სსაქართველოს ნატოში გაწევრიანებასთან მიმართებაში დაიკავა.

თუ საქართველოს მთავრობის პოზიცია დასავლეთსა და რუსეთთან ურთიერთობაში ასე თუ ისე მაინც დაბალანსებულია და მასში დიპლომატიური ლავირების და მანევრირების ელემენტები ჭარბობს, ირაკლი ალასანიას პოზიცია, როგორც ვთქვით, რადიკალურად პროდასავლური, უფრო კონკრეტულად, რადიკალურად პრამერიკულია.

პრინციპი „ხელი ხელს ბანს“, ეტყობა, პოლიტიკაშიც კარგად მუშაობს.

პრამერიკელ ალასანიას პრამერიკელობა დაუფასდა და ამერიკულმა კომპანიამ „ენ-დი-აიმ“ პოლიტიკოსთა მოწონების გრაფაში თავის ფავორიტს, პატრიარქის შემდეგ, მეორე ადგილი „გაუფორმა“. რაც, სინამდვილეში, მეორე კი არა პირველი ადგილია (პატრიარქი, მოგეხსენებათ, პოლიტიკოსი არ არის და სრულიად გაუგებარია, რატომ ხვდება მისი სახელი და გვარი პოლიტიკური რეიტინგის განმსაზღვრელ გამოკითხვებში).

ამ გამოკითხვის მიხედვით ირაკლი ალასანიას პოპულარობისა და მოწონების მაჩვენებელი თურმე საგრძნობლად უსწრებს ივანიშვილისა და ღარიბაშვილის მაჩვენებლებს, რაც დამაჯერებლობას იმდენად არის მოკლებული, რომ ეჭვი გიჩნდება: ეს დალოცვილი „ენ-დი-აი“, როგორც ყოველთვის, ახლაც ნაცარს ხომ არ გვაყრის თვალებში?

იმასაც ამბობენ, „თავისუფალი დემოკრატები“ ყრილობის მოსამზადებლად გამართულ შეხვედრებზე ღიად საუბრობენ მომავლის გეგმებზე, ღიად აკრიტიკებენ მთავრობის ზოგიერთ მაღალჩინოსანს, უკმაყოფილებას გამოთქვამენ ხელისუფლების უპრინციპობის, ზოგ შემთხვევაში, უმოქმედობის გამო, თუმცა არც იმის გაკეთება ავიწყდებათ, რომ ბიძინა ივანიშვილი მხოლოდ დადებით კონტექსტში მოიხსენიონ და მისი მართლაც ფასდაუდებელი ღვაწლი სათანადო მოკრძალებით და პატივისცემით დააფასონ.

მადლიერების გრძნობა, თუნდაც ყოველდღიურ ცხოვრებაში, მისასალმებელი და დასაფასებელია და მით უმეტეს, დასაფასებელია, როცა მადლიერების გრძნობას პოლიტიკოსები ინარჩუნებენ და თავიანთ კეთილისმყოფელს კი ნამდვილად დიდი ამაგი აქვს კოალიცია „ქართული ოცნების“ თითოეულ წევრზე და მასში შემავალ ყველა პოლიტიკურ ორგანიზაციაზე.

კოალიციაში ყოფნით მასში შემავალმა ყველა პოლიტიკურმა სუბიექტმა იხეირა, გარდა ერთისა – ეს არის თვით „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, რომელიც პოლიტიკურ ორომტრიალში ჭიპმოჭრილმა და გაქექილ-გამოჯეკილმა თანაკოალიციელებმა ისე შეავიწროვეს, რომ ფრთების ლაღად გაშლა ვერა და ვერ მოახერხა.

სამაგიეროდ, ირაკლი ალასანია აპირებს ფრთების გაშლას და ისეთ სიმაღლეებზე აფრენას, საიდანაც არა მარტო საქართველო, არამედ პენტაგონის კონტურებიც ნათლად ჩანს...

დავით ქავთარია

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

„მარად და ყველგან, საქართველო, მე ვარ შენთანა...“
ილია

პატრიოტი

„საერთო გაზეთის“ დამატება

№35, ოქტომბერი, 2014 წ.

„უფალო, ღირსმყავ ჩემი ერისთვის, სრ ძეველპო ხველრის სიმძიმეს...“



1989 წლის 13 ოქტომბრიდან, ე.წ. ავტოკატასტროფიდან, რომელსაც მერაბ კოსტავას სიცოცხლე შეეწირა, 25 წელი გვაშორებს. ცოტა ხნის წინ კი ამ დაგეგმილი ავტოკატასტროფის ავტორი შევარდნაძე დიდი ზარ-ზეიმით დაიტირა ევროკავშირისა და აშშ–ს ბოსების არც თუ ისე მრავალრიცხოვანმა არმიამ, რომელსაც ეგონა, რომ ქართველ ხალხს, ამ მაოხრებელი მკვდრის დატირებით, მის დაუძინებელ მტერს შევარდნაძეს, თუ ვერ შეაყვარებდა, დააშინებდა მაინც. ამიტომაც, იმ დღეებში, კარგად დაინახა ყველამ, რომ სამების ტაძარში სხვასხვა ქვეყნიდან „სამძიმარზე“ ჩამოსულ ე.წ. პოლიტიკოსებს, ქართველი ხალხი არ ხლებია. იქ მხოლოდ ერის მოღალატეთა – პუტჩისტთა მცირერიცხოვანი რაზმი დასტიროდა თავის მამამარჩენალს. „თქვენ მამისა თქვენისა ეშმაკისა შვილები ხართ“ ამბობს უფალი იოანეს სახარებაში და მათი ეს „მამა-შვილური“ გლოვაც ამ ურთიერთობიდან გამომდინარეობდა.

ზვიადისა და მერაბის ქრისტესმიერი ძმობით უიარაღო ბრძოლამ, ზღაპრადქცეული საქართველოს გმირული ისტორია კვლავ სინამდვილედ აქცია. მათმა შეუდრეკელობამ, საბჭოთა სინამდვილეში წიგნებიდან ნასწავლი ისტორია, ლეგენდის საბურველიდან გამოიყვანა და ბეჩავ სიცოცხლეს გამოსტაცა იმპერიის კლანჭებში მოქცეული საქართველო. 80-იანი წლების მიწურულს უცბად შეიკრა წრე და ყველამ ერთად იხუვლა ბეჩაობისა და სულის დამონების წინააღმდეგ, მაგრამ საუბედუროდ, ამ წრეში ნამდვილ მებრძოლებთან ერთად, არამზადა, სუკის ჯურღმულებში გამოზრდილი კაცუნებიც ჩააყენა საბჭოთა იმპერიამ, რომელთა რიცხვი ლეგიონია და რომელთა მხრებზეც დევს ეროვნულ გმირთა მერაბ კოსტავასა და ზვიად გამსახურდიას მკვლელობა.

ბორითის გზაზე ეროვნული გმირის მკვლელობის მიზანი, მის ზვიადისაგან ფიზიკურად ჩამოშორებას ემსახურებოდა. 1989 წლის, ოქტომბრის იმ ავბედით დღეებში საბჭოთა სუკის, მე-5 განყოფილების შტატიანი თუ უშტატო მუშაკები, მათ მიერვე მოკლული მერაბ კოსტავას დაპირისპირებაც კი სცადეს, მის ქრისტემიერი ძმასთან ზვიად გამსახურდიასთან, რათა ეროვნული მოძრაობის მარტოდდარჩენილ წინამძღოლ ზვიად გამსახურდიასათვის გამოეთხარათ ძირი, რითაც ეროვნული მოძრაობა საბოლოოდ დაკნინდებოდა ხალხის თვალში. მაგრამ წითელი, ბოლშევიკური იმპერიალიზმის მსახურნი ამაოდ დაშვრნენ. ზვიადისა და მერაბის 35–წლიან ბრძოლას ამაოდ არ ჩაუვლია. მერაბ კოსტავას, 9 აპრილის გმირთა და ჩვენთა დიდთა წინაპართა, მამულიშვილთა სისხლზე დგას საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობა; ქართველი ერი ვალშია ამ გმირთა სახელების წინაშე.

დღეს ხომ უკვე ცხადზე ცხადია, თუ რისთვის სჭირდებიდათ ბორითის ტრაგედია, რათა გმირული სულისა და ეროვნულ ნიადაგზე აღზრდილი მერაბ კოსტავას სანაცვლოდ, საქართველოში გაიდიალებულიყო ამორალური, უზნეო ცხოვრების წესი და რაც მთავარია, ეს, სახელმწიფო კანონების რანგში ყოფილიყო აყვანილი. მაგრამ როგორც ბორითში, ისე სამეგრელოს ტყეში განხორციელებულმა მკვლელობებმა, ბოროტმოქმედთა გასაკვირად, საპირისპირო შედეგი გამოიღო. ისე, როგორც 1989 წლის ოქტომბერში, ასევე 2007 წლის მარტშიც, მთელმა მსოფლიომ, რომელიც გამადიდებელ შუშაში უყურებდასაქართველოს, ნახა თუ როგორ წამოუდგა საქართველო თავის თავდადებულ გმირებს და სამეფო პატივით მიაცილა ისინი თავიანთ უკანასკნელ განსასვენებელ მთაწმინდის „საშვილიშვილო სამარემდე“.

მავანნი იმასაც ამბობდნენ, რომ ეს ბედისწერა იყოო. ქართველ ერს კი ნამდვილად ესაჭიროება იმის ცოდნა სოფელ ბორითთან, 13 ოქტომბერს, ბედისწერა დაედევნა მერაბ კოსტავას თუ ეს იყო ახალი წიწამური, შეგნებული მიზანმიმართული მკვლელობა ეროვნულ–გამათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერისა, რომელიც ერის ერთიანობის სახეს წარმოადგენდა, რაც მტერმაც კარგად იცოდა და ამიტომაც განახორციელა ეს ბოროტმოქმედება. დიახ, ჩვენდა საუბედუროდ ეს მიზანმიმართული მკვლელობა იყო, რომელიც დიდი ხნით გამოუძიებელი დარჩა, თუმცა ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ისევ და ისევ ჩვენი ქვეყნის დაუძინებელმა მტერმა ყველა ღონე იხმარა იმისათვის,რომ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს ზვიად გამსახურდიას მმართველობის პერიოდში, გენერალურ პროკურატურაში აღძრული საქმის გამოძიება შეჩერებულიყო. ხოლო პუტჩის შემდეგ ე.წ. ხელისუფლებაში მოსულ რეჟიმებს არც კი დაუსვიათ საკითხი ამ საქმის გამოძიებისა. სწორედ 13 ოქტომბრიდან მოყოლებული დღემდე დანარჩენი პოლიტიკური მკვლელობები, ღვთისა და ერის უბოროტესი მტრების მიერ მოკლული გმირების – მერაბისა და ზვიადის შემდეგ, უსამართლობასთან დაწინდული ფერხული, არნახული სისასტიკე, ჩაგვრა და დამდაბლება ჩვენი ერისა, დამამცირებელი უუფლებობა ქართველი კაცისა და ზეობა ბოროტებისა, აი, ახლანდელი ქართლის სურათი ერთ დროს აღზევებული ივერიისა; ასე დაგვიქციეს და გაგვივერანეს ჩვენი საყვარელი სამშობლო ქრისტეს დაუძინებელმა მტრებმა.

ეს ყველამ უნდა დაიმახსოვროს, რომ მერაბ კოსტავამ, ვითარცა ქრისტეს ჭეშმარიტმა მხედარმა ყველაფერი შესწირა თავის სამშობლოს, მან ისე გასწირა თავისი ახალგაზრდობა, პირადი ცხოვრება, თვით საკუთარი შვილიც და ბოლოს თავისი სიცოცხლეც, რომ ერთხელაც არ დაუკვნესია. ვინც ერის არსებობის საზრისი საკუთარი სიცოცხლის ფასად აღადგინეს და ჩვენი ქვეყნის შვილებს დაანახეს სიკვდილისა სიკვდილითა დამთრგუნველი ღმერთის ძალა, მათ ქართველი ერი არასდროს დაივიწყებს და გაჰყვება გზას არა იუდა გამცემლისას, არამედ ქრისტე მაცხოვრისას, რათა ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველო მტერს არ ჩაუგდოს ხელში.

ეროვნული კომიტეტი მთელი პასუხისმგებლობით აცხადებს, რომ ვერც ერთი გახმაურებული პოლიტიკური მკვლელობა ვერ გაიხსნება, ვიდრე არ იქნება გამოძიებული საქართველოს ეროვნული გმირის, ეროვნულ–გამათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერის მერაბ კოსტავას მკვლელობის საქმე.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას კანონიერი, კონსტიტუციური, ლეგიტიმური ხელისუფლების – უზენაესი საბჭოს აღდგენის ეროვნული კომიტეტის სახელით:

გიორგი კაკაბაძე (კერვალიშვილი) – კომიტეტის მთავარი კოორდინატორი, სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციის პრეზიდენტი;

ბესო (ბესარიონ) მიქაძა – იბერიულ–კავკასიური მოძრაობის თავმჯდომარე;

მღვდელი ილარიონი (ჯანელიძე);

ნანა კახიანი – იბერიულ-კავკასიური მოძრაობის პრეს-მდივანი;

დავით ბერძენიშვილი – იურისტი-ადვოკატი;

გიორგი თევზაძე – ადამიანის უფლებადამცველი;

ზურაბ ქობალია – ჟურნალისტი;

ნუგზარ კობახიძე – ადამიანის უფლებადამცველი;

მანანა ჯიჯეიშვილი – იბერიულ–კავკასიური მოძრაობის პრეს-სამსახურის წევრი;

ნარო კოლხელი – მწერალი;

გოგი სოიტაშვილი – პოლიტდევნილი;

გოჩა ხარებავა – ჟურნალისტი;

გრიგოლ ბოგვერაძე – მოძრაობა „ძლევაი საკვირველის“ დამფუძნებელი;

თბილისი, ღვინობისთვე, 2014.

ძვირფასო მეგობრებო, შემოგვიერთდით გაზეთ „პატრიოტის“ მეგობართა კლუბში.
ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:
593 44 04 01; 597 93 93 79; (2) 14 40 19; (2) 34 28 97.
რედაქციის მისამართი: თბილისი, დ.აღმაშენებლის გამზ., 164, II სართ.

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲢᲠᲘᲞᲝᲚᲡᲙᲘ:

samwuxarod, Cven arviciT, vin varT sinamdvileSi, rani varT da raSegviZlia...

„საერთო გაზეთის“ სტუმარია პარლამენტარი, კინორეჟისორი ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲢᲠᲘᲞᲝᲚᲡᲙᲘ.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲢᲠᲘᲞᲝᲚᲡᲙᲔᲑᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

მამაჩემის, იაკობ ტრიპოლსკის პაპა, საგზაო ინჟინერი იაგორ ტრიპოლსკი 1832 წელს პოლონეთის აჯანყების შემდეგ გამოქცეულა პოლონეთიდან და მთიულეთში დასახლებულა. ტრიპოლსკები პოლონეთში შლახტიჩები ყოფილან. აჯანყების შემდეგ იქ არც დაედგომებოდათ და საქართველოში, ე. წ. გადასახლების ადგილას გამოუმგზავრებიათ.

თავის მოგონებებში მამაჩემი წერს: „პაპა ჯებირების კარგი მშენებელი იყო და დიდად პატიოსანი კაცი. მთელ გუდამაყარსა და მთიულეთში თითქმის ყველა იცნობდა. შვიდი შვილი ჰყოლია...

... პაპა და ბებია მყავდა ქართველები. ბებია არ მახსოვს. ჩემი მეორე ბებია ვაჟა-ფშაველას სოფლიდან ყოფილა“.

ბევრმა არ იცის, რომ მამაჩემი – იაშა ტრიპოლსკი და გოდერძი ჩოხელის დედა ბიძაშვილ-მამიდაშვილები იყვნენ. ბებიაჩემის ირინე წიკლაურის გაზრდილია გოდერძის დედა.

წიკლაურების გვარი სამ შტოდ იყოფა. ჩვენ ბუბუნაურების შტოს ვეკუთვნით, ისე, როგორც გოდერძი ჩოხელი. ბუბუნაურები ვაჟკაცი ხალხი იყვნენ. ვამაყობ, რომ გუდამაყრელი, ბურსაჭირელი გახლავართ.

ფასანაურში ახლაც დგას ჩვენი ძველი სახლი, რომელიც 1901 წელს აუშენებიათ. სახლი 24-ოთახიანია. საქართველოში მცხოვრები ყველა ტრიპოლსკი ამ სახლში არის გაზრდილი.

გასაბჭოების შემდეგ წლებში ჩვენი სახლის პირველ სართულზე სკოლა ჰქონიათ მოწყობილი, ორი ათეული წელი იქნება, რაც ის პირველი სართული დაგვიბრუნეს. არ ვიცი, რატომ ყოველთვის მეგონა, რომ სახლი 24-ოთახიანი კი არა 48-ოთახიანი იყო.

ამასთან დაკავშირებით პატარა კურიოზს გავიხსენებ: ყველას გვახსოვს, 2012 წლის არჩევნების წინ ოპოზიციურად განწყობილ ხალხს როგორ დაგვდევდნენ ჟურნალისტები.

იმ პერიოდში მაშინდელი მთავრობა ფასანაურში გაზის გაყვანის გეგმას ახორციელებდა. ყველგან დაამონტაჟეს ჩემი სახლის მარჯვნივ და მარცხნივ, მხოლოდ ჩემი სახლი გამოტოვეს. არ მახსოვს, რომელი არხის ჟურნალისტი იყო, მაგრამ ვუთხარი, მშვენიერი პროფესია მაქვს, კინო, ხელოვნება ჩემი საქმეა, ორმოცდარვაოთახიანი სახლი მაქვს ფასანაურში, წავალ, ვიმუშავებ-მეთქი. დაახლოებით საათნახევარში ფასანაურიდან ჩემი მეზობელი, ახლობელი, მამიდაშვილი – ვანო ჩოხელი მირეკავს: ტელევიზიებიდან არიან მოსული, მეკითხებიან, რომელია ტრიპოლსკის სახლი? რომელსაც გვაჩვენებთ, ეს არ იქნება, რადგან თვითონ თქვა – ორმოცდარვაოთახიანი სახლი მაქვსო და ეს დანგრეული, კიბემორყეული სახლი ლრაკლი ტრიპოლსკის საკუთრება არ იქნებაო.

სხვათა შორის, ის კიბემორყეული სახლი ტრიპოლსკების საკუთრებაა და რამდენიმე ნაწილადაა გაყოფილი.

მაშინ 16 მამაკაცი ცხოვრობდა იმ სახლში, ახლა ოთხნი დავრჩით. იაშა ტრიპოლსკიმ არათუ პოლონური, რუსულიც კი არ იცოდა კარგად. ახალგაზრდებს რუსულის სწავლასაც კი გვიკრძალავდნენ. ჩემს პირველ პროფესიას უცხო ენათა ინსტიტუტში დავეუფლე.

სხვათა შორის, მამაჩემმა, ფასანაურის სკოლის ფრიადოსანმა კურსდამთავრებულმა დასავლეთ ევროპის ენების სპეციალობა დაამთავრა. მან თარგმნა ინგლისურიდან „პიგმალიონი“, „კეისარი და კლეოპატრა“ და ახლა რუსოფილობას ისინი გვაბრალებენ, ვისი მამები და პაპებიც რუსეთში დადიოდნენ კარიერის მოსაპოვებლად.

ᲠᲐᲢᲝᲛ ᲓᲐᲛᲐᲠᲥᲕᲔᲡ ᲔᲠᲔᲙᲚᲔ?!

სახელი მამაჩემმა ცნობილი პროფესორის ერეკლე ტატიშვილის საპატივცემულოდ დამარქვა. ჩემი დაბადების პერიოდში პროფესორი ტატიშვილი ამერიკიდან ახალჩამოსული ყოფილა და მამაჩემი მისი ერთ-ერთი საუკეთესო სტუდენტი იყო თურმე.

მიუხედავად ყველაფრისა, მამას მაინც არ ენდობოდნენ კომუნისტები. არაქართული გვარის და უცხო ენათა ინსტიტუტის სტუდენტს ხშირად იძახებდნენ თურმე დაკითხვებზე და მუდმივი თვალთვალის ქვეშაც ყოფილა.

მიზეზიც, თუ ეს მიზეზად ჩაითვლება, ჰქონდათ, რადგან იაშა ტრიპოლსკი იყო ერთ-ერთი, ასე ვთქვათ, ანტისაბჭოთა ელემენტი მაშინდელ საზოგადოებაში. ვისაც ახსოვს მამაჩემი, ყველა დამეთანხმება, რომ იგი კარგი მთხრობელი იყო და, ამასთან, ძალიან განათლებული ადამიანი. გაქანებული კომუნისტების მმართველობის დროს ღამღამობით „ბი-ბი-სი“-ს და „ამერიკის ხმას“ უსმენდა, მერე მიდიოდა თეატრში, იქ ყვებოდა ახალ ამბებს და პროგნოზებს აკეთებდა: საბჭოთა კავშირი მალე დაინგრევაო.

მამა 26 წლის წინ, 68 წლის ასაკში გარდაიცვალა. მისი არაჩვეულებრივი მეხსიერების შესახებ თბილისში ლეგენდები დადიოდა. დიმიტრი უზნაძეს მამაჩემზე ცდაც კი ჩაუტარებია – წააკითხა თურმე „გამზრდელის“ ათეული სტრიქონი. იაშას წიგნი დაუხურავს და ზეპირად უთქვამს. სიცოცხლის ბოლო წლებში მეხსიერებამ უღალატა, დღის განმავლობაში რამდენიმეჯერ ხუთ-ხუთი წუთით ყველაფერი ავიწყდებოდა. მერე, როცა ნორმალური ცნობიერება უბრუნდებოდა, დარდობდა, ეს რა მომივიდაო.

ᲘᲐᲒᲝᲠ ᲢᲠᲘᲞᲝᲚᲡᲙᲘ

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲒᲐᲕᲘᲪᲐᲜᲘ ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ჩემი და ბიძინა ივანიშვილის მეგობრობა 1967-77 წლებიდან მოდის. მაშინდელი სამხედრო სავალდებულო სამსახურიდან რომ დავბრუნდი, თეატრალურ ინსტიტუტში მისაღები გამოცდები უკვე დამთავრებული იყო და მამაჩემმა სთხოვა მათ თავისუფალ მსმენელად მაინც მიიღეთო. როგორც იყო, მიმიღეს. მაშინ თეატრალურში ბუბა ხოტივარს და სოსო ჩხაიძეს ერთი ჯგუფი ჰყავდა ჩაბარებული, გია ჭუბაბრიას – მეორე. გია ჭუბაბრიას ჯგუფში იყო ბატონი ნუგზარ ყიფიანი. იმ პერიოდში ბატონი ბიძინა ივანიშვილი ცხოვრობდა სტუდქალაქის საერთო საცხოვრებელში თავის ძმასთან ერთად. იქ ცხოვრობდა ნუგზარ ყიფიანიც. მე ხშირად დავდიოდი ნუგზართან, რადგან მის ბიძაშვილს, რომელიც ასევე სტუდქალაქის ბინადარი იყო, დიდძალი ინფორმაცია ჰქონდა ზიგმუნდ ფროიდზე და ერთგვარ ლექციებსაც გვიკითხავდა. 7-8 სტუდენტი ვიკრიბებოდით. ამ ლექციებზე დადიოდნენ ბიძინა ივანიშვილი და მისი ძმაც. მოკლედ, ლექციას ვუსმენდით, ვკამათობდით, ხან ვსვამდით. და ასე დაიწყო ჩვენი მეგობრობა.

მერე დაშორდა ჩვენი გზები, მაგრამ შემდეგ, უკვე საქართველოში ბანკი რომ შექმნა, ბატონმა ბიძინამ, გვითხრა: რეჟისორები ხართ, სტუდიას გაგიკეთებთ და იმუშავეთო. ჩემი დიდი სურვილი იყო კინოსტუდიის გაკეთება, მაგრამ ედიკო ყიფიანმა გვირჩია: ტელევიზიას აქვს მომავალი. ტელევიზია შევქმნათო.

არჩევანი ჩვენზე იყო. ბიძინა ივანიშვილს ნათქვამი ჰქონდა – გინდათ კინოსტუდია გააკეთეთ, გინდათ – ტელევიზია, ფულს მე მოგცემთო.

1992-93 წლები იდგა. და ჩვენ გადავწყვიტეთ, ტელე-კომპანია მე-9 არხი დაგვეარსებინა.

ᲛᲔ-9 ᲐᲠᲮᲘ

მე-9 არხს გახსნა-დახურვები დაებედა. „ნაციონალები“ იმთავითვე სასტიკად ემტერებოდნენ მას. 2012 წლის არჩევნების წინ რა პირობებში გვიწევდა მუშაობა, ყველას კარგად ახსოვს. ტელეკომპანიის ნორმალური ფუნქციონირებისთვის შესაბამისი აპარატურაც გვჭირდებოდა. ვიწერდით აპარატურას უცხოეთიდან, მაგრამ თბილისში ან გაფუჭებული ჩამოდიოდა, ან აქ აფუჭებდნენ ნაციონალები. გადავწყვიტეთ ამ საქმეში საერთაშორისო ორგანიზაციები ჩაგვერთო. ორგანიზაციის წარმომადგენლები მოდიოდნენ, ამოწმებდნენ აპარატურას, ფუთავდნენ, ადებდნენ ლუქს, შემდეგ ჩაიტვირთებოდა თვითმფრინავში, თვითმფრინავს მოჰყვებოდა აპარატურის მწარმოებელი ფირმის წარმომადგენელი, თბილისში ვხვდებოდით ჩვენ, ინჟინრები, სხვა სპეციალისტები და რადგან რამდენიმეჯერ სპეციალურად გაგვიფუჭეს გამოგზავნილი აპარატურა, ვიდეო-ოპერატორებსაც ვახვედრებდით აეროპორტში, მაგრამ ხდებოდა საოცრება: თბილისში ჩამოდიოდა გამართული, მუშა აპარატურა, შეიტანდნენ საბაჟო ტერმინალზე, გამოვიტანდით იქედან, გავხსნიდით და დამწვა-

იაკობ ტრიპოლსკი

რი, გაფუჭებული გვხვდებოდა ყველაფერი.

რას აღარ ვიგონებდით, ვწვალობდით, რომ პირდაპირი ჩართვის აპარატურა ჩამოგვეტანა. ბოლოს ნაწილ-ნაწილ ჩამოვიტანეთ. რამდენიმე ადამიანს ცალ-ცალკე ჩავუდეთ ჩემოდნებში და ასე ჩამოვიტანეთ თბილისში.

პირველი ნაბიჯები პოლიტიკაში

დილის 10 საათია. ტელეფონი რეკავს. ვპასუხობ.

— გამარჯობათ, ბატონო ირაკლი, — მესალმება ერთი ტელევიზიის ჟურნალისტი, — გვსურს დღეს სტუდიაში გვეწვიოთ.

მას შემდეგ, რაც 2003 წელს მე-9 არხი დახურეს, სხვადასხვა ადგილას ვიმუშავე, მაგრამ ბოლო წლებში აბსოლუტურად უმუშევარი ვიყავი და ცოტა არ იყოს, გამიკვირდა.

— რაზე უნდა ვისაუბროთ? — წავიდა ის დრო-მეთქი, — ვუთხარი ჟურნალისტს.

— არ გაგიგიათ? ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკაში შემოსვლის შესახებ განცხადება გააკეთაო.

გავოგნდი...

ერთი სიტყვით, უარი ვუთხარი იმ ჟურნალისტს, დავემშვიდობე და დაახლოებით 10 წუთში „ქართუდან“ დამირეკეს, ბიძინა ივანიშვილი ორ საათზე შეხვედრაზე გელოდებათო.

ცოტა ხანში უკვე ბიძინამ დამირეკა:

— გამარჯობა, ირა, პრესმდივნად დაგასახელე. იმედი მაქვს, უარს არ მეტყვიო.

უარი წარმოუდგენელი იყო.

ამ ამბამდე წელიწადნახევრის უკან ბიძინა ივანიშვილისთვის ნათქვამი მქონდა, ნუშის პლანტაციის გაშენება მინდა და დამეხმარე-მეთქი.

დროებით დავემშვიდობეთ ერთმანეთს და მაშინ მივხვდი, რომ ჩემმა გეგმებმა ნუშის პლანტაციებზე გაურკვეველი დროით გადაიწია.

ზუსტად ორ საათზე „ქართუში“ ვიყავი.

— გადატყვიტე, ხომ? — შემეკითხა ბიძინა ივანიშვილი.

— შენი გულისთვის წყალში გადავვარდები, — ვუპასუხე მე.

— ჩემი გულისთვის თუ წყალში ვარდები, ჯობს არ გააკეთო ეს, შენი გულისთვის თუ „გადავარდები“, კი, ბატონოო.

ასე მოვხვდი პოლიტიკაში, რომელზეც არასდროს მიფიქრია.

მას შემდეგ მუდმივი თვალთვალის ობიექტი გავხდი მაშინდელი ხელისუფლებისგან, მაგრამ, განსაკუთრებული შიში, ასე რომ ვთქვათ, არასდროს მიგრძვნია.

ერთ საღამოს ბატონ ბიძინასთან საუბარს შევყევით მე, ბიძინა ივანიშვილი, ეკა ბესელია და ზურაბ ბიგვავა. გვიანი იყო და ბატონმა ბიძინამ ეზოში გამოგვაცილა. ვხედავთ, დაცვის უფროსი მორბის, ხელში კონვერტი უჭირავს, ეს კონვერტი ივანიშვილს მიაწოდა და თქვა: შსს-დან დარეკეს, დაცვამ იარაღი უნდა ჩააბაროსო.

ღამის 11 საათია.

დაცვამ თავისი ხელით უნდა ჩააბაროს იარაღი დიღომში, პოლიციის სამმართველოში.

მაშინ ვნახე ეკე ბესელიას ვაჟკაცობა. მან დარეკა, მკაცრად ელაპარაკა ვიღაცას და მივადწიეთ იმას, რომ სამმართველოდან თვითონ მოვიდნენ იარაღის წასაღებად. ღამით ბიძინა ივანიშვილის დაცვა იარაღის არსენალით რომ ქუჩაში გასულიყო, წარმოიდგინეთ, რა მოხდებოდა — პირდაპირ გადატრიალების იარლიყს მიაკერებდნენ ამას, ხოლო ბიძინა ივანიშვილს დეპორტს გაუკეთებდნენ.

„ნაციონალები“ დღესაც ისე თავხედობენ, როგორც მაშინ, როცა ხელისუფლებაში იყვნენ, სამარცხვინოდ იგინებიან და ილანძღებიან.

ამას წინათ ვიხსენებდი, რას ამბობდა ფილიპე მახარაძე ქაქუცა ჩოლოყაშვილსა და მის რაზმზე: ესენი არიან ბოროტმოქმედებიო. მორჩა. ეს იყო ყველაზე უფრო დიდი სალანძღავი სიტყვა თვით იმ ფილიპე მახარაძის ლექსიკონში.

გაკვირვებული ვარ. ეს არ არის ის გარემო, ის სიტუაცია, რომელშიც მე გავიზარდე. უდიდესი ადამიანების გვერდით ვიყავი — სერგო ზაქარიაძე, აკაკი კვანტალიანი, კოტე მახარაძე, ჩემი მამობილები იყვნენ.

რა მესმის, რა საშინელი ურთიერთობებია, კატასტროფაა პირდაპირ. ასეთი რამეების პატიება არ შეიძლება და ამას წერტილი უნდა დაესვას.

ფასანაურში ჩვენს სახლში იზრდებოდა ბაბუაჩემის მკვლელის შვილი. მე და ჩემს ძმას ყოველთვის გვეგონა, რომ ის ბიჭი ჩვენი უფროსი ძმა იყო.

მე დღეს ვიცი, ვინც ესროლა ბაბუაჩემს, ვიცი, რომ მკვლელი იმ ყმაწვილის მამა იყო, მაგრამ მაშინ ეს ვერც წარმომედგინა. არც დავიჯერებდით, მე და ჩემი ძმა, ვინმეს რომ ეთქვა... ჩვენი ოჯახი იმ ბიჭს ჩვენი ნათესავების მიერ სისხლის აღებისგან იცავდა.

იმ ყმაწვილის ნათესავებთან დღესაც მაქვს ურთიერთობა, თუმცა, როგორც უკვე გითხარით, მისმა მამამ ესროლა და მოკლა პაპაჩემი.

ეს ამბავი იმიტომ მოვყევი, რომ არ შეიძლება „ნაციონალები“, რომლებსაც უამრავი დანაშაული აქვთ ჩადენილი კვლავ მოძღვრავდნენ საზოგადოებას.

არსებობს ასეთი გამონათქვამი: ყველაზე კარგი თავდაცვა თავდასხმაა. „ნაციონალებმა“ კარგად იციან, რისგან და ვისგან იცავენ თავს. იციან, რომ დამნაშავეები არიან.

საკადრისს თუ ეტყვი ნაციონალებს, გამოვლენ ვიღაც დემაგოგები და რუსოფილის წოდებას მოგაკერებენ. ვაი, მაგათ პატრონს. ნაციონალების მამები რომ რუსეთში დაძვრებოდნენ ქრთამებით ხელში, ჩვენ, უცხო ენების სტუდენტებს აგენტებს გვეძახდნენ და სურსათს არ გვაძლევდნენ მაღაზიებში.

ახლა მე ვსვამ კითხვას: — რატომ არ იჭერენ „ზონის“ კრიმინალ წევრებს, იმ „ნაციონალებს“, რომლებიც არიან დამნაშავეები.

როგორ უნდა მოხდეს ეს და რანაირად, მე ვერ გეტყვით, სპეციალისტი არ გახლავართ. მაგრამ ის კი ზუსტად ვიცი, ტელევიზიების უმეტესობა რომ არაპროფესიონალურად მუშაობს.

კვლავ მედია

დიახ, გავათავისუფლეთ მედია პოლიტიკური ზეწოლებისგან, მაგრამ, მგონი, მედია პასუხისმგებლობისგანაც გავათავისუფლეთ.

არ ვიცი, ნამყოფი ხართ თუ არა, არსებობს სოფელი ვეძათხევი. დამეწყრილი სოფელია და მძიმე მდგომარეობაში იმყოფებიან იქაურები.

მე ვიყავი ბატონ მინისტრთან დავით დარახველიძესთან. შემპირდა დახმარებას. სხვა გეგმებიც მაქვს ამ სოფელთან დაკავშირებით. მანამდე კი აწრიალებული არიან „რუსთავი-2“-ის ჟურნალისტები და სხვა სააგენტოების წარმომადგენლები. ყველა მეორე დღეს იქ არიან, იღებენ და ა.შ. აგორებენ უშველებელ სკანდალს, მერე მე მეკითხებიან: რატომ არ ჩადიხართ ვეძათხევში. ჩემი ჩასვლით რომ ეშველებოდეს საქმეს, ჩავალ, მაგრამ ტყუილად რატომ ჩავიდე. ვიცი, ვეძათხევის პრობლემები. ვმუშაობ ამ პრობლემების გადასაჭრელად და ახლა ათი თუ რვა-რვა ათასი გამოიყოფა ოჯახებისთვის. რომ გავაკეთე საქმე, მერე ჩავედი და ვუთხარი ხალხს ამის შესახებ. რა საჭიროა ამდენი აურზაური?! მედიას მეტი პასუხისმგებლობა უნდა ჰქონდეს.

მთა და მთის პრობლემები

მათა იცლება და ამ პროცესს ვერაფერი ვერ შეაჩერებს ეკონომკიის აღორძინების გარდა.

290 სოფელია დუშეთის რაიონში, სოფლის დახმარების პროგრამის ფარგლებში ყოველ წელს სოფლისთვის 50 მლნ გამოიყოფა დუშეთისთვის, მგონი, მილიონ 200 000 ყველაზე ნაკლები, ერთ სოფელზე 4 000 ლარი გამოდის. თანხა ძალიან ცოტაა, ამიტომ ჯობს შეიკრიბოს სოფელი და თქვან — რა სჭირდებათ უფრო.

მე შევხვდი სოფლის მაცხოვრებლებს და ვუთხარი ჩემი ჩანაფიქრის შესახებ. თითქმის ყველა ერთ აზრზე იყო — დანა-ჩანგალი, ჭურჭელი, ქვაბები, სოფელში ქელეხებზე ან სხვა შემთხვევების დროს, მაგალითად, ქვაბი, თურმე, სხვა სოფლიდან მოაქვთ.

მაგრამ უბედურება ისაა, 4 000 ლარს რომ სოფელს მისცემს, რა უნდა გააკეთოს ამ მცირედი თანხით?

ჩვენ მოვილაპარაკეთ, რომ შეიკრიბოს სოფლის მოსახლეობა და თვითონ გადაწყვიტონ, რა უფრო აუცილებელია სოფლისთვის და ის 4 000 ლარი იმ აუცილებლობისთვის გამოიყენონ. მაგრამ მიმაჩნია, რომ საწარმოები უნდა გაიხსნას. მაგალითად, ხილის გადამამუშავებელი საწარმოები. ლპება ხილი ისე, რომ გლეხი ვერ ახერხებს მის რეალიზაციას, ან ხორცის გადასამუშავებელი საწარმო, რძის ნაწარმის და ა.შ.

„ნუში გადაარჩენს საქართველოს“...

ამ დღეებში გახლდით ზუსტად სოკარის გენერალურ მდივანთან. მე გეტყვით შემადგენლობას, თვითონ განსაჯეთ, რას ვაპირებთ. მწერალი კოტე ჯანდიერი, ფიზიკოსი გია მაჩაბელი, რეზო გაბრიაძე და ელდარ შენგელაია, სერიოზული ფილმის გაკეთებას ვაპირებთ. ფილმი მხატვრულ-დოკუმენტური იქნება, შესაძლებელია მრავალსერიანიც იყოს.

ახლა ამაზე პირველად თქვენთან ვლაპარაკობ, თუმცა ბევრი საინტერესო დეტალი ჯერ კიდევ საიდუმლოდ დავტოვე.

ფილმი იქნება ნავთობზე, როტშილდებზე, ნობელზე, როკფელერებზე, მენდელეევზე, სტალინზე, ბათუმზე, ჭიათურაზე... სამწუხაროდ, ჩვენ არ ვიცით, ვინ ვართ სინამდვილეში, რანი ვართ და რა შეგვიძლია. ჩვენ ისიც არ ვიცით, რომ მსოფლიო მარგანეცის 38% საქართველოშია, მაგრამ ჩვენ მაინც მოვიხსენიებით ღარიბ ქვეყნად.

რაც შეეხება ნუშის პლანტაციებს. პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ ვაპირებ, პარტნიორი ვიპოვო და პროექტი მასთან ერთად განვახორციელო.

თუ ჩემი პოლიტიკოსობით არა, იქნებ ნუშის მოშენებით მაინც ვუშველო საქართველოს...

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

ელიზბარ ჯაველიძე: რომელ რეფორმებზე შეიძლება ლაპარაკი, როცა განათლების მინისტრად ჯერ სანტექტნიკი გვყავდა, მერე პროკურორი, მერე ციხეების უფროსი, ახლა კი „ბულალტერშა“ „გვანათლებს“...



ელიზბარ ჯაველიძე

გვესაუბრება მწერალი ელიზბარ ჯაველიძე:

— ბატონო ელიზბარ, განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმებს ბოლო არ უჩანს. მაგრამ რა რეფორმებია ეს, რომელიც სულ უფრო და უფრო უკან გვწევს?

— ამ კითხვაზე პასუხი, ცოტა შორიდან უნდა დავიწყოთ. ქვეყნის მთავარი პრობლემა, რაზეც სამწუხაროდ, ყველა ერიდება საუბარს, ერის ვინაობის, ყოფნა-არყოფნის საკითხია. უძველესი ტრადიციების, ცივილიზაციის შემქმნელი ერი ვართ, თავი, აქამდე, იმიტომაც მოვიტანეთ. საოცარია, მაგრამ შუა საუკუნეებში, როდესაც სპარსელები, არაბები, მონღოლები გვიტევდნენ, ყოფნა-არყოფნის საკითხი, ასე მწვავედ, მაშინაც კი არ იდგა. ღალატიც იყო, ადამიანებით ვაჭრობაც, მაგრამ უნდა არსებობდეს თუ არა ქართველი ერი, საკითხი ასე არასდროს დამდგარა. ახლა, გლობალიზაციამ გაწერა, რომელი ერი უნდა არსებობდეს და რომელი არა. ამ მცირერიცხოვან ერებს შორის მოექცა განვითარებადი ქვეყანა საქართველოც. მიაჩნიათ, რომ განათლება არ გვჭირდება. შემოვიღეთ უნარ-ჩვევების სწავლება, რაც იმის მსგავსია ცირკში ცხოველს რომ წვრთნიან, მათრახს უქნევენ და ისიც კუთხეში დგება. სამწუხაროდ, ვინც აცნობიერებს თუ რა გვჭირს, ის დუმს, რადგან ქვეყანაზე კი არა, კარიერაზე ფიქრობს. ამიტომაც, დღეს ძნელად თუ გაიგონებთ ამერიკისადმი, დასავლეთისადმი კრიტიკას, აგრესია მთლიანად რუსეთისადმია მიმართული. კი, იგი დამპყრობელია, მაგრამ ჩემი აზრით, რუსულ ტანკზე, ხიშტზე საშიში ისაა, როცა დამპყრობელი ქვეყანა ცეცხლითა და მახვილით კი არ გაწიოკებს, არამედ დემოკრატიის ნიღაბმორგებული, ნუგბარით ხელდამშვენებული, თავისუფლების ლოზუნგებით მოდის. თან დახურული სივრცის ბნელეთისგან დახსნას და თავისუფლების ბაღნარის აყვავებას გპირდება. ქვეყნის დაპყრობის ასეთი მეთოდი გაცილებით უფრო ვერაგული და საშიშია, ვიდრე ცეცხლითა და მახვილით თავდასხმა. მახვილით შემოჭრილ მტერს, ჩვენი წინაპარი, მახვილითვე ხვდებოდა. მაგრამ დღეს, როცა „დემოკრატიის ყვავილების თაიგულს“ „გვთავაზობენ“ და ცრუ დაპირებებით თავბრუს გვახვევენ, საზოგადოების ტვინგამორეცხილ ნაწილს თავზარდამცემი რეალობის შეცნობა უჭირს, რომელიც საბოლოოდ, გადაშენებას გვიქადის. ეს ამერიკის დღევანდელი საგარეო პოლიტიკაა, რომლის მიზანი პლანეტარული იმპერიის შექმნაა და ამისთვის უკან არაფერზე დაიხევს.

დღეს, ყველაზე ხელისშემშლელი ფაქტორი გლობალიზაციისა და პლანეტარული იმპერიის შექმნისა ეროვნება, სარწმუნოება გახლავთ, რომლის წინააღმდეგ ჩვენი „მეგობრები“ ამერიკელები და დასავლელები ილაშქრებენ.

— რა ხერხებით ახორციელებს ამერიკა ჩვენი განათლებისა და კულტურის ამოძირკვას და რა არის გამოსავალი?

— ილია ამბობდა: ორი მტერი არსებობს, ერთი ცეცხლით და იარაღით მოდის, მეორე ეკონომიკით, ქვეყანაში მშვიდობიანი გზით გავლენას იხვეჭს, უნდა შენი განათლება და კულტურა ამოძირკვოს და თავისი დაამკვიდროსო. ეს სიტუაციაა დღეს საქართველოში. ამერიკა, ბოლო დროს, „მშვიდობიან ექსპანსიას“ ამჯობინებს, ბრძოლის იარაღად ეკონომიკურ და ფინანასურ მაქინაციებს იყენებს, რომელთა საშუალებით ამა თუ იმ ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკურ და განსაკუთრებით კი განათლებისა და კულტურის სივრცეებს იპყრობს, რა გზითაც მის ფიზიკურ და სულიერ მოშთობას ცდილობს. ამ შეტევის საბოლოო მიზანი ადამიანის მენტალიტეტისა და აზროვნების სტრუქტურის შეცვლაა, რასაც იგი „ცნობიერების შტურმით“ წარმატებით აგვირგვინებს. ედუარდ შევარდნაძეც ამას ემსახურებოდა, მაგრამ ცნობიერებაზე შტურმი, განსაკუთრებით, სააკაშვილის დროს დაიწყო. მათ, სწორედ, ქართული კულტურისა და განათლების მოსპობა სურთ. კულტურას განათლება და მეცნიერება ასაზრდოებს. ამ ბოლო დროს ჩატარებულ რეფორმებსა და მიღებულ კანონებს კარგად თუ გავაანალიზებთ, თითქმის ყველა სფეროში, დაწყებული განათლებით და სამხედრო დარგით დამთავრებული, აზრს მოკლებული ბრმა მიმბაძველობაა, რაც სხვა არაფერია, თუ არა „მაიმუნობა“, რომელსაც ქვეყნისთვის მხოლოდ ზიანი მოაქვს. „ცნობიერების შტურმი“ მიზნად ისახავს სრულიად მსოფლიოს ხალხების ერთ ვეება ქვაბში გადახარშვას, როცა ადამიანი საკუთარ თავსაც ივიწყებს და ერის ვინაობასაც.

„ცნობიერების შტურმის“, რომლის მთავარი ამოცანა აზროვნების ფილტრაცია, ანუ „ტვინის გამორეცხვა“ და „სპექტაკლის საზოგადოების“ დაბადებაა, რის შედეგადაც ადამიანმა საღი და კრიტიკული აზროვნება დაკარგა, მოექცა სოციალურ იზოლაციაში, აღარ ახსოვს თავისი ისტორიული წარსული და არც მომავალზე ოცნებობს. „ტვინის გამორეცხვას“ კარგად ახორციელებს პრესა, რომელიც მათ ხელშია. არ იფიქროთ, რომ რომელიმე ელექტრო-მედია ერზე, ქვეყანაზე ფიქრობდეს — დაწყებული „რუსთავი-2“-დან, „იმედით“, „მაესტროთი“ თუ „კავკასიით“ დამთავრებული ყველანი გაყიდულები არიან.

— მეორე მსოფლიო ომის დროს ჩერჩილს ბევერბრუკმა უთხრა: თუ გვინდა ქვეყნის თავდაცვა ბოლომდე განვახორციელოთ, განათლებას და კულტურას დაფინანსება უნდა მოვაკლოთო. ჩერჩილმა უპასუხა: თუ განათლება და კულტურა ვერ იფუნქციონირებს, მაშინ დასაცავი რაღა დაგვრჩებაო.

— ირაკლი ალასანიამ რამდენი იარაღიც არ უნდა შეიძინოს, ერს ვერ გადაარჩენს იმიტომ, რომ რუსის ტანკები 25 კილომეტრში დგანან და თუ დაიძრნენ, ვერაფერს გავხდებით. მთავარია განათლება გადავარჩინოთ. სტალინმა აკადემია ომიანობის დროს დააფუძნა. ჩვენი განათლება მაშინ დაინგრა, როცა ეს ავბედითი რეფორმები დაიწყო. დღეს „რესპუბლიკელები“, ლევან ბერძენიშვილი რომ ყელყელაობენ, სწორედ მათ დაიწყეს „თავისუფლების ინსტიტუტთან“ ერთად განათლების დანგრევა. ჩვენ თურმე, ჩამორჩენილები ვართ, განათლება საბჭოთა გადმონაშთიაო, თქვეს და დაიწყეს განათლების სისტემის რეფორმაცია, რასაც სათავეშიმაშინდელი განათლების მინისტრი ლომაია ჩაუდგა. იგი ყველაზე გათახსირებული კაცია, სწორედ მან დაიწყო ქართული განათლების განადგურება. ლომაიას სიტყვებია — ჩემს ეზოში არ მინდა ისეთი ხე, რომელსაც 30 წელი შეუსრულდაო. მოხდა თაობების გათიშვა.

ლომაიას დამსახურება იყო ისიც, რომ სკოლის პროგრამას შეუტიეს.

— შეტევაში რას გულისხმობთ?

— ყველა ნაწარმოები, რომელიც მოსწავლეში ეროვნულ ცნობიერებას აღვივებდა, პროგრამიდან ამოიღეს. ახლაც იგივე კურსი გრძელდება. თქვენ წარმოიდგინეთ, ბოლო დროს,

პროგრამიდან რაფიელ ერისთავის „არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს“ – ეს ლექსიც ამოიღეს. სკოლებში ის პროგრამა გადმოიტანეს, რომელიც ამერიკაში ძნელადაღსაზრდელი ბავშვებისთვის იყო განკუთვნილი. წინ წამოსწიეს არა ცოდნა, არამედ უნარ-ჩვევები. ამბობენ, თითქოს, ეს გონებამახვილობას, სისხარტეს, სწრაფ აზროვნებას უწყობს ხელს. სინამდვილეში,

კახა ლომაია

ეს ადამიანის აზროვნების სიღრმეს არ განსაზღვრავს. მაგალითად, აინშტაინი მეშვიდე კლასამდე ოროსანი იყო და მერე შექმნა დიდი თეორიები. აქცენტი უნარ-ჩვევებზე შეგნებულად გადააქვთ. ეს იმ ადამიანებზეა დაპროგრამებული, ვისაც ცხოვრებაში პრაქტიკული ინტერესი აქვს, ვისაც უნდა, რომ არა ცოდნა, განათლება და სულიერი სიმდიდრე ჰქონდეს, არამედ ეკონომიური სიმძლავრე.

– რაც შეეხება პედაგოგს, მას დღეს პიროვნების აღზრდის ფუნქცია აღარ აქვს...

– სკოლამ ფუნქცია დაკარგა, ყველაფერი მექანიკურად გადმოიღეს. მასწავლებელმაც დაკარგა ფუნქცია იმიტომ, რომ მოწაფე მას უტევს. გვავიწყდება, რა წერია „ახალ აღთქმაში“ – შეგირდი ოსტატზე მაღლა ვერასოდეს დადგება. ჩვენთან კი რა ხდება? – მასწავლებლებს უჩივიან, დევნიან, ხდება მათი ავტორიტეტის დაცემა. ამ ყველაფრის შეჯამებით მივიღეთ სკოლა, სადაც ცოდნა ნულზე ქვევითაა. ასევეა, ქართულ ენასა და ლიტერატურაში. დღეს, ვაჟასა და აკაკის ძეგლს ვერ არჩევენ.ეს დიდი უბედურებაა, განათლება მოსპობილია. ადრე, სტუდენტებთან ერთად გერმანიაში ვიყავი, მაშინ ყველაზე ნიჭიერი და განათლებულები ქართველი ბავშვები იყვნენ.

– ახლა კი „იუნისეფის“ მიერ ჩატარებული კვლევებით, ჩვენი ახალი თაობა, მსოფლიოში, ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებად განათლებული თაობაა.

– დიახ, ასეა. სამწუხაროდ, დღეს სხვა რეალობა გვაქვს. ბავშვის გარდაქმნა, მასონური იდეა საბავშვო ბაღიდანვე იწყება იმიტომ, რომ სანამ ყლორტია შეგიძლია გადაღუნო, თორემ ხედ რომ იქცევა, მერე ამის გაკეთება ძნელია. მერე უნივერსიტეტს შეუტიეს, ჩატარდა რეფორმა. რა რეფორმა იყო ეს? – ყველა პროფესორი განდევნეს და სოროსის ხალხი მოვიდა. როინ მეტრეველი გააძევეს, სამაგიეროდ, უნივერსიტეტს „პროფესორი“ თეა თუთბერიძე ჰყავს. ყველა დიდი მეცნიერი ვინც არ გაიზიარა ლოზუნგი – მიშა მაგარია, გააძევეს. სოროსმა ეს „რეფორმა“ პირველად რუსეთში დაიწყო. იმდროინდელი და ჩვენი ახლანდელი პროგრამა რომ ნახოთ, ერთი ერთში ემთხვევა. დღეს სოროსიზაცია ხდება, მათ შორის, უნივერსიტეტშიც. ლადო პაპავა ძალიან წესიერი კაცია, მაგრამ ვერაფერს აკეთებს, რადგან „ნაციონალების“ კუდები ისევ უნივერსიტეტში არიან და განათ-

ნიკა გვარამია

ლება არ აინტერესებთ – ფაკულტეტები მოსპეს, კაბინეტები დახურეს, კათედრები გააუქმეს. უნივერსიტეტი გახლავთ სწავლა და მეცნიერება. მათ, მეცნიერება, საერთოდ ამოიღეს. აღმოსავლეთმცოდნეობა ყველაზე ძლიერი, გონიერი ფაკულტეტი იყო. ახლა მარტო ენა იციან და მეტი არაფერი. მახსოვს, დიპლომს რომ ვიცავდი 187 გვერდი დავწერე, 160 შრომა მქონდა დასახელებული. დღეს 20 გვერდიან სადოქტოროს იცავენ, ისეთ სისულელეებს წერენ, გაგიჟდებით და დოქტორები ხდებიან. ისეთი წესები აქვთ, სტუდენტები დეკანები არიან. ასეთი ხალხის აზრით, მეცნიერების აკადემია თურმე, საბჭოთა გადმონაშთია. მეცნიერება საერთოდ გაანადგურეს, ყველა ინსტიტუტი სისტემიდან გაიყვანეს, გაყიდეს შენობები, შეამცირეს კადრები. მეცნიერ-მუშაკის ხელფასი 150 ლარია მაშინ, როცა პარლამენტის დამლაგებელი 1000 ლარს იღებს. ე

– ამას ხელს ისიც ხომ მარ უწყობს, რომ განათლების სამინისტროს სავარძელს, ბოლო პერიოდში, მუდმივად არაკომპენტენტური ადამიანები იკავებენ?

– დიახ. დავაკვირდეთ, რა ხალხი მოვიდა განათლების სამინისტროს სათავეში. **ლომაია** ამბობდა: ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ სკოლებში ისეთ ადამიანებს ვნიშნავთ, რომლებიც სპეციალისტები არ არიანო. ლომაიას მერე იყო პროკურორი **გვარამია,** რომელმაც „რუსეთის აგენტებზე“ ფილმები დადგა. ამ ფილმებისთვის, იგი, უნდა გასამართლდეს. გვარამია ამაყობდა ტოლსტოი არ წამიკითხავს და არც წავიკითხავო. მერე მოიყვანეს **შაშკინი**, ციხეების უფროსი. მან, მანდატურების ინსტიტუტი შემოიღო, ბავშვებს, მასწავლებლებს აშინებდნენ, ვითომ წესრიგს ამყარებდნენ. ეს წესრიგი კი არა დომხალი იყო. მერე მოვიდა **მარგველაშვილი** „თავისუფლების ინსტიტუტში“ გამოზრდილი და „სოროსის“ საზოგადოების აქტიური მოღვაწე. ეს კაცი ამბობს, რომ ქართველი ერი არის ავადმყოფი, რომლის მკურნალობა არ შეიძლება, ისინი დეგენერატები, განუვითარებლები არიანო. მარგველაშვილმა,

დიმიტრი შაშკინი

პრეზიდენტად დაწინაურების შემდეგ, მინისტრად თავის ბუღალტერი **სანიკიძე** დასვა, რომელსაც იაკობ გოგებაშვილი, მგონი, არც გაუგია, „თხა და გიგო“ არ აქვს წაკითხული. განათლების მინისტრი რომ იტყვის, არ გამეგება და არც მინდა ვიცოდე მეცნიერება რა არისო, რაზე უნდა ვილაპარაკოთ. მას, მეცნიერება სხვა რამ ჰგონია და განათლება – სხვა. ელემენტარული არ ესმის, რომ განათლება მეცნიერებაზეა დაფუძნებული. ეს პოლიტიკის ნაწილია, თორემ რა გახდა თუნდაც მისი

თამარ სანიკიძე

ნილ კოლაპსურ სიტუაციაზე. სად არის გამოსავალი?

– ახლა, ვითომ ტრენინგებს რომ ატარებენ იმას კი არ ასწავლიან როგორი უნდა იყოს განათლება, არამედ როგორ დაუდო ვინმეს ფეხი და ამით კარიერა გაიკეთო. ამიტომაა, რომ მეცნიერებას უტევენ, ეროვნული აკადემია, რომელიც მეცნიერების ქუდია და ინსტიტუტების სამეცნიერო მუშაობას წარმართავდა, საერთოდ დაშალეს. ახლა გვეკითხებიან, სამეცნიერო მართვის მეთოდები როგორი უნდა იყოსო? – ძველი მეთოდები უნდა დაბრუნდეს. ამ აკადემიამ, რომლის წევრებსაც საკაშვილი ჩარეცხილებს უძახის, ხიდაშელი დაჩმორებულებს და ბერძენიშვილი პანთეონს, შექმნა დიდი სკოლები. მათ დღეს საბჭოთა გადმონშთებს ეძახიან. ახლა ფუნქციას გვიხსნიან, უნდოდათ პარალელური აკადემიის შექმნა და ვერ შექმნეს. უნდათ მეცნიერება მოსპონ. ადრე, აკადემიას თავისი ბიუჯეტი ჰქონდა, ახლა განათლების სამინისტროს მიუერთეს. მათ განათლების განადგურება უნდათ, არადა ეს არის ჩვენი ერთადერთი ღირსება, ერთადერთი პროდუქტი, რომლის გატანაც შეგვიძლია. საზღვარგარეთ თუ ვინმე ცნობილი ექიმია თუ ფიზიკოსი, ქართველია. აქ ვერ ვუვლით. მოდაში შემოვიდა უცხოეთში სწავლა. ეს კარგია, ადრეც სწავლობდნენ, მაგრამ მერე ჩამოდიოდნენ და თავიანთ ცოდნას სამშობლოს ახმარდნენ. ახლა ბავშვები საზღვარგარეთ რომ მიდიან, იქ შეგნებულად უცვლიან აზროვნების სტრუქტურას და იქვე რჩებიან. მთელი უბედურება სწორედ ისაა, რომ ახალგაზრდობა წაგვართვეს. მათ დიდ ნაწილს აღარ აინტერესებს სამშობლო, ეროვნული ცნობიერება, ამბობენ ჩვენი სამშობლო იქ არის, სადაც უკეთ ვიცხოვრებთო. აი, სადამდე დაგვიყვანეს. უნდათ ბოლომდე მიიყვანონ საქმე – მოსპონ მეცნიერება, ყველაფერი გარეთ გაიტანონ. ფრანგი ელჩი ჩემს მეგობარს მერაბ ჯიბლაძეს ეუბნებოდა – თქვენ რად გინდათ უმაღლესი სასწავლებლები, ფერშლები უნდა იყოთ, თუ ავად გახდებით უცხოეთში იმკურნალებთო. ასე გვიყურებენ. რეფორმა, რომელიც ჩვენს განათლების სისტემაში „წარმატებით“ ტარდება, მანამდე ჩამორჩენილ აფრიკულ ქვეყნებში უგანდაში, ნიგერიასა და კამბოჯაში ჩაატარეს. ამ პროცესს საქართველოში ახორციელებს და წარმართავს ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაცია **„რტტ ინტერნეიშენელი“**. საუკუნეების ტრადიციის მქონე ხალხს, უგანდას დონეზე გვექცევიან.

სამწუხაროდ, ზვავი, რომელიც სააკაშვილმა და მისმა ერთგულმა „იანიჩარებმა“ დაძრეს, ინერციით ისევ მოძრაობს და ლამისაა წაგვლეკოს. თუ ქართველი ერი და მისი აბჯარი ქართული სახელმწიფო აღარ იარსებებს, თუ ქართველობა, ჩვენი ვინაობა გადაგვარდება და დედამიწის პირიდან წარიხოცება, რაღად ღირს ჩვენი ფიზიკური, სულდაწრეტილი არსებობა?!

თამარ შველიძე
555 23 28 24

ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲚᲔᲑᲘ"

უპირველესი მნიშვნელობით, პატრიოტია ის, ვისაც უყვარს თავისი სამშობლო და თავისი ქვეყნისა და ხალხის ერთგულია; აგრეთვე ის ადამიანია, რომელიც რისამე ერთგულია, რომელსაც რამე საქმე ძალიან უყვარს. ჩვენი ნარკვევის გმირები, სწორედაც რომ ზედმიწევნით ესადაგებიან გაზეთ „პატრიოტის" თემატიკას. ქართველები არ არიან, არც საქართველოში დაბადებულან, ამიტომაც უპირველესი განმარტებით ვერც პატრიოტები იქნებიან, მაგრამ ჩვენს ქვეყანას ისეთი ერთგულებით ემსახურნენ და ისეთი ღვაწლი დასდეს, რომ საქართველოს ნამდვილი პატრიოტები გახდნენ.

ᲝᲚᲘᲕᲔᲠ ᲓᲐ ᲛᲐᲠᲯᲝᲠᲘ ᲣᲝᲠᲓᲠᲝᲠᲞᲔᲑᲘ

და-ძმა მარჯორი და ოლივერ უორდროპებს ხშირად ყველაზე „ქართველ ბრიტანელებად" მოიხსენიებენ (10 ოქტომბერს ოლივერ უორდროპის დაბადებიდან 150 წელი შესრულდა). ინგლისში დაბადებული არისტოკრატული გვარის წარმომადგენლები საქართველოში ერთხელ სტუმრობის შემდეგ ისე დაინტერესდნენ ჩვენი ქვეყნით, რომ მისი ისტორიისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლა-პოპულარიზაციას მთელი ცხოვრება მიუძღვნეს. ევროპაში ყველაზე დიდი ქართველოლოგიური ბიბლიოთეკა უორდროპების ოჯახის ძალისხმევით შეიქმნა, ხოლო ოლივერის სახელს უკავშირდება მსოფლიო მნიშვნელობის საგანმანათლებლო ცენტრებში – ოქსფორდის უნივერსიტეტსა და ბრიტანეთის მუზეუმში ქართველოლოგიური მიმართულების დაფუძნება.

* * *

მოგზაურობაზე წიგნების კითხვამ და-ძმას უცხო ქვეყნების ნახვის სურვილი გაუჩინა. ევროპის ბევრი ქვეყნის მოვლის შემდეგ, 1887 წელს საქართველოში პირველი ოლივერ უორდროპი ჩამოვიდა, რომელსაც ილია ჭავჭავაძემ და ივანე მაჩაბელმა უმასპინძლეს. სტუმარი ისე დაინტერეს ქართული კულტურით, რომ მისი სრულყოფილად გაცნობის სურვილი გაუღვივეს: ოლივერმა მოიარა საქართველოს ყველა კუთხე, შეისწავლა ჩვენი ისტორია, გაეცნო ქართულ მწერლობას, მუსიკას და... აქაურობით მოხიბლულმა ინგლისში დაბრუნებისთანავე დაწერა და გამოსცა წიგნი **„საქართველოს სამეფო. მოგზაურობა ღვინის, ქალების და სიმღერების ქვეყანაში"**. უხვად ილუსტრირებულ გამოცემას თან ერთვის საქართველოს ფერადი რუკა და მოგზაურობის მარშრუტი (ეს წიგნი ოლივერის ვაჟმა – ანდრო უორდროპმა, თავისივე წინასიტყვაობით 1977 წელს ხელმეორედ დაბეჭდა). რასაკვირველია, ამ წიგნის ამბავმა საქართველომდეც მოაღწია და მის შინაარსს გაზეთი „ივერია" ქართველ მკითხველს თანდათან აცნობდა.

„კარგად განათლებულმა ხალხმა მხოლოდ ის იცის, რომ საქართველო განთქმულია ლამაზი ქალებით, მაგრამ არავინ იცის სპარსეთის, ოსმალეთის, თუ რუსეთის მფლობელობაში არიან ეს მშვენიერი ქმნილებანი... საქართველოში განუზომელი მასალაა, რომელიც ჯერ სრულიად ხელუხლებელია... ქართველი მარტო სახით კი არ არის სასიამოვნო სანახავი, ეს ხალხი ნამდვილად სანდომიანი ხალხია... ვისაც სურს, წავიდეს და იცხოვროს ამ მხიარულ, გულღია, პატიოსან და ალალ ხალხთან...", – წერს წიგნის შესავალში ოლივერ უორდროპი.

„საქართველოს სამეფომ" და ოლივერის ნაამბობმა ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ **„მიზიდა ჩემი ცნობისმოყვარეობა და აღმიძრა გულში ინტერესი საქართველოს, იმის მხნე და მშვენიერი ერისა"**, – ასე გადმოგვცემს თავის პირველ განწყობილებებს მარჯორი უორდროპი და „აღძრული ინტერესის" დასაკმაყოფილებლად ქართული ენის დამოუკიდებლად შესწავლას იწყებს – მარი ბროსეს „ქართული ენის თვითმასწავლებლითა" და სახარების ქართული თარგმანით.

ოლივერ უორდროპის ძირითადი საქმიანობა დიპლომატიურ ასპარეზზე გრძელდებოდა. 1892 წელს ბრიტანეთის ელჩის პირად მდივნად დანიშნეს პეტერბურგში, სადაც დასთან ერთად ჩავიდა. რუსეთის იმდროინდელ სატახტო ქალაქში მათ გაიცნეს იქ მოღვაწე ქართველი მეცნიერები ალ. ხახანაშვილი და ალ. ცაგარელი, რომლებიც უზომოდ გაახარა ინგლისელი და-ძმის საქართველოთი დაინტერესებამ – ყოველმხრივ ეხმარებოდნენ, რომ ქართულის ცოდნა გაეღრმავებინათ, ქართული მწერლობა შეესწავლათ და ქართულ კულტურას ზიარებოდნენ...

1894 წლის დეკემბრის ერთ-ერთ ნომერში „ივერია" წერდა:

„დღეს, შაბათს, 3 დეკემბერს, დილით ჩამოვიდა თბილისში ლონდონიდან მის მარჯორი ვარდროპი, რომელიც ისე თანაგრძნობით ეკიდება ყოველივე ქართულს და იმ აზრით არის ჩვენს სამშობლოში წამოსული, რომ ქართული ენა უფრო სავსებით შეისწავლოს. ყმაწვილ ქალთან ერთად მოდის მისი დედაც მისის ვარდროპი".

დედა-შვილი საქართველოში ხანგრძლივად დარჩა – თბილისში სამი კვირა გაატარეს, ხოლო შემდეგ დასავლეთ საქართველოს ესტუმრნენ, შობა-ახალი წლის დღეები და შემდგომ მთელი იანვარიც დასავლეთ საქართველოში გაატარეს. შემოიარეს ქუთაისი, გელათი, მოწამეთა, ნიგოითი, ჯუმათი, სუფსა, ოზურგეთი, შემოქმედი და ბათუმიდან, ოდესის გავლით, სამშობლოში გაემგზავრნენ.

საქართველოში თავისი პირველი ორთვიანი მოგზაურობის შთაბეჭდილებები მარჯორიმ აღწერა თავის დღიურებში – „1894-95 წლებში საქართველოში მოგზაურობის შესახებ" (იგი დაცულია ოქსფორდის უნივერსიტეტის ბოდლის ბიბლიოთეკაში, რომელიც ვატიკანის ბიბლიოთეკის დარად ევროპაში უძველესი და დიდ ბრიტანეთში ყველაზე დიდი წიგნთსაცავია).

ქუთაისში სტუმრად იმყოფებოდნენ ქართული ეკლესიის გამორჩეულ მოღვაწე გაბრიელ ეპისკოპოსთან (ქიქოძესთან); ნიგოითში ეწვივნენ თავად მაჭუტაძის ოჯახს, რომლის დიასახლისს, წარმოშობით ინგლისელ ანა ტარსკის ერთხანს „იასნაია პალიანაში" ლევ ტოლსტოის შვილების აღმზრდელად უმუშავია. ჯუმათის მონასტრის დათვალიერების შემდეგ მათ სამთავრო რეზიდენციაში უმასპინძლა ტელემაქ გურიელმა, ქართველი პოეტის მამია გურიელის ძმამ. გურიაში ყველაზე დიდხანს დარჩნენ, დაუახლოვდნენ გურიელების ნათესავებს, შინა მოსამსახურეებსაც კი და ისე შეეთვისნენ მათ, რომ ნათესავებად მოიხსენიებდნენ (შემდგომ კიდევ ერთხელ ეწვივნენ ამ ოჯახს, ამჯერადდ ოლივერთან ერთად, რომელსაც ძალზედ მოსწონებია დიასახლისის და – მშვენიერი ვენერა და მისი ცოლად შერთვა მოუნდომებია. ნათესავებმა იუარეს, მაგ სიშორეზე რომ გავათხოვოთ, ხომ სამუდამოდ დაგვეკარგებაო. მარჯორიმ, უკვე მძიმედ ავადმყოფმა, სთხოვა ძმას, ვენერასთვის მისგან საჩუქარი წაეღო და ცოლად მოეყვანა. ოლივერი ჩამოვიდა საქართველოში, მაგრამ ვენერა როსტომ წერეთლის დანიშნული დახვდა...)

გურიელებთან სტუმრობის შემდეგ გაემგზავრნენ „გურიის დედაქალაქში" – ოზურგეთში, რომელიც „ძლივს აღემატება დიდ სოფელს". დედა-შვილზე საოცარი შთაბეჭდილება მოუხდენია შემოქმედის მონასტერს და იქ დაცულ საგანძურს.

გაზეთი „ივერია" თვალს ადევნებდა ინგლისელი სტუმრების მოგზაურობას და დროდადრო მათზე ადგილობრივთაგან გაგზავნილ კორესპონდენციებსაც ბეჭდავდა. ერთ-ერთის ავტორი ცნობილი მესტამბე კ. თავართქილაძეა:

„ოზურგეთი. 25 ამ თვეს (იანვარს) ოზურგეთში გვეწვივნენ ინგლისელი სტუმრები და 26-ში დაათვალიერეს შემოქმედის მონასტერი, მისი ძვირფასი დიდი სიმდიდრე და ხელოვნება. ხოლო 27 იანვარს შემოვიდნენ ჩვენს წიგნის მაღაზიაში და წიგნთ-საცავში, საიდანაც ათი-თორმეტი მანეთის წიგნები წაიღეს, რომელიც თბილისში ვერ ეშოვნათ. მართალი უნდა მოგახსენოთ, ჩემს სიხარულს და აღტაცებას საზღვარი აღარ ჰქონდა, როდესაც მშვენიერის ქართულის კილოთი მითხრეს: ახალ სენაკში და ოზურგეთში დაბეჭდილი წიგნები, რაც გაქვთ, მოიტანეთო.. ჩვენი ქართველი „ბარიშნები" და „დამები" რომ შემოდიან მაღაზიაში, მეუბნებიან „აკაკის საჩინენიას" შენს „ტიფოგრაფიაში" რატომ არ ჰბეჭდავო", ან კიდევ „ნოვი სენაკის" „ტიპოგრაფიაში" უფრო „დახოდი" გაქვს თუ ოზურგეთშიო..."

გურიაში ხანგრძლივად ყოფნა მარჯორის ქართულ მეტყველებასაც დაეტყო და მის ნაწერსაც. ინგლისელის „გურულობის" მომსწრე აკაკი წერეთელიც გამხდარა:

„ამას წინათ ერთი ახალგაზრდა, ცქრიალა ინგლისელი ქალი გამეცნო, რომელიც კარგად ლაპარაკობდა ქართულად, მხოლოდ გურულად კი უქცევდა კიდეც. მე, რასაკვირველია, ის ჩვენში დაბადებული და აქვე გაზრდილი მეგონა, მაგრამ გამოდგა, რომ სტუმრად ყოფილა მოსული ერთ მის ნათესავთან და მას აქეთ, რაც მოსულა, ორი წელიწადის მეტი გასულა. გამიკვირდა და ვკითხე: – ასე ჩქარა როგორ შეისწავლეთ მეთქი? სიცილით მიპასუხა: „თუ კი მოინდომებ, ორი წლის განმავლობაში რომ კაცმა ენა ვერ ისწავლოს „აბდალა უნდა იყოსო". ეს რომ თქვა, ალბათ იფიქრა ჩემზე, „აბდალას" ვერ გაიგებსო და გადაასწორა – „უვარგისიო". უნდა მოგახსენოთ, რომ პატივისცემა ვიგრძენი და მარტო ამ ქალისადმი კი არა, თვით იმ ხალხისადმიც კი, რომელსაც ამ გვარი ქალები ეკუთვნოდნენ..." („საუბა-

ᲛᲐᲠᲯᲝᲠ ᲣᲝᲠᲓᲠᲝᲠᲞᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲡᲐᲛᲝᲡᲨᲘ

რი ინგლისელ ქალთან“).

საქართველოში უორდროპებს ყველგან გულუხვ მასპინძლობას უწევდნენ. მარჯორის დღიურში ვკითხულობთ:

„ქართველებს უყვართ სტუმარი. სტუმრის პატივისცემა მათთვის ერთ-ერთი პირველი ღირსებათაგანია. გარდა უცხოელისადმი მათი ბუნებრივი სიყვარულისა, ისინი განსაკუთრებით დაინტერესდნენ ჩვენით, რადგან ჩვენ ქართული ენა შევისწავლეთ და მათ სანახავად მოვედით. გულითად და აღფრთოვანებულ შეხვედრებს გვიწყობდნენ ყველგან და ეს შეხვედრები გვინაზღაურებენ ამ დიდ ცდასა და მძიმე საათებს, რაც მათი ენისა და რთული ქართული ზმნის შესწავლას მოვანდომეთ...“

სტუმრებს ოზურგეთის კლუბში გამოსამშვიდობებელი ვახშამი გაუმართეს: **„არასდროს დამავიწყდება ამ კეთილი გურულების ენთუზიაზმი და საუკეთესო სურვილები. ყველანი გვეპატიჟებოდნენ, უამრავი ოჯახი გვიწვევდა. წვეულება ორ საათს გაგრძელდა და მხოლოდ იმის გამო წამოვიშალეთ, რომ ბათუმში მიმავალ მატარებელს უნდა გავყოლოდით...“** — წერს მარჯორი თავის დღიურში.

და-ძმის მონდომებისა და დაუღალავი შრომის შედეგად ლონდონში გამოიცა ოლივერის ნათარგმნი სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“ და მარჯორის თარგმნილი „ქართული ზღაპრები“. მარჯორიმ ილია ჭავჭავაძის „განდეგილის“ თარგმნა განიზრახა და ავტორს ქართულად შედგენილი წერილით ნებართვა სთხოვა. ილია თანხმობის ბარათში წერს:

„ყოველ ქართველს თავმოსაწონად ექმნება, რომ თქვენ და თქვენ პატივცემულ ძმას, ჩვენი ყველასაგან დავიწყებული ქვეყანა შეგყვარებიათ და მოგწონებიათ... გსურთ თქვენს ერს მისი ავი და კარგი აუწყოთ იმ სიყვარულითა და გულისტკივილით, რომელიც ასე ამშვენებს ადამიანს, რომელიც დაუფასებელია ბედისგან ჩაგრულთათვის“.

პოემად თარგმნილმა და ლონდონში 1895 წელს დაბეჭდილმა „განდეგილმა“ საქართველოში ჩამოაღწია. ოლდა გურამიშვილი სამადლობელო წერილს სწერს მარჯორი უორდროპს: **„ჩინებული განძი აჩუქეთ ჩემს ქმარს. ჩვენთან იყო კარგი მცოდნე ინგლისურის ენისა და განცვიფრებაში მოვიდა ისე ჩინებული ოსტატობით გითარგმნიათ“.** მოგვიანებით ილიამაც გაუგზავნა წერილი: **„დიდად გმადლობთ ამ ჩემთვის ძვირფას საჩუქრისათვის. ყველამ ძალიან მოიწონა თქვენი თარგმანი და მოვალედ ვრაცხ ჩემს თავს ამისათვის ჩემი გულითადი მადლობა გამეორებით მოგახსენოთ... თქვენ ქართულიდამ გითარგმნიათ საბა-ორბელიანის ნაწერიცა. იმედი მაქვს, რომ მარტო ამ ამბებს არ იკმარებთ და ბევრს სხვას კიდევ გადასთარგმნით და მით დიდ ღვაწლს დაგვდებთ ქართველებს... მიხარიან, რომ თქვენის განათლებულის შემწეობით, დიდი ერი ინგლისისა, ცოტად თუ ბევრად შეიტყობს, რომ არის ქვეყანაზე ერთი მივიწყებული პატარა ქართველი ერი და აქვს თავისი ლიტერატურა, რომელშიაც ინახავს თავისის სულის და გულის საუნჯესა...“**



„ᲕᲔᲤᲮᲘᲡᲢᲧᲐᲝᲡᲜᲘᲡ“ ᲘᲜ�გᲚᲘᲡᲣᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ

უორდროპებს ყოველთვის გაცხოველებული მიმოწერა ჰქონდათ ქართველ მწერლებთან, მთარგმნელებთან, საზოგადო მოღვაწეებთან, რომლებსაც დიდად ეიმედებოდათ და-ძმის საქმიანობა — ქართული მწერლობისა და კულტურის დასავლეთევროპელებისთვის გაცნობა. ეს წერილები მნიშვნელოვანია იმითაც, რომ შეგვიძლია თვალი მივადევნოთ, რას და როგორ თარგმნიდნენ, რა სიძნელეებს აწყდებოდნენ და რა გეგმები ჰქონდათ.

მარჯორი უორდროპს თავის უპირველეს საქმედ მიაჩნდა, ინგლისურად ეთარგმნა ქართველთა საუნჯე და მსოფლიო კულტურის შედევრი შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ და ამ შრომას მთელი სიცოცხლე შეალია. მის შესწავლას 1891 წლიდან მოჰკიდა ხელი, ანუ ვიდრე უშუალოდ გაეცნობოდა საქართველოს და ათ წელიწადზე მეტ ხანს იმუშავა. მარჯორის დიდ დახმარებას უწევდა ალ. ხახანაშვილი, რომელიც მკვლევარს პოემასთან დაკავშირებულ ყველანაირ ლიტერატურას უგზავნიდა. **„ეს შრომები ძვირფასი შენაძენია ჩვენი ქართული ბიბლიოთეკისათვის, რომელიც მუდამ იზრდება და ამჟამად შეიცავს თითქმის შვიდასამდე წიგნს...“** 1900 წლით დათარიღებული ეს წერილი იმითაც არის საინტერესო, რომ მარჯორი ატყობინებს მეცნიერს, **„შავად უკვე დავასრულე „ვეფხისტყაოსნის“ სრული თარგმანი და ვიმედოვნებ, კვლავ ვიმუშაოთ მასზე, მალე გავაუმჯობესებ და შევასწორებ“.**

სხვა წერილში — ანასტასია თუმანიშვილ-წერეთელს სწერს, „ვეფხისტყაოსანი“ ხელახლა ვთარგმნე, ადრინდელი არ მომწონდა და ვფიქრობ, გაზაფხულისთვის დავასრულოო. 1900 წელს კი, უკვე მძიმედ დაავადებული, თარგმნილი ტექსტის მესამედ შედარებას აპირებდა პოემის დედანთან და იმასაც იტყობინებოდა, რომ ჩახრუხაძეს ეცნობოდა.

მარჯორის სურდა მკითხველს ინგლისურად ნათარგმნი „ვეფხისტყაოსანის“ კითხვისას შეეგრძნო ავტორის გენიალობა და პოემის უნიკალურობა. მარჯორი უორდროპის თარგმნილ „ვეფხისტყაოსანზე“ თედო სახოკია წერდა:

„თითქმის ოცი წლის შრომა მოანდომა, ჰკრეფდა თუ რამ დაწერილა ან იწერებოდა ამ პოემის და მისი ავტორის შესახებ რუსულად, ფრანგულად, ბერძნულად. იკვლევდა ყოველი სიტყვის მნიშვნელობას ცალ-ცალკე, იშველიებდა ყველას, ვისაც კი შეეძლო საეჭვო ადგილი ასე თუ ისე განემარტა. თარგმანი პროზადაა, მაგრამ ისეთი დახვეწილი პროზით, რომელიც კარგ ლექს არ ჩამოუვარდებოდა“.

მარჯორი უორდროპმა პოემის გალექსვაც სცადა, მაგრამ გაუჭირდა. მალევე დაავადდა ჭლექით, დიდხანს იავადმყოფა და 1909 წელს ბუქარესტში გარდაიცვალა, საიდანაც ინგლისში გადაასვენეს და საგვარეულო განსასვენებელში დაკრძალეს. ერთი წლის შემდეგ, 1910 წლის „სახალხო გაზეთში“ დაიბეჭდა წერილი, რომლის ავტორი ტრიფონ ინასარიძე მოგვითხრობს გურიაში უორდროპების ოჯახის მოგზაურობაზე:

„დავათვალიერეთ დიდებული შემოქმედის მონასტერი, რომელიც ისეთ საუცხოო ადგილას არის აშენებული, რომ თვით ინგლისის შვილს — ჩვენი ქვეყნის მოტრფიალე მარჯორი უორდროპს ანატრა აქ სიკვდილი და ანდერძიც დატოვა, დაემარხათ მის გალავანში, მაგრამ არ აუსრულეს ანდერძი და ბურუსიან ინგლისის მიწას მიაბარეს“.

ოლივერმა დის გარდაცვალებიდან სამი წლის შემდეგ ლონდონში გამოსცა „ვეფხისტყაოსანი“, რომელსაც დაურთო ბიბლიოგრაფიული ცნობები, აგრეთვე სახელთა, პირთა და გეოგრაფიულ სახელწოდებათა საძიებელი (ეს თარგმანი მეორედ უკვე საქართველოში გამოიცა — 1938 წელს). წინასიტყვაობაში ოლივერ უორდროპი წერდა:

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲛᲔᲗᲝᲠᲛᲔᲢᲘᲡ ᲯᲕᲐᲠᲘ

„ეს ნაშრომი ცდაა პირდაპირი სიტყვით თარგმნილიყო ის წიგნი, რომელიც ერთი ბრწყინვალე წარსულის მქონე განათლებული ერის სარკეა. ეს სარკე ალაგ-ალაგ გაბზარული და დაზიანებულია, დროის და უიმედობის გავლენით... ამ წიგნს განსაკუთრებული ადგილი ეჭირა იმით, რომ მთელი შვიდი საუკუნის განმავლობაში ერის სიკითხავ წიგნად მიიჩნეოდა. უკანასკნელ ხანამდე ახალგაზრდობა მას ზეპირად სწავლობდა. ყოველ გასათხოვარ ქალს მოეთხოვებოდა, ყოველი სიტყვა ამ წიგნისა ზეპირად სცოდნოდა და გათხოვებისას ამის ხელნაწერიც თან გაჰყოლოდა. „ვეფხისტყაოსნის“ გმირის ამბავი წარმოადგენს ქართველთა ცხოვრების სურათს და მოწმობს იმას, რომ მისი ღირსება ცხადქმნილია 700 წლის ცხოვრებით, რომელიც უმეტეს წილად ტანჯვითა და წვალებით იყო სავსე... საქართველო განმარტოებით იდგა და განმარტოებით ზიდა თავისი მოწამებრივი და დიდებული ჯვაროსნული ბრძოლა... რუსთაველის პოემის გაცნობა სასარგებლოა მთელ კაცობრიობისათვის, რადგან ის გმირობის, ვაჟკაცობისა და წმინდა სიყვარულის იდეებს შთააგონებს ადამიანს...“

„ვეფხისტყაოსნის“ ამ გამოცემამ უზომოდ გაახარა ქართველი საზოგადოება, რადგან ეს თარგმანი იყო პირველი მცდელობა, რუსთაველის ეს უკვდავი შედევრი ეროვნულ საზღვრებს გასცილებოდა. ამბობდნენ, რომ ნიკო მარიც კი, რომელიც ძნელად თუ შეაქებდა ვინმეს, თარგმანს საუკეთესოდ აფასებდა. თედო სახოკია კი თარგმანის შეფასების შემდეგ გულისტკივილით ამბობდა:

„იქნებ ინგლისელის მიერ გაწეულმა ამ უებრო შრომამ გულისხმაში ჩაგვაგდოს ქართველობა და ჩვენს გონებრივ საუნჯეს უფრო მეტი ზრუნვით მოვეპყრათ... იქნებ ჩვენც დავაარსოთ რუსთაველის პოემისა და ენის შემსწავლელი საზოგადოება (თუ საზოგადოებანი არა), მსგავსად იტალიელთა, რომელთაც თითქმის ყველა ქალაქში აქვთ დაარსებული „დანტეს საზოგადოება...“



ᲝᲚᲘᲕᲔᲠ ᲣᲝᲠᲓᲠᲝᲠᲞᲘᲡ ᲬᲘ�გᲜᲘ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲛᲔᲤᲝ“

რამდენი წელი გაივლის, ვიდრე საქართველოში საფუძველი ჩაეყრება რუსთველოლოგიას...

მარჯორის თარგმნილი „ვეფხისტყაოსნით“ გაჩენილ ინტერესზე გვიამბობს რუსი პოეტი კონსტანტინე ბალმონტი:

„1912 წელს, საოკეანო სივრცეში, კანარის კუნძულების სიახლოვეს გავიცანი ოლივერ უორდროპი, რომელსაც ხელთ ჰქონდა მისი დის, მარჯორი უორდროპის მიერ დიდი სიყვარულით შესრულებული რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნილი ტექსტი. ისე მოვიხიბლე პოემის ენითა და სიდიადით, ჩემთვის უცნობი პოეტური სამყაროთი, რომ ქართველი გენიოსის პოემის რუსულად თარგმნა გადავწყვიტე“ (XIX საუკუნეში არსებობდა პოემის ნაწყვეტების თარგმანები, ბალმონტმა სრულად თარგმნა).

მარჯორის სურვილი, ბრიტანეთში ქართული ხელნაწერებისა და წიგნების ბიბლიოთეკა შექმნილიყო, მისი ოჯახის წევრებმა აასრულეს: დედამ ოქსფორდის უნივერსიტეტს ქართული კათედრის დასაარსებლად თანხა შესწირა. შეიქმნა მარჯორი უორდროპის სახელობის ქართულ წიგნთა და ხელნაწერთა ფონდი. ამ უნივერსიტეტში არსებულ ბოდლის წიგნთსაცავში უამრავი წიგნი იყო დაცული აღმოსავლეთის ხალხთა ენებზე, გარდა ქართულისა. ოლივერმა ევროპის ქალაქებში მოიძია და შეიძინა ბევრი ქართული წიგნი, რარიტეტული გამოცემა და მარჯორის სახელობის ფონდს გადასცა. წიგნებს საქართველოშიც აგროვებდა.

ოლივერ უორდროპს საქართველოში კიდევ მოუწევს ჩამოსვლა, ოღონდ ამჯერად, როგორც დიპლომატს — 1919-1921 წლებში ის დიდი ბრიტანეთის პირველი წარმომადგენელი იყო საქართველოში და დიდი მუშაობა გასწია უცხოეთის ქვეყნებში, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ეღიარებინათ.

უორდროპების ოჯახისადმი მადლიერების ნიშნად, ქართველ ქალთა საზოგადოებამ, ქართველი ხალხის სახელით, 1920 წლის 14 იანვარს ნინოობა მიულოცა ოლივერ უორდროპის ქალიშვილს ნინოს და უსახსოვრა გიორგი მეცამეტის სამეფო ოქროს ჯვარი ყელსაბამით. ელისაბედ ორბელიანმა, ბარბარე ყიფიანმა (ერეკლე მეორის შთამომავალი), თამარ გელოვანმა და სხვებმა 130 ათასი მანეთი შეაგროვეს, შეისყიდეს ეს ჯვარი და ოლივერ უორდროპს გადასცეს.

ხანშიშესულმა ნინო უორდროპმა ქართველი ერისთვის ესოდენ მნიშვნელოვანი რელიკვია გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში ბრიტანეთის მუზეუმს გადასცა, ვაითუ, ვერ ვუპატრონოო. მუზეუმში გურამ შარაძეს ჯვარი უჩვენეს, მისი შესწავლის ნება კი არ დართეს; ქართული სიძველეების მაძიებელი, ცნობილი ისტორიკოსი მედეა აბაშიძე პირველი მკვლევარია, რომელსაც მუზეუმმა ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის გიორგი მეთორმეტის ჯვარის აღწერის შესაძლებლობა მისცა.

შეუფასებელი ღვაწლი დასდო ამ ინგლისურმა ოჯახმა საქართველოს. და-ძმა უორდროპებმა თავიანთი თარგმანებით ინგლისელ მკითხველს გააცნეს მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობის საუკეთესო ნიმუშები და ქართულ-ბრიტანული ურთიერთობის მესაძირკვლენი გახდნენ.

ᲔᲚᲖᲐ ᲜᲐᲑᲐᲮᲢᲔᲕᲔᲚᲘ

გაგრძელება. დასაწყისი იხ. წინა ნომერში

მოვიაროთ და მოვუაროთ საქართველოს

წულრუღაშენის ტაძარი

რაღაცნაირად ყელმოღერებულია მდინარე ფოლადაურის მარჯვენა მხარეს, მთის კალთაზე (ვახუშტის მიხედვით „მცირე მთა ბოლნისისა) ლამაზად „ამოსული“ წულრუღაშენის ტაძარი, რომელიც XIII საუკუნით თარიღდება და მისი სილუეტი საკმაოდ შორი მანძილიდან მოჩანს. ტაძრის შესახებ არანაირი ისტორიული ცნობა არ მოიპოვება, მხოლოდ ის არის ცნობილი, რასაც თვით ძეგლის სამი წარწერა ამბობს, თუმცა, ტექსტები არ შეიცავს ძეგლის დამთარიღებელ არც ერთ პირდაპირ მონაცემს. ვერც ის ირკვევა, რომელი „გიორგია“ ნახსენები; ვინ არის „ჰასან არსენის ძე“ რომელიც აგებდა ამ ტაძარს; რომელ ტერიტორიას მოიცავდა მისი მამული „გუნბადი“ (თუ „გონბადი“); რომელ გვარს ეკუთვნოდა ეს შეძლებული ფეოდალი; დღევანდელი სახელით – „წულრუღაშენი“, პირველად იხსენიება ორბელიანთა შემოსავლების ნუსხაში მე-17 საუკუნის დასაწყისში და ირკვევა, რომ ამ სახელის მატარებელი ორი სოფელი ყოფილა. დღეს, ერთი თვალის შევლებით ნასოფლარის კვალიც არ ჩანს, თუმცა რეალურად ისინი არსებობს... თვით ვახუშტი ასე აღწერს: – „...მონასტერი წულრუღაშენის, გუმბათიანი, შვენიერ ნაშენი შვენიერს ადგილს და აწ უქმ არს“, თუმცა, რატომ გაუქმდა და როდის, არაფერს ამბობს. თუ წულრუღაშენი მართლა მონასტერი იყო, უნდა ჰქონოდა დამხმარე ნაგებობებიც, რომელიც ჩვენამდე არ არის მოღწეული, თუმცა ტაძრის ჩრდილოეთით, დღევანდელი გალავნის ფარგლებში ქვების საეჭვო გროვაა... ყველა შემთხვევაში, წულრუღაშენის ძეგლის საუკეთესო ნაწილად სწორედ გუმბათის ყელია მიჩნეული, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, აბსოლუტურად განსხვავებულ სახეს აძლევს ისტორიულ მართლმადიდებლურ გუმბათოვან ტაძარს

ტანძია

ტანძია და სულხან-საბა ორბელიანის დაბადების ადგილი, გარდა იმისა, რომ მისივე სახელობის ლიტერატურული მუზეუმითაა ცნობილი, აქვეა შემონახული ორი ეკლესია და სასახლის ნანგრევები. ერთი ეკლესია 1670 წელს აუგია პაპუნა ორბელიანს, ხოლო მეორე, წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესია – სულხან-საბას მამას, ვახტანგ მდივანბეგს. ეს ალბათ ერთადერთი ადგილია იმ პერიმეტრში, სადაც მართლაც ყინულივით ცივი წყარო მოედინება და ძძვებს სიმწვანე სჭარბობს (ფათახი სხვა მხარესაა და საკმაოდ მოშორებითაც)...

მარშრუტი: თბილისი – რუისი – ურბნისი – სამთავისი – ბებრის ციხე

აღნიშნულ მარშრუტზე გამგზავრება რომ დაიგეგმა, ნაცნობებს შევეხმიანე, ასე ვთქვათ, დავპატიჟე. ნეტავ, კრინტი არ დამეძრა – ჩემდა სამწუხაროდ და ამავდროულად გასაოცრად აღმოვაჩინე, რომ ზოგ მათგანს, თავმომწონესა და ცალკე – ე.წ ეკლესიურად ცნობილს, რუის-ურბნისი ერთი ტაძრის სახელწოდება ეგონა... თუნდაც იმიტომ უნდა იცნობდე შენს სულიერ თუ ნივთიერ საგანძურს, რომ უხერხულ მდგომარეობაში არ ჩავარდე, ერთმანეთისგან განასხვავო რუისის ღვთისმშობლის ტაძარი და ურბნისის სიონი ეპარქიის სახელწოდება რუის-ურბნისისგან...

რომ გავემგზავრეთ, ჯერ კიდევ კარგი ამინდები იყო, რაც უპირველესად ახარებს მოგზაურს, მაგრამ კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, ქართლში დიდი იმედი არ უნდა იქონიო რომ ჩრდილს იპოვი და წყაროს ცივი წყლით ბევრგან მოიკლავ წყურვილს. რაც შეეხება გზას – მისასალმებელია, რომ ჩქაროსნული ტრასა კვლავაც იგება, მაგრამ გზა მხოლოდ ვინმეს დასანახად არ უნდა იგებოდეს, ის ერთნაირად სჭირდება ქალაქსაც და სოფელსაც, მითუფრო, თუ კონკრეტულ ადგილზე კულტურის ისეთი ძეგლებია, რომლებიც საუკუნეებს ითვლიან და მემატიანეებად დგანან. გზას ვინღა ჩივის, გზის მაჩვენებელიც კი არ იყო. გზაზე წარმოებული სამუშაოების გამო ისედაც შეფერხებულად მოძრავებმა, ორჯერ ავუარ-ჩავუარეთ რუისის გადასახვევს და სანამ არ მიგვასწავლეს, მხარნაქცევებივით დავბორიალობდით. მეტნაკლებად მხიარული საზოგადოება რომ არ ვყოფილიყავით, ალბათ, ტურის ხელმძღვანელს, ლაშა ჩხარტიშვილს დაატყდებოდა რისხვა, მაგრამ გადარჩა. ეს რა თქმა უნდა, ხუმრობით, თორემ ის, რომ საგზაო მანიშნებლები საჭირო ადგილებზე არ დგას (როგორც კიდევ ბევრჯერ აღმოჩნდა) საქართველოს ტრასებზე სერიოზული პრობლემაა. ამ დროს, დასავლეთიდან თბილისში შემოსასვლელამდეა მრავალგზის გამეორებული საგზაო ნიშანი, რომ სოხუმი ზურგსუკანაა, თეირანი კი პირდაპირ, 2000 კმ-ის იქით – სხვა თუ არაფერი, უხერხულია...

რუისის ღვთისმშობლის ტაძარი

მოგზაურისთვის ძნელია იმის განსაზღვრა, მტვრიანია კონკრეტული რაიონი თუ სწორედ იმ მომენტშია მტვერში გახვეული, რადგან იქვე, ორიოდე ნაბიჯში საგზაო სამუშაოები სრულდება, მაგრამ მოუვლელი და უყურადღებოდ მიტოვებული რომ არის ფაქტად დაგვხვდა. საინტერესოა, ქარელის მუნიციპალიტეტს რა ევალება?

თავი იმითდა დავიმშვიდეთ, რომ სოფელ რუისში კოპწიად და მოვლილი დაგვხვდა მრავალგზის აღდგენილ-გადარჩენილი ღვთისმშობლის ტაძარი, თითქოს სხვა სახელმწიფოში შევაბიჯეთ. არაფერი განსაკუთრებული ხმა არ ისმოდა, მაგრამ რაღაცნაირი განწყობა იყო, თითქოს საზეიმო, მხიარული, ისეთი, თავისუფლად რომ სუნთქავ...

ტაძრის თავდაპირველი ნაგებობიდან გეგმის ძირითადი მონახაზი და შენობის აღმოსავლეთი ნაწილია შემორჩენილი. როგორც ჩანს, ტაძარი თავდაპირველად მოყვითალო-მომწვანო და იასამნისფერი ქვიშაქვის კვადრებით ყოფილა ნაგები, აღდგენა შეკეთებისას კი მოშავო-მონაცრისფრო ბალასტის კვადრები, შირიმი და აგური გამოუყენებიათ.

გადმოცემის მიხედვით, რუისის ტაძარი ვახტანგ გორგასალს აუგია, მაგრამ იმდროინდელ ნაგებობას ჩვენამდე არ მოუღწევია, უძველესი სამშენებლო ფენა VIII-IX საუკუნეებს მიეკუთვნება. X საუკუნეში საფუძვლიანად შეუკეთებიათ, ხოლო XI საუკუნეში გგიორგი ეპისკოპოსს კვლავ განუახლებია და მდიდრულად მოურთავს (ორსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა ჩრდილოეთ კარიბჭეზე). საეპისკოპოსო კათედრალს დახმარებას უწევდა თამარ მეფის დედა ბურდუხანი.

თემურ-ლენგის შემოსევების დროს ეკლესია ძალზე დაზიანებულა და აღუდგენია მეფე ალექსანდრე I-ს; XVI საუკუნეში კვლავ აღუდგენია ეპისკოპოს დიონისეს, ხოლო XVII საუკუნეში განუახლებია და შეუმკია მარიამ დედოფალს, როსტომ მეფის თანამეცხედრეს და მოიცავდა საკმაოდ დიდ ტერიტორიას. ვახუშტი ბაგრატიონის სიტყვებია: – „ზის ეპისკოპოზი, მწყემსი ამ რუისა ზეითის ქართლისა, ლიხ-ტაშისკარამდე და აწ ისევ მწყსის ხეობასა და სადგერს.“

სამსართულიანი კოშკი-სამრეკლოს პირველი სართული, რომელიც ჩაშენებულია გალავანში, წარმოადგენს კომპლექსის ეზოში შესასვლელს და მთელ სიგანეზეა გახსნილი ნახევარწრიული კამარით გადახურული და მასიურ საბჯენ თაღებს ეყრდნობა.



რუისის ტაძარი კიდევ ერთხელ ძლიერ დაზიანდა 1920 წლის მიწისძვრის დროს და კიდევ რამდენჯერმე ჩაუტარდა აღდგენითი სამუშაოები.

ურბნისის სიონი

საგზაო ნიშნების არარსებობის გამო ჯერ თვით სოფელ ურბნისს და შემდეგ ურბნისის სიონსაც კითხვა-კითხვით მივაგენით. მიუხედავად იმისა, რომ ურბნისის მხარეს მტკვარია მოქცეული, ძირითადი ტრასის ორივე მხარე მაინც ნაცრისფერი იყო მტვრისგან და ქვაღორღისგან. ურბნისიც ისეთივე მოუვლელი იყო, როგორც რუისი, თუმცა ისიც ქარელის მუნიციპალიტეტს ეკუთვნის და სხვაგვარად ვერ იქნებოდა (საინტერესოა, გზის დაგება უკვე ჩავლილი იქნება და ისევ ისეთია იქაურობა თუ რამე ეშველა?)...

ნეტავ, ვის და როგორ უნდა მისწვდეს ხმა, რომ ეკლესია-მონასტრები მხოლოდ სულიერი კერები კი არ არის, ის მემატიანეები არიან, რომლებიც ისეთ რამეს ამბობენ დადასტურებულად, რომელსაც სხვა მტკიცებულება არ სჭირდება...

ურბნისის სიონი სტილისტური ნიშნებით და ჩრდილოეთ ფასადის ასომთავრული წარწერის პალეოგრაფიული შესწავლის საფუძველზე თარიღდება V-VI საუკუნეების მიჯნით. წარწერაში მოხსენიებულია ტაძრის ქტიტორები, ვინმე კონსტანტი და მამა მიქელი, დანარჩენ სამ, სხვადასხვა დროის წარწერაში საუბარია ეკლესიიის აღდგენაზე.

რუისის ტაძრისგან განსხვავებით, ურბნისის ტაძარი გარედან მკაცრი ჩანდა, ცივი, ოფიციალური, თუმცა თვით ეკლესიაში შესვლის შემდეგ საკმევლის სუნი მყისიერად ამშვიდებდა სულსა და გონებას. (არასასიამოვნო ფაქტის წინაშე აღმოვჩნდით ჩვენც და სასულიერო პირებიც, თუმცა მხოლოდ ამით შემოვიფარგლები, ესეც იმიტომ ვთქვი, რომ მართალი ვიყო მაღლა უფლის და დაბლა ადამიანების წინაშე)

სამთავისი

ჩვენდა გასაოცრად გზის მაჩვენებელზე სამთავისი მონიშნული იყო, თუმცა რატომ, მხოლოდ მაშინ გავიაზრე, როცა მარჯვნივ კასპის გადასახვევს ვკიდეთ თვალი. სხვა მხრივ უცნობია, მაგრამ მაშასადამე, ამ მხრივ კასპის მუნიციპალიტეტს მაინც ჰყოლია პატრონი-თქო, დავასკვენი ჩემთვის.

ერთი თვალის შევლებით იმსახურებს სამთავისი ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლის სტატუსს. ისეთი სხვანაირია, ამაყი, მძლავრი, ძლიერი მუხტის... ამდენად, სასიამოვნო ფაქტია, რომ 2007 წლიდან სამთავისი შეტანილია იუნესკო-ს მსოფლიო მემკვიდრეობათა საცდელ სიაში.

გადმოცემის მიხედვით, სამთავისის ტაძარი თბილისის სიონის, წილკნის, ერთაწმინდისა და მეტეხის ტაძრებთან ერთად აუგია ვახტანგ გორგასალს. „კალმასობაში“ ნათქვამის მიხედვით, როდესაც ოთხივე ეკლესია შეუდარებიათ, ხუროთმოძღვრებითა და აღმშენებლობით სამთავისი უფრო უქიათ, სამთავ ეკლესიას ის სჯობსო და „მუნითგან ეწოდება სამთავ-ისი.“

სამთავისის ტაძრის ტერიტორიაზე ჩატარებული გათხრებისას არქეოლოგებმა აღმოაჩინეს VI საუკუნის ბაზილიკის ნაშთები, მთლიანი აბრისი და კედლები, რომელთა სიმაღლე ზოგან 1 მეტრამდე აღწევს. ბაზილიკის ნაწილი მთავარი ტაძრის ქვეშ არის არის მოქცეული. სამთავისის ძველი ტაძრის აშენების თარიღად 472 წელია მიჩნეული, დღევანდელი ტაძრის აშენების თარიღი კი თვით ტაძრის წარწერებშია მითითებული – 1030 წელი. საინტერესო დეტალია დიდი ზომის ფანსკუჯის ბარელიეფი, რომელიც პირით ცენტრისკენაა მიმართული. თავდაპირველად ფასკუნჯის მეორე გამოსახულებაც ყოფილა, მაგრამ საუკუნის წინ გამოფიტვის გამო ქვები გამოუცვლიათ და მხოლოდ ერთი დარჩა.

(გაგრძელება იქნება)

რამდენიმე დღის წინ რედაქციაში ქალბატონი გვესტუმრა, ქარელში დაბადებული ზამირა ბესტავაშვილი-თიგიევი, რომელიც 90-იანი წლების დასაწყისში საქართველოში დატრიალებული პოლიტიკური მოვლენების გამო, იძულებული გახდა ოჯახთან ერთად დაეტოვებინა საქართველო და უკრაინას შეხიზვნოდა. ქალბატონმა ზამირამ მის ოჯახს გადახდენილი სულის შემძვრელი ისტორია გვიამბო.

ზამირა თიგიევა:

დაგაგვიანდაო, მეუბნებიან... მე არ დამიგვიანია – როცა პატიებისთვის მზად ვიყავი, მაშინ ჩამოვედი

ზამირა თიგიევი: „დავამთავრე ქარელის ქართული სკოლა და გორის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი. ჩემმა უფროსმა შვილმა მაკამაც ქართული სკოლა დაამთავრა, ეკა მეცხრე კლასში იყო, ხოლო უმცროსი სერგო მაშინ ცხრა წლის უკრაინაში რომ წავიყვანეთ. აგარაში ვცხოვრობდით, ჩემი მეუღლე აგარელია, არეულობა რომ დაიწყო აგარის სარემონტო ქარხანაში ბუღალტრად ვმუშაობდი, ჩემმა დირექტორმა და რაიკომის თანამშრომლებმა მირჩიეს, აქაურობას დროებით გაერიდეთ, ბავშვებიც წაიყვანეთ და სადმე შეაფარეთ თავიო.

მე ჩემს შვილებს ორჯონიკიძეში ვერ წავიყვანდი, რადგან მათაც იგივე ელოდათ, თუმცა მათ უკრაინაშიც ბევრჯერ დაუსერეს გული. ვიფიქრე, ხომ არ დაგვხოცავენ, საქართველოდან არსად წავალ-თქო, სამსახურშიც გავედი, მაგრამ ახლობელმა ქართველებმა ისევ წასვლა გვირჩიეს.

- იყო კი ასეთი დაძაბული ვითარება?

- როგორ არ იყო, ჩემი მამათილი ხომ მოკლეს. ჩვენ დაზუსტებით არ ვიცოდით საქართველოში რა ხდებოდა, კეთილმსურველი ქართველების რჩევითა და დახმარებით არეულობის დაწყებამდე გამოვასწარით. ეკა კი წამოვიდა, მაგრამ მოხუცებს სახლში ნიღბიანები უვარდებოდნენ, თქვენ კიდევ აქ ხართო. პაპას სიკვდილის შემდეგ ჩემი დედამთილიც ჩამოვიდა უკრაინაში და იმან მოგვიყვა ყველაფერი. ჩემი დედამთილისთვის ეთქვათ, თქვენ რაღას ელოდებით, აგერ ზამირას დედა მოკლესო, საცოდავმა ქალმა ლოგინად ჩავარდნილი ქმარი მიატოვა და ფეხით ჩავიდა ქარელიდან აგარაში, დედაჩემი გამოგებებია, როგორ თუ მომკლეს, არავინ არაფერს მერჩისო. პაპა ამდენი ნერვიულობისგან დაავადდა, ფეხზე ვეღარ დგებოდა, თურმე სულ იმას ყვიროდა, ბავშვები სად არიან, რატომ არ მოდიანო. კიდევ შეცვენილან ნიღბიანები უწმაწური გინებით, თქვენ კიდევ არ წაეთრიეთო, ჩემი დედამთილისთვის ბენზინი გადაუსხამთ, პაპას უყვიროდნენ, უყურე შენს ცოლს როგორ დავწვავთო, გამწარებული პაპა თურმე კი არ ყვიროდა, ღმუოდა, მერე კრუნჩხვები დამართვია, საწოლიდან გადმოვარდნილა და პირქვე დაცემულა, ბებია ვერ მიეხმარა და გაგუდულა. მერე შემოვარდნილა ჩვენი მეზობელი ზურაბ ელიაშვილი, გაჩერდით, რას შეაწუხეთ ეს ხალხიო და მოხვდურნი „გაურეკავს“. ისიც ნიღბით ყოფილა, ჭიშკართან გაჩერებულ ავტომანქანაში რომ ჩამჯდარა, ნიღაბი მოუხსნია და მაშინ იცნო ჩემმა დედამთილმა. მისი ოჯახი ახლაც აგარაში ცხოვრობს, თვითონ რამდენიმე წლის წინ გარდაიცვალა. მან სპექტაკლი გაითამაშა, თორემ ყველაფერი ელიაშვილების მოწყობილი იყო. მერე მამამისი ელგუჯა ელიაშვილი მოსულა და ჩემი მამათილის ცხედარი წაუღია, პაპა მე დავასაფლავეო ამბობს, თუმცა სად დამარხა, არ უთქვამს, დღესაც არ ვიცით პაპას საფლავი. დაშინებული ჩემი დედამთილი (მათიკო თიგიევი) ელიაშვილებმა სამი თვე აქეთ-იქით ატარეს, დააწერინეს გენერალური მინდობილობა, არადა მათიკომ წერა-კითხვა არ იცოდა და ბუნებრივია, ვერ გაიგო მინდობილობაში რა ეწერა, რომ თითქოს ზურაბ ელიაშვილს ჩუქნიდა თავის სახლს. ზურაბის მამას ელგუჯა ელიაშვილს მათიკოსთვის უთქვამს, ნუ გეშინია, ჩამოვა გივი და ეს სახლი უვნებელი დახვდებაო, ვითომ თვთონ უპატრონებდნენ.

- ქალბატონო ზამირა, თქვენ შარშან ჩამოხვედით საქართველოში თანაც მარტო, მანამდე ჩამოსვლაზე არ გიფიქრიათ?

- როგორ არა, ჩემი დედამთილი 1995 წელს გარდაიცვალა და მერე გადავწყვიტეთ ჩამოსვლა. ჩემმა დამ ირაკლი რომ ჩამოგვიყვანა, მაშინ გვითხრა, აგარაში ვიყავი ჩასული და თქვენს სახლში არ შემიშვესო. მე და ჩემი მეუღლე ჩამოვედით და ელიაშვილებს მივაკითხეთ, გვითხრეს ეს სახლი ჩვენია, მათიკომ გვაჩუქაო. ჩემს დედამთილს ამის უფლება არ ჰქონდა. დაშინებულ მოხუც ქალს, რომელმაც წერა-კითხვა არ იცოდა და სრულიად მარტო იყო შეიძლებოდა რაიმე საბუთზე ხელი მოეწერა, მაგრამ სოფლსაბჭოსა და ნოტარიუსს ასეთი სიყალბე არ უნდა დაეშვა. მივაკითხეთ გამგეობას და მაშინ გავიგეთ, რომ ჩვენი სახლი ელიაშვილებს 1993 წელს გადაუფორმებიათ. გამგეობის თანამშრომელმა ვალიკო თორთლაძემ ყველა საბუთი ამოიღო, რომელიც ჩვენს სიმართლეს ამტკიცებდა. ელიაშვილებს ჩვენი სახლი უკვე გაყიდული ჰქონდათ რუსთავში მცხოვრებ ვინმე ლომიძეზე. მივმართეთ სასამართლოს, მოსამართლე ზაზა რამიშვილმა (1996 წელი) გააუქმა ვითომდა ჩემი დედამთილის მიერ გაცემული მინდობილობა და ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებაც და სახლი ჩვენ მოგვაკუთვნა. ჩვენმა ჩამოსვლამ ძალზე გააღიზიანა ელიაშვილები, განსაკუთრებით ელგუჯა ელიაშვილის მეუღლე „აქტიურობდა“, რას ჩამოეთრიეთ, რომელი ქართველი დაბრუნდა ცხინვალში, წადით აქედანო. ის ვერ „მაპატია“ ამ ქალმა, რომ საბინაო წიგნი თან მქონდა წაღებული, სადაც მთელი ოჯახი ვიყავით ჩაწერილი და მათ ყალბის ქნას ააშკარავებდა. თურმე ეს წიგნი და ჩემი ძვირფასეულობა „მომიპარავს“. მოსამართლემ გაგვაფრთხილა, რომ ორი კვირის განმავლობაში ჩვენს სახლში არ შევსულიყავით, რადგან მოპასუხეს სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება ჰქონდა. დროებით ქარელში დედაჩემთან ვცხოვრობდით, იმავე საღამოს სახლის სიახლოვეს ავტომანქანა გაჩერდა და ჩემს მეუღლეს დაუძახეს. ელგუჯა ელიაშვილი იყო, რომელმაც ჩემს მეუღლეს მუქარით მოსთხოვა იქაურობის დატოვება, ეტყობა ვიღაცამ დაარიგა მხოლოდ იმ შემთხვევაში დაგრჩება ეგ სახლი თუ თიგიევები კასაციის ვადის ამოწურვამდე დატოვებენ საქართველოს, შეშინებულები კარგა ხანს აქ აღარ ჩამოვლენ, მერე რამდენიც უნდა იდავონ, ხანდაზმულობის ვადა ამოწურული იქნებაო. ჩემმა მეუღლემ

დედაჩემმა გადაგვარჩინა. მეორე დღეს გათენებულიც არ იყო, რომ წამოვედით ქარელიდან, როგორ ტიროდა დედაჩემი, სახლიდან გაგდებთ, მაგრამ სხვა გზა არ გვაქვს, შვილიშვილები არ დამიობლოთო. დედაჩემმა მოძებნა უცნობი მძღოლი, რომელმაც გორში ჩაგვიყვანა, მე ეს ადამიანი ელიაშვილის მოგზავნილი მგონია და რატომ, მან გზაში გვითხრა, ძალზე საშიშ მდგომარეობაში ხართ და დროზე დატოვეთ საქართველოო. დედაჩემი დაპირდა, რომ ფულს უკან დაბრუნებისას გადაუხდიდა, მაგრამ ეს კაცი გასამრჯელოს მისაღებად არ მიცია ვერ გავუკეთეთ, გული ვერ გაუძლებსო. ვეღარ მუშაობდა, რადგან საბუთები არ ჰქონდა, ქუჩაში ვერ გადიოდა, რამდენჯერმე ძლივს გადაურჩა დეპორტაციას. ნაციონალების მმართველობისას გვითხრეს საქართველოში დაბრუნდით, მიხეილ სააკაშვილი ოსებს თავიანთ ქონებას უბრუნებსო, მაგრამ ჩემმა შვილებმა არ გამომიშვეს, სერგომ მითხრა, შენ იქ როგორც ოსი არ დაბრუნდე, არავის ათქმევინო, აი, ოსები ჩამოვიდნენ რაღაც უნდათ, სხვა დროს წადი. შენ საქართველო მარტო ლამაზი მთებისთვის ხომ არ გიყვარს, წაგიყვან დასავლეთ უკრაინაში, იქაც ძალიან ლამაზი მთებია, მაგრამ ის საქართველო, ჩვენი სამშობლო ხომ არ არისო. საქართველო მისთვის დედასთან არის გაიგივებული, ქართული ენა სულ სხვანაირად ესმის და უნდა. ახლა საქართველოშიც მეუბნებიან დაგაგვიანდათ, სააკაშვილის დროს რომ ჩამოსულიყავით, თქვენს ქონებას უპრობლემოდ დაგიბრუნებდნენო. მე არ დამიგვიანია, როცა ჩემი შვილები მოემზადდნენ, როცა მე თვითონ მოვემზადე პატიებისთვის, მაშინ ჩამოვედი. მე შემიძლია ელიაშვილებს შევხვდე და გამარჯობა ვუთხრა, იმ შვილის სამძიმარი ვუთხრა, რომელმაც ჩვენი ოჯახი ამ დღეში ჩააგდო, რაში სჭირდებოდათ ვიღაცის ნაწყევარი სახლი, რომელმაც ამხელა უბედურება მოუტანა.

- რას ნიშნავს საქართველოში ჩამოსვლა დაიგვიანეთ, სახლი ხომ თავის დროზე თქვენს მეუღლეს მიაკუთვნა სასამართლომ?

- მოპასუხე მხარეს ხაშურის სასამართლოს გადაწყვეტილება უზენაეს სასამართლოში გაუსაჩივრებია, რომელმაც ეს გადაწყვეტილება გააუქმა და ხელახალი განხილვისთვის გადაუგზავნა პირველი ინსტანციის სასამართლოს, რომელმაც ძალაში დატოვა გენმინდობილობაც და ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებაც, ორივე პროცესი ჩვენს გარეშე ჩატარდა. ეს ახლაღა შევიტყვე, როცა ადვოკატი ავიყვანე და შესაბამისი დოკუმენტაცია მოვიძიეთ. ყველაფერი გაყალბებულია, თითქოს ჩემი მეუღლე 1997 წელსაც იყო ჩამოსული, ერთ სასამართლო სხდომას დაესწრო კიდეც, მაგრამ მერე ავადმყოფობის გამო ვეღარ შეძლო დასწრება. ამის „დამადასტურებელი“ სამედიცინო ცნობაც არსებობს. იმ პერიოდში ჩემი მეუღლე მძიმე ავადმყოფი იყო, თანაც როგორც გითხარით, მას პასპორტი არ ჰქონდა და როგორ შეძლებდა უკრაინისა თუ საქართველოს საზღვრის გადაკვეთას. ჩემმა მეუღლემ გასულ წელს შეძლო პასპორტის აღება და იმავე წლის სექტემბერში მომცა მინდობილობა, რომ მისი სახელით ვიმოქმედო. ამოვიღეთ ის საბუთიც, რომ მას ამ პერიოდის განმავლობაში საქართველოს საზღვარი არ გადმოუკვეთია. რომელ ინსტანციასაც მივაკითხე, ყველგან მითხრეს ხანდაზმულობის ვადა ამოწურულიაო. ხანდაზმულად მხოლოდ მაშინ არ ითვლება, თუ მეორე მხარეს არ შეუტყვია სასამართლო პროცესის ჩატარების შესახებ. აი, ეს უნდა დადგინდეს, რომ ჩემმა მეუღლემ არაფერი იცოდა არც უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ, რადგან დაშინებით და იძულებით დავგატოვებინეს საქართველო 1996 წლის შემდეგ ჩემი მეუღლე აქ აღარ ყოფილა. აი, ამის შესწავლა და დადგენა არ უნდათ, ვიცით, რომ მართლები ხართ, მაგრამ რა გიშველოთ, რაღაცა სხვა კუთხით უნდა მივუდგეთ ამ საქმესო. ბოლოს თბილისის სააპელაციო სასამართლოს მივმართე და ვფიქრობ, ყინული დაიძრა, უმნიშვნელო ხარვეზის გასწორების შემდეგ, ჩემს სარჩელს განსახილველად მიიღეს.

მანანა სუხიშვილი
599 51 28 24

ქართველი ალი ბაბას თავგადასავალი ეგვიპტეში...

ეგვიპტე რომ პარადოქსების ქვეყანაა, ამას პირამიდებიც ადასტურებენ, მაგრამ რას წარმოვიდგენდი, თუ იქ ბედუინების მეთაურ ალი ბაბას შევხვდებოდი და ისე დავუახლოვდებოდი, რომ მეთაური გულსაც გადამიშლიდა. გასაოცარი ის გახლდათ, რომ ალი ბაბა წლების წინ აჭარიდან გაქცეული ქართველი ყოფილა, რომელიც ბედის უკულმართობამ ეგვიპტეში ბედუინების კრიმინალურ დაჯგუფებას გადაჰყარა და, გარკვეული დროის შემდეგ, მეთაურიც გახდა. ჩვენი გაცნობა სასტუმროში მოხდა. სადილამდე რამდენიმე საათით ადრე პერსონალი, რომ იტყვიან, აწრიალდა: ალი ბაბა მოდის, ალი ბაბა მოდისო, – გაიძახოდნენ. ამბავი ვიკითხეთ. აგვიხსნეს, რომ ეგვიპტის საკურორტო ქალაქ შარმელ-შეიხში, სადაც ვისვენებდით, ბედუინების წინამძღოლი ჩამოსულიყო და სწორედ ჩვენი სასტუმროთი დაინტერესებულა.

პერსონალი ძვირფასი სტუმრის მისაღებად ემზადებოდა. მოულოდნელად კარი გაიღო და დაცვის თანხლებით დაბალი ტანის შავგვრემანი მამაკაცი ოთახში შემოვიდა.

– ესაა ალიბაბა? – გაკვირვებულმა ხმამახლა ჩაილაპარაკა ჩემმა მეგობარმა, რომელსაც, ისევე როგორც, ალბათ, ბევრს ბედუინების მეთაური ახმახი და დაკუნთული წარმოგვედგინა. ამ სიტყვების გაგონებაზე ალი ბაბა შეჩერდა, შემოგვხედა, თვალი გაგვისწორა და დამტვრეული ქართულით – ქართველები ხართ, ბიჭებოო, – გვკითხა.

მშობლიური სიტყვების გაგონებამ გაგვაოგნა. ალი ბაბას თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიეთ, რომელიც იმდენად იყო მონატრებული ქართველებთან ურთიერთობას, რომ დღეების განმავლობაში გვერდიდან არ მოგვშორებია. უანგაროდ გვმასპინძლობდა. გაირკა, რომ მთავარ ბედუინს ამ სასტუმროში თავისი სიყმაწვილის შეყვარებული დაუპატიჟნია, რომელიც ჩამოსვლას აგვიანებდა. ის კი ნერვიულობდა და ყოველ საღამოს სასმელით იკლავდა დარდს. რა თქმა უნდა, შემთხვევა ხელიდან არ გავუშვი და ალი ბაბას გავესაუბრე. თუმცა, არ მითქვამს, ჟურნალისტი ვარ და დიალოგს გაზეთში დავბეჭდავ-მეთქი. ამ შემთხვევაში ის საუბარზე, სავარაუდოდ, არ დამთანხმდებოდა.

– საქართველოში რამდენიმე ათეულია წელია არ ვყოფილვარ, – დაიწყო თხრობა ალი ბაბამ. – მაშინდელი ჩემი ცხოვრებაც ბუნდოვნად მახსოვს. დედა ადრე გარდამეცვალა, მამა მუშაობდა, მაგრამ სვამდა და ყოველ საღამოს შინ ხელცარიელი ბრუნდებოდა. პატარა ბავშვი იძულებული ვიყავი, თავი თვითონ მერჩინა. მანქანებს ვტეხდი, საბურავებს ვიპარავდი და თავი ამით გამქონდა. რა თქმა უნდა, ეს შეუმჩნეველი არ დარჩენილა, პოლიციამ რამდენჯერმე გამაფრთხილა, შეეშვი მაგ საქმიანობას, თორემ დაგიჭერთო. ასეც მოხდა – დამაკავეს. ბათუმის ციხეში ერთი-ორი წელი გავატარე, სადაც ჩემთან ერთად საზღვარზე ნარკოტიკების შემოტანისთვის დაკავებული არაბი იხდიდა სასჯელს. მუჰამედი დამიახლოვდა, როცა გაიგო, რომ მეც მუსულმანი ვიყავი. მე მას ქართულს ვასწავლიდი, ის კი მე არაბულს. გათავისუფლებისას ჩემი მისამართი დავუტოვე: რომ გამოხვალ, დამიკავშირდი-მეთქი. რამდენჯერმე ამანათიც შევუგზავნე. წლების შემდეგ მოულოდნელად დამირეკა, – აქა და აქ ვარ და არ ვიცი, სად წავიდეო. მივაკითხე და, როგორც ქართველებს გვჩვევია, დიდებული პატივი ვეცი. მუჰამედმა შემომთავაზა, აქ, საქართველოში ყოფნას ჯობს, წავიდეთ, ეგვიპტეში ვიცხოვროთ, კარგ ფულს ვიშოვითო. ვიფიქრე, ვიფიქრე და დავთანხმდი. თავიდან ქაიროში, პირამიდებთან დავიწყეთ „მუშაობა“. დღე ისე არ გავიდოდა, რომ ხუთი-ექვსი ტურისტი არ მოგვეტყუებინა, არ გადგვეგდო ან არ გაგვეძარცვა. ათასგვარ წვრილმან საქმეს ვაკეთებდით. პირამიდებთან იმავე საქმიანობით უამრავი ბედუინი იყო დაკავებული. რამდენიმე მათგანთან დავახლოვდით კიდეც და ერთ-ერთმა მათგანმა დიდი საქმე შეთავაზა. ბედუინების კრიმინალურ დაჯგუფებასთან ერთად, უდაბნოში, გზაზე მომავალი ტრაილერების ჯგუფი უნდა გაგვეძარცვა, სადაც, სავარაუდოდ, დიდი ოდენობით ნარკოტიკი უნდა ყოფილიყო. ერთ-ერთ ავტომანქანაში არაფერი აღმოჩნდა, მაგრამ მეორეში იმდენი იდო, რომ თითოეულს საკმაოდ სერიოზული თანხა შეგვხვდა. თუმცა, ტრაილერების მძღოლების მიერ დაქირავებულ შეიარაღებულ დაცვასთან წინააღმდეგობების გაწევისას რამდენიმე ჩვენგანი მძიმედ დაიჭრა, ორი გარდაიცვალა კიდეც. დაღუპალთაგან ერთი ჩვენი ჯგუფის მეთაური იყო. მისმა გარდაცვალებამ დაჯგუფებაში არეულობა გამოიწვია, ყველას პირველობა სურდა. ბუნებრივია, მაშინ პრეტენზია არ გამომითქვამს მეთაურობაზე, მაგრამ ამ საქმით შემოსავლის გამო დავინტერესდი და, როცა თავდასხმის ჯგუფი დგებოდა, ვცდილობდი, მონაწილეობა მიმეღო.

არსებობენ ინფორმატორები, რომლებიც გარკვეული თანხის გადახდის სანაცვლოდ, იღებენ ინფორმაციას, თუ სად და როდის გაივლის ნარკოტიკით დატვირთული ტრაილერი, რომელიც, ძირითადად, ჰუმანიტარული დახმარების გრიფით მოძრაობს. აი, ამის შემდეგ დგება ჯგუფი, რომელიც თავს ესხმის ამ მანქანებს.

მოგეხსენებათ, ეგვიპტე აზიად და აფრიკად იყოფა. ხშირ შემთხვევაში, აფრიკიდან აზიისკენ მიდის ტვირთი და შემდეგ წითელი ზღვით დანიშნულების ადგილისკენ. ჩვენ, როგორც წესი, უდაბნოს დაუსახლებელ ტერიტორიებს ვარჩევდით თავდასხმისთვის, მაგრამ შეტაკებაც, ხშირ შემთხვევაში, გარდაუვალი იყო, რადგან დაქირავებული დაცვა წინააღმდეგობის გაწევას ამჯობინებდა ხოლმე.

ბედუინები და ხელისუფლება ერთმანეთთან ალიანსში არიან. ეს ეგვიპტის თითოეულმა მოქალაქემ იცის, რადგან ქაიროშიც კი ბედუინები თავისუფლად დასეირნობენ. მათი ამოცნობა ძალიან ძნელია. ჰყავთ სამი-ოთხი ცოლი, ამდენივე სახლი, კარგი ავტომანქანა და ა. შ. ყველამ იცის, რომ ასეთ გაჭირვებულ ქვეყანაში ასეთი მდიდარი ადამიანი რაღაც დაჯგუფებაშია, მაგრამ ის მთავრობისგან ხელშეუხებელია, რადგან ხელისუფლებასაც არ აწყობს შეიარაღებულ ხალხთან დაპირისპირება. თანაც თვითონაც სცოდავენ, რადგან კარგი ხელისუფლების პირობებში, ქვეყნის შემოსავლიდან გამომდინარე (სუეცის არხი, სატრანზიტო გზა, ნავთობი) თითოეული ეგვიპტელი დიდებულად უნდა ცხოვრობდეს.

მე ალი ბაბას მეძახიან. ალი ბაბა წოდებაა და არა სახელი. ბედუინების მეთაური, წლების შემდეგ, დამსახურების მიხედვით ხდები. ჩემამდე ამ წოდებას ერთი ბოშა ატარებდა, რომელსაც ძალიან უყვარდა ქართველები. გურჯები ვაჟკაცი და უტყუარი ხალხი ხართო, ამბობდა ხოლმე. გვერდიდან არ მიშორებდა. ასე ვთქვათ, მოადგილის რანგში ვყავდი. მისი დაღუპვის შემდეგ კი თავისთავად გავხდი ალი ბაბა. თითქმის ყველამ მხარი დამიჭირა, – დაასრულა თხრობა ალი ბაბამ.

მცირე ხნის შემდეგ, ალი ბაბამ, ბედნიერი ვარო, ისიც მითხრა, როცა სასტუმროში მისი სიყრმის შეყვარებული გამოჩნდა. გახარებულმა შარმელ-შეიხიდან ქაიროში პირამიდების სანახავად დაგვპატიჟა და შვიდასი კილომეტრი თავისი ავტომანქანით, დაცვის თანხლებით მოგვატარა. ერთმანეთს გულითადად დავემშვიდობეთ, თუმცა დღემდე მახსოვს ქართველი, აჭარელი კაცი, რომელმაც წარმატებას საქართველოდან შორს, უკიდეგანო ეგვიპტეში მიაღწია და ჩვენი ქვეყნის სიყვარული იქაც არ განელებია.

თამაზ ხაბეიშვილი
571 00 06 78

ამოფცლილ ჯრჟასის ამიხედვით

რუსეთის ფედერაცია და აფხაზეთი ჯარების გაერთიანებაზე თანხმდებიან

რუსეთი და აფხაზეთი შექმნიან საერთო სამხედრო დაჯგუფებებს, მოსკოვი ხელს შეუწყობს სოხუმს, რომ მისი საბაჟო კანონმდებლობა შეესაბამებოდეს ევრაზიის ეკონომიკურ კავშირს და სამხრეთის ფედერალურ ოლქში სოციალურ დახმარებას რუსეთისას გაუთანაბრებს – ასეთი დებულებები წერია ახალი ხელშეკრულების პროექტში „სამოკავშირეო და ინტეგრაციის შესახებ“.

რუსეთსა და აფხაზეთს შორის ახალი ხელშეკრულების სამუშაო ვარიანტი აფხაზეთის პარლამენტის დეპუტატებს უკვე დაურიგეს. პარლამენტის თავმჯდომარის ვალერი ბღანბას თქმით, დეპუტატებმა ხელშეკრულების შესახებ თავიანთი წინადადებები ორ კვირაში უნდა წარმოადგინონ.

დოკუმენტის მიხედვით, იგეგმება ინტეგრაციის გაძლიერება, მათ შორის სამხედრო დარგშიც, რასაც შავიზღვისპირეთში მიმდინარე პროცესები და უსაფრთხოების ზოგიერთი რისკი განაპირობებს.

ხელშეკრულების წინასწარი ტექსტის თანახმად, რუსეთი ხელს შეუწყობს აფხაზეთის საერთაშორისო კავშირების განმტკიცებას, მათ შორის გაფართოვდება იმ სახელმწიფოთა წრე, რომლებიც მის დამოუკიდებლობას აღიარებენ. რუსეთის გარდა აფხაზეთის დამოუკიდებლობა მხოლოდ ვენესუელამ, ნიკარაგუამ და ნაურუმ აღიარეს.

თავდაცვისა და უსაფრთხოების საერთო სივრცე გულისხმობს საერთო თავდაცვით ინფრასტრუქტურას, რუსეთისა და აფხაზეთის არმიის დაჯგუფებათა გაერთიანებას, რათა შესაძლო აგრესიას უპასუხონ და ერთობლივად დაიცვან აფხაზეთის სახელმწიფო საზღვარი. თუ რომელიმე მხარეს თავს დაესხმიან, ნიშნავს, რომ ეს აგრესიაა მეორის მიმართაც. თავდასხმის შემთხვევაში, ერთი მხარე კისრულობს მეორის დახმარებას, მათ შორის – სამხედრო ძალითაც. არმიების გაერთიანებული დაჯგუფებები უნდა შეიქმნას ხელშეკრულების ხელმოწერიდან არაუგვიანეს წელიწად-ნახევარში. დაჯგუფებების შემადგენლობა და მისი მართვა ცალკე ხელშეკრულებით განისაზღვრება.

დანაშაულის წინააღმდეგ საბრძოლველად შეიქმნება შინაგან საქმეთა სამინისტროების ძალთა საკოორდინაციო ორგანო.

ხელშეკრულებაში ეკონომიკურ ურთიერთთანამშრომლობაზეც არის დებულებები: ხელმოწერიდან ექვს თვეში აფხაზეთის საბაჟო კანონმდებლობა სრულად უნდა შეესატყვისებოდეს ევრაზიული ეკონომიკური კავშირის შესაბამის სტანდარტებს. საკანონმდებლო ბაზის მოწესრიგება აფხაზეთს მისცემს საშუალებას, ისარგებლოს კავშირის უპირატესობით და ბაზარზე თავისი პროდუქციის შეტანა შეძლოს.

სავარაუდოდ, რუსეთი თანადაფინანსების პრინციპით უზრუნველყოფს ხელფასის მატებას ჯანდაცვის, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის დარგში დასაქმებული სახელმწიფო მოხელეებისთვის და შრომის ანაზღაურება რუსეთის სამხრეთის ფედერალური ოლქისას გაუთანაბრდება. რუსეთის მოქალაქეების პენსიაც ამ ოლქის მცხოვრებთა პენსიამდე გაიზრდება.

რუსეთის ბიუჯეტში აფხაზეთის დასახმარებლად 4 მილიარდი რუბლია გათვალისწინებული. წლის ბოლომდე ხელი მოეწერება სამოკავშირეო და ინტეგრაციის შესახებ ხელშეკრულებას. რუსეთთან საზღვარიც ეტაპობრივად გაიხსნება.

აფხაზეთში იმედოვნებენ, რომ რუსეთის დახმარებით აფხაზი ხალხის ცხოვრების სოციალური სტანდარტები გაიზრდება.

საქართველო სამმხრივი სამიზნის გზაგასაყარზე

ჟენევაში დასრულდა ამიერკავკასიის უსაფრთხოების საკითხებისადმი მიძღვნილი მოლაპარაკებების 29-ე რაუნდი. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ შექმნილ მრავალმხრივი ფორმატით მიმდინარე შეხვედრაში მონაწილეობდნენ გაეროს, ევროკავშირის, ეუთოს, რუსეთის, ამერიკის, საქართველოს, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლები.

მხარეების შეფასებით, რეგიონში ვითარება ჯერჯერობით სტაბილურია. მოსკოვის მხარის წარმომადგენლის, გრიგორი კარასინის აზრით, „სამომავლო ურთიერთობის განმსაზღვრელი იქნება ის, თუ რამდენად ხანგრძლივად შეინარჩუნებს რეგიონი არაძალადობრივ ვითარებას და უარს იტყვის ძალისმიერ სცენარებზე“.

ამ განცხადების პარალელურად რუსეთის საგარეო უწყებამ გაავრცელა ცნობა, რომლის თანახმადაც, „ნატო-ს სამხედრო ინფრასტრუქტურის საქართველოში განთავსება ამიერკავკასიაში შექმნილ ახლანდელ სტაბილურობას საფრთხეს უქმნის“. საქართველოს საკითხზე ნატო-ს სამიტის ბოლო გადაწყვეტილების გათვალისწინებით, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დელეგაციებს აუცილებლად მიაჩნიათ მათ სახელმწიფოებსა და საქართველოს შორის საერთაშორისო შეთანხმების დადება ძალის გამოუყენებლობის შესახებ. რუსეთმა ამ პრობლემის თავიდან ასაცილებლად დისკუსიის მონაწილეებს შესთავაზა ერთობლივი განცხადების პროექტი ძალის გამოუყენებლობისა და უსაფრთხოების გარანტიების შესახებ.

თბილისის მხარის რეაქცია იყო მყისიერი – ზურაბ აბაშიძემ, პრემიერ-მინისტრის სპეციალურმა წარმომადგენელმა რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში, განაცხადა, რომ „ნატო-სთან ჩვენი თანამშრომლობა არანაირად არ ემუქრება რეგიონის სტაბილურობას. მას საფრთხეს, უპირველეს ყოვლისა, მოუგვარებელი კონფლიქტები უქმნის“.

ნატო-ს ნებისმიერი სამხედრო ინფრასტრუქტურის, თუნდაც სასწავლო-საწვრთნელი ცენტრის საქართველოში განთავსებას რუსეთი განცხადებებით აპროტესტებს. როგორც თბილისში აცხადებენ, მიუხედავად ამ პროტესტისა, უელსში მიღებული საგანგებო „პაკეტი“ ითვალისწინებს: ნატო-ს ინფრასტრუქტურის შექმნას საქართველოში ერთობლივი წვრთნების ჩასატარებლად, საქართველოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას იმისათვის, რომ რუსეთისგან მომდინარე აგრესიის შემაკავებელი ფაქტორი გაჩნდეს. ნატო-ს საწვრთნელი ბაზის საქართველოში განთავსება.

რუსეთის საგარეო უწყების „შეშფოთების“ პასუხად საქართველოში ნატო-ს ოფისის ხელმძღვანელმა უილიამ ლახიუმ განაცხადა: „ეს იქნება არა ნატო-ს ბაზა, არამედ სასწავლო-საწვრთნელი ცენტრი, რომლის მსგავსი ბევრ სხვა ქვეყანაშიც არსებობს. ცენტრი საქართველოს კუთვნილება იქნება, ნატო ჩვენი მრჩევლების გუნდით მხოლოდ მის აღჭურვაში დაეხმარება.

ხანგრძლივი შესვენების შემდეგ, მოსკოვი ბოლო პერიოდში უკვე მეორედ ეხმაურება ნატო-ს და საქართველოს ურთიერთობას. მანამდე მათი განცხადება ეხებოდა საქართველოში სირიელი მებრძოლებისთვის ამერიკული საწვრთნელი ბანაკის მოწყობას, რაც, მოსკოვის პოზიციით, რუსეთის საზღვრის სიახლოვეს, სამხრეთ კავკასიაში არსებულ მშვიდობას სერიოზულ ზიანს მიაყენებდა და რუსულ-ქართული ურთიერთობის მოგვარების დაწყებულ პროცესსაც შეაფერხებდა. თბილისმა უარყო მსგავსი ბანაკის მათს ტერიტორიაზე განთავსების გეგმები. როგორცგაირკვა ერთ-ერთი უცხოური გამოცემის ჟურნალისტმა სწორად ვერ გაიგო ამერიკაში საქართველოს ელჩის ნათქვამი და გაზეთით მცდარი ინფორმაცია გაავრცელა.

ისეთი პირი უჩანს, რომ საქართველო-რუსეთის ურთიერთობას ნატო-ამერიკის მიზეზით გართულება ელის. რას მოიმოქმედებს რუსეთი „ურჩი“ საქართველოს მოსათვინიერებლად? საქართველოში ფიქრობენ, რომ იარაღის ჟღარუნი რუსეთს კარგს არაფერს მოუტანს, მით უმეტეს, უკრაინასთან კონფლიქტის ფონზე და ამიტომაც მისგან აგრესიას არ ელიან.

განსხვავებულად ფიქრობს რუსი სამხედრო ექსპერტი ვიკტორ ბარანეცი: „ნატო-ს ინტერესების შესაბამისად საქართველოში ალიანსის ინფრასტრუქტურის განთავსებას საპასუხო რეაქცია მალევე მოჰყვება. არ არის გამორიცხული, გაიზარდოს ჩვენი საზღვრო კონტინგენტის რაოდენობა. არც იმას გამოვრიცხავ, რომ საზღვართან განთავსდეს საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები, ტანკსაწინააღმდეგო შეიარაღება, არტილერია. იმ საფრთხეს, რაც შესაძლოა საქართველოს ტერიტორიაზე გაჩნდეს, რუსეთმა უნდა დაუპირისპიროს შეიარაღებისა და პირადი შემადგენლობის გამოყენების კომპლექსური გეგმა. აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში არსებული რუსული ბაზები იმავენაირად უნდა გავაძლიეროთ, როგორც ამას ნატო აკეთებს ევროპაში“.

ფაქტს ვერსად გავექცევით: ნატო და ვაშინგტონი უაღრესად არიან დაინტერესებული, საქართველო ჩართონ თავიანთ გეგმაში, რომელიც რუსეთის საზღვრის სიახლოვეს ალიანსის გაფართოებას გულისხმობს. შემთხვევითი არ არის, რომ ამერიკის თაავდაცვის მინისტრმა საქართველოში ვიზიტისას განაცხადა, რომ თბილისთან სამხედრო თანამშრომლობა კიდევ უფრო გაღრმავდება, „განსაკუთრებით უკრაინაში რუსეთის აგრესიის ფონზე“. ამერიკა განიხილავს საქართველოსთვის თავდაცვითი შეიარაღების მიწოდებას და არც იმას გამორიცხავს, საქართველომ ამერიკული სამხედრო ვერტმფრენებიც შეიძინოს. „თანამშრომლობის გაღრმავება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ყირიმის ანექსიის ფონზე (რასაც ამერიკა არ აღიარებს), რაც საფრთხეს უქმნის რეგიონს, ისევე როგორც რუსეთის მოქმედება საქართველოში. უკრაინის მოვლენებმა კიდევ უფრო დაახლოვა ამერიკა ევროპას, მათ შორის საქართველოსაც“.

საქართველოს მაგალითით თუ ვიმსჯელებთ, ჯერჯერობით, „რუსული მშვიდობა“ დასავლეთთან პოზიციებს თმობს. მოსკოვი, სავარაუდოდ, შეეცდება, უკან დაიბრუნოს დაკარგული. საკითხავია, რა საშუალებებით და როგორი წარმატებით შეძლებს ამას.

ფიტოთერაპია კლასიკურ მედიცინასთან კომპლექსში მკურნალობის უნიკალური სისტემაა

(წერილი მეორე)

უძველესი უნიკალური რეცეპტები, რომელთა მეშვეობით მრავალი დაავადების მკურნალობა შეიძლება, განსაზღვრული კლასიფიკაციით დაწყო და დაამუშავა ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორმა, ფიტოთერაპევტმა პროფესორმა ***ოთარ ფიფილაშვილმა,*** *რომლის საქმიანობამ მრავალ ადამიანს დაუბრუნა ჯანმრთელობა.*

— ბატონო ოთარ, თქვენს მიერ შედგენილი ფიტოთერაპიული მკურნალობის სისტემა ორიგინალურია იმითაც, რომ წელიწადის კონკრეტულ დროს, კონკრეტულ მკურნალობას ითვალისწინებს და არა ნებისმიერს. ამიტომ დავიწყოთ გაზაფხულით. ეს ის დროა, როცა ადამიანი ჯანმრთელობას განსაკუთრებით უნდა მოუფრთხილდეს, მინდა მკითხველს შევახსენოთ, რაზე გაამახვილოს ყურადღება ამ დროს.

— ეს სეზონი ორგანიზმისთვის მართლაც მნიშვნელოვანია, რათა ორგანოებმა შეუფერხებლად იმუშაონ. ამიტომ საჭიროა, საკვებად გამოყენებული იქნეს განსაზღვრული გემოს პროდუქტები. ეს სისტემა, მიუხედავად იმისა, რომ საუკუნეებს ითვლის, დღესაც აქტუალურია, როგორც აღმოსავლეთში, ისე თანამედროვე ევროპაში, თუმცა, მასზე სრულყოფილი წარმოდგენა მხოლოდ სპეციალისტებს აქვთ. **შევეცდები, მკითხველისთვის ის გასაგები და საინტერესო გავხადო, რათა ყველამ შეძლოს მისი პრაქტიკული გამოყენება ჯანმრთელობის აღსადგენად და შესანარჩუნებლად.**

აღმოსავლური მედიცინის თანახმად, წელიწადი ექვს დროს მოიცავს: შემოდგომას, ზამთარს, გაზაფხულს, ზაფხულს და ორ გარდამავალ პედიოდს — ზამთარსა და გაზაფხულსა და ზაფხულსა და შემოდგომას შორის. ამჟამად სწორედ გარდამავალ პერიოდში ვიმყოფებით.

შემოდგომაზე განსაკუთრებით აქტიურდება ფილტვები. ამ დროს ოპტიმალურია ცხარე საკვები. ზამთარში ყველაზე მეტად თირკმელები და შარდ-სასქესო სისტემა იტვირთება. ამ დროს მლაშე საკვებია სასურველი. **გაზაფხულზე,** როცა ყველაზე მეტი დატვირთვა ღვიძლსა და ნაღვლის ბუშტზე მოდის, სასარგებლოა მჟავე პროდუქტი. **ზაფხულობით** ყველაზე მეტი დატვირთვით გული და წვრილი ნაწლავი მუშაობს. ამ დროს სასურველია მწარე საკვები. რაც შეეხება გარდამავალ პერიოდებს, ამ დროს აქტიურდება კუჭი, კუჭქვეშაჯირკვალი და ელენთა, საკვებად კი ტკბილი პროდუქტები სჯობს.

გაზაფხულზე განსაკუთრებით სასარგებლოა ისეთი პროდუქტების მიღება, როგორიცაა: მჟავე კომბოსტო, ლიმონი, რძემჟავა პროდუქტები — ხაჭო, კეფირი, მაწონი, ასევე — მზესუმზირა, კაკალი, ვაშლის თესლი, ფრინველის ხორცი, საქონლის, ღორის, ქათმის ღვიძლი.

— არსებობს მოსაზრება, რომ ავიტამინოზის საუკეთესო წამალი ხილია...

— მიმაჩნია, რომ ავიტამინოზის საუკეთესო წამალი და განკურნების ყველაზე საუკეთესო საშუალება საქონლის ან ქათმის ღვიძლია, რომლისგანაც შეიძლება მოვამზადოთ პაშტეტი ან უბრალოდ ის შევწვათ ხახვთან ერთად.

— შემოდგომასა და გაზაფხულზე ხშირად ადამიანებს ულიზიანდებათ ღვიძლი და ნაღვლის ბუშტი, იქნებ მკითხველს რომელიმე ხელმისაწვდომი ხალხური რეცეპტი შევთავაზოთ...

— სიამოვნებით. ავიღოთ 3 ჩაის კოვზი უკვადვას ყვავილი, დავასხათ 0,5 ლიტრი მდუღარე წყალი, წამოვადუროთ და 2 საათის განმავლობაში გავაჩეროთ ოთახის ტემპერატურაზე, შემდეგ გადავწუროთ. მივიღოთ 0,5 ჩაის ჭიქა დღეში 3-ჯერ, ჭამამდე ნახევარი საათით ადრე. მკურნალობის კურსი 2 კვირას შეადგენს.

გასწავლით მეორე რეცეპტსაც. ვიღებთ 4 ჩაის კოვზ უკვდავას ყვავილს, 3 ჩაის კოვზ სამყურას, 2 ჩაის კოვზ ბაღის პიტნას და 2 ჩაის კოვზ ქინძის თესლს. ეს ყველაფერი კარგად უნდა იყოს გამომშრალი. ვაქუცმაცებთ, ერთმანეთში ვურევთ, მერე ვიღებთ 1 სუფრის კოვზ ნარევს, ვასხამთ 0, 5 ლიტრ მდუღარე წყალს და თავდახურულ მომინანქრებულ ჭურჭელში ვაჩერებთ 3 საათით.

მიღება: ვიღებთ ნახევარი ჩაის ჭიქას 3-ჯერ დღეში, ჭამამდე ნახევარი საათით ადრე. ეს ნაკრები ხელს უწყობს ნაღვლის დენას და მკურნალობს ღვიძლს.

— ნაღვლის ბუშტის კენჭოვანი დაავადება მეტად გავრცელებულია, იქნებ მისი ფიტოწამალიც შემოგვთავაზოთ?

— ამ დაავადების დროს ძალიან კარგია ჭარხალი. ვიღებთ 3 მოზრდილ თავ ჭარხალს, ვასხამთ წყალს და ვადუღებთ, ვიდრე სითხე არ განახევრდება. ვიღებთ მეოთხედ ჩაის ჭიქას დღეში სამჯერ, ჭამის წინ. მკურნალობის კურსი 3 კვირაა. უნდა შევინახოთ მაცივარში, ვსვათ ცივი.

— შეიძლება თუ არა ფიტოთერაპიული მეთოდით ისეთი რთული დაავადების მკურნალობა, როგორიც არის პანკრეატიტი?

— პანკრეატიტის მკურნალობა ფიტოთერაპიული გზით კარგ შედეგს იძლევა კლასიკურ მედიცინასთან კომპლექსში. წამალი ამგვარად მზადდება: ვიღებთ 1 სუფრის კოვზ ნეგოს დაქუცმაქებულ ყვავილს, ვასხამთ 1 ჩაის ჭიქა წყალს, ვადუღებთ 30 წუთი და 2 საათით ვტოვებთ ოთახის ტემპერატურაზე. შემდეგ ვწურავთ.

მიღება: ვიღებთ თბილს, 1/4 ჩაის ჭიქას დღეში 3-ჯერ, ჭამამდე ნახევარი საათით ადრე. მკურნალობის კურსი ორი თვეა.

— როგორ მოვიქცეთ, თუ ერთდროულად გვაქვს რამდენიმე დაავადება, მაგალითად, მაღალი მჟავიანობით მიმდინარე გასტრიტი და მსხვილი ნაწლავის მწვავე ან ქრონიკული ანთება?

— ასეთ დროს შეიძლება ავიღოთ 3 ჩაის კოვზი დაქუცმაცებული კორდისკბილა, დავასხათ 2 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი და წამოვადუღოთ. დავაყენოთ ოთახის ტემპერატურაზე ნახევარი საათით, მერე გავაციოთ და გავწუროთ.

მიღება: მიიღება მესამედი ჩაის ჭიქა ჭამამდე ნახევარი საათით ადრე.

— როგორ მოვიქცეთ დიარეის დროს?

— ასეთ დროს ერთმანეთში ვურევთ თანაბარი რაოდენობით ჭინჭრისა და მაყვლის ფოთოლს, ვიღებთ 2 ჩაის კოვზ ნარევს, ვასხამთ ჭიქანახევარ მდუღაეე წყალს და ვაყოვნებთ 2 საათის განმავლობაში. მერე ვწურავთ. ვიღებთ ნახევარ ჭიქას დღეში 3-ჯერ, ჭამამდე.

— ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის გაწმენდის რაიმე იოლ მეთოდს ხომ ვერ შემოგვთავაზებთ?

— ამისათვის საჭიროა ნახევარი კილოგრამი შავი ქლიავის ჩირი, 50 გრამი ხეშავას ქერქი, **ხოლოსასი — ანუ ასკილის ნაყოფის ექსტრაქტი შაქრის სიროფით (იყიდება აფთიაქებში).** ამ ყველაფერს ვთავსებთ მომინანქრებულ ჭურჭელში, რომელსაც ვდგამთ მეორე, დიდი ზომის წყლიან ქვაბში და ვადუღებთ. მერე ვასხამთ 2 ლიტრ ანადუღარ ცივ წყალს და ერთი კვირით ვდგამთ მაცივარში. მერე ვწურავთ.



მიღება: ვიღებთ ვახშმიდან 2 საათის შემდეგ. სასურველია, ამის მერე არაფერი მიირთვათ, არც წყალი.

— კვების როგორი რეჟიმი უნდა დავიცვათ ქოლეცისტიტის დროს?

— ქოლეცისტიტით დაავადებულებს სასტიკად ეკრძალებათ: ალკოჰოლური სასმელები, ცხიმიანი ხორცი და თევზი, ასევე მათი ნახარში, პარკოსნები, სოკო, ისპანახი, ხახვი, რბილი პური, შემწვარი, ცხარე და დაშაშხული პროდუქტი, კონსერვები, გაზიანი სასმელები, შოკოლადი, კრემი.

— ხშირია გაღიზიანებული ნაწლავის სინდრომი, ამ დროს რისი მიღება შეიძლება?

— ასეთ დროს უნივერსალურად მიიჩნევა კარტოფილის წვენი. კარტოფილი უნდა გაიხეხოს და დოლბანდში გაიწუროს. **უნდა მივიღოთ მხოლოდ ახლადგამოწურული წვენი უზმოზე!**

— რა მნიშვნელობა აქვს ღამის ძილს ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის სიჯანსაღისთვის?

— ღვიძლი განუწყვეტლივ მუშაობს, მაგრამ დღე-ღამის განსაზღვრულ მომენტში მისი ცხოველმყოფელობა განსაკუთრებით აქტიურდება. სპეციალისტები ასეთ დროდ მიიჩნევენ ღამის 1-დან 3 საათამდე დროს. ამ პერიოდს წინ უძღვის ნაღვლის ბუშტის მოქმედების პიკი, რომელიც ღამის 23 საათიდან 1 საათამდე გრძელდება. აქედან გამომდინარე, ადამიანები, რომლებიც ღამის 1 საათის მერე იძინებენ, თავს სერიოზულ საფრთხეს უქმნიან.

— რომელი მცენარე გამოირჩევა ნაღველმდენი თვისებებით?

— ძლიერი ნაღველმდენია წითელი ცირცელის წვენი.

— შეიძლება თუ არა დისბაქტერიოზის მკურნალობა ხალხური მეთოდით?

— დისბაქტერიოზის კომპლექსური მკურნალობისას ექიმის დანიშნულებასთან ერთად კარგია ასეთი ფიტოწამალი: ვიღებთ 1 სუფრის კოვზ მუხის ქერქს, გვირილის ყვავილს ან სალბის ფოთოლს, ვასხამთ 1 ჭიქა ადუღებულ წყალს, ვაყოვნებთ 2საათით და მერე ვწურავთ.

მიღება: მიიღება 2 სუფრის კოვზი დღეში 3-ჯერ.

— რითი შეიძლება კუჭის მჟავიანობის დაწევა?

— ამისთვის უნდა ავიღოთ 100 გრამი შვრიის ფქვილი., დავასხათ 1 ლიტრი მდუღარე წყალი და ვადუღოთ 1 საათის განმავლობაში დაბალ ცეცხლზე. შემდეგ გავაციოთ, დავამატოთ 1/2 ჩაის კოვზი მარილი, 1 სუფრის კოვზი ხმელი კამის ფოთოლი, 2 სუფრის კოვზი თაფლი და 2 სუფრის კოვზი დაჭრილი ნიგოზი.

ეს ნარევი უნდა მივიღოთ დღეში 2-ჯერ, ჭამის წინ. მკურნალობის კურსი 6 დღეა.

— კუჭ-ნაწლავის ერთ-ერთი მძიმე დაავადებაა ენტერიტი, წვრილი ნაწლავის ლორწოვანი გარსის ანთება, რას გვეტყვით მისი მკურნალობის შესახებ?

— ხალსური რეცეპტის გამოყენება შეიძლება ენტერიტის იოლი ფორმის დროს, ან კომპლექსური მკურნალობისას ექიმის დანიშნულებასთან ერთად..

ამისთვის საჭიროა ერთმანეთში აურიოთ თითო სუფრის კოვზი მატიტელა, კრაზანა, მუხის ქერქი, მრავალძარღვა, გვირილა. ამ ნარევის 3 კოვზს ავიღებთ და ვასხამთ 2 ჩაის ჭიქა წყალს და ვადუღებთ. 6 საათის განმავლობაში ვტოვებთ შეფუთულს და მერე ვწურავთ.

მიიღება ნახევარი ჩაის ჭიქა დღეში 3-ჯერ.

ემილ კასრელიშვილი
599 110 200

უსაფრთხო სამუშაო პირობა ადამიანის უფლებაა

საბაზრო ეკონომიკაში სუვერენული სუბიექტის სტატუსი მშრომელთათვის გადამწყვეტი მნიშვნელობის საკითხია. მაგრამ პირველი საფეხური ამ სტატუსის მოსაპოვებლად არის უსაფრთხო შრომის უფლების მოპოვება. 2006 წელს მიხეილ სააკაშვილმა, ზურაბ ნოღაიდელმა და ნინო ბურჯანაძემ საქართველოს შრომის კოდექსში გააქრეს შრომის უსაფრთხოების გენერალური ინსპექცია, ხოლო მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაო აბსტრაქციად აქციეს, საწარმოო ტრავმატიზმისა და პროფესიული დაავადებების გამოკვლევა და აღრიცხვაც კი ზედმეტ ფორმალობად მიიჩნიეს. შრომის სამართლებრივი და ტექნიკური უსაფრთხოების გარეშე დასაქმებული „მოლაპარაკე იარაღად“ იქცა. ამით მრავალწლიანი სადეპუტატო სტაჟის მქონე პავლე კუბლაშვილი ამაყობდა კიდეც, რომ საქართველოში ძირფესვიანად იყო მოსპობილი სახელმწიფო კონტროლი შრომის უსაფრთხოებაზე.

საქართველოს კურსი ევროპული ღირებულებებისკენ აბსტრაქციის სფეროს კი არ განეკუთვნება, არამედ არის უაღრესად კონკრეტული და თუ მაგალითს ვეძებთ, ამის საუკეთესო მაგალითი შეიძლება იყოს ესტონეთის რესპუბლიკა. ეს ქვეყანა ტერიტორიითაც და მოსახლეობითაც საქართველოზე მცირეა, ბუნებრივ-კლიმატური პირობებით კი ნამდვილად არაა განებივრებული, მას არც გაზისა და ნავთობის საბადოები აქვს და საზღვარგარეთ არც რესპუბლიკის მოსახლეობაზე აღმატებული დიასპორა არ ჰყავს. ის, რაც ესტონელებს აქვთ არის მაღალი შრომის კულტურა და ეს შრომა იქ დაცულია. შრომის ინსპექციას ესტონეთში თითქმის საუკუნოვანი ისტორია აქვს. 1991 წელს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ რესპუბლიკის პარლამენტმა, პირველყოვლისა, მიიღო კანონი „შრომის დაცვის შესახებ“. მეტიც, ესტონეთის შრომის ინქპექციას კიდევ დაემატა კომპეტენცია და იგი დღეს შრომის უფლებაზე ზედამხედველიც გახდა. იგი დეპარტამენტის სტატუსის მატარებელი გახდა და მისმა ქსელმა მთელი რესპუბლიკა მოიცვა. ახლახან ესტონეთის პარლამენტმა ახალი კანონი მიიღო და შრომის დაცვას ჰიგიენური პირობების მდგომარეობაზე კონტროლიც დაამატა. ასე ინტეგრირდა ევროპულ რეალობებთან ესტონეთის რესპუბლიკა.

საქართველოში შრომითი რესურსი დაუცველია. დასაქმებულები არ გადიან არც წინმსწრებ და არს შემდგომ პერიოდულ გასინჯვებს, რაც იწვევს დაავადებების განვითარებას, რის შედეგადაც მუშაკი ან ინვალიდდება ან ფიზიკური არასიჯანსაღის გამო ადვილად ხდება ტექნიკის ან ტექნიკური პროცესის მსხვერპლი.

სამუშაო ადგილზე ზიანის ანაზღაურების წესიც დასაქმებულისთვის დამთრგუნველ ხასიათს ატარებს. ზიანის ანაზღაურებას პირდაპირი ურთიერთობის ფორმა აქვს მიცემული და კომპენსაციის მიღებას შეიძლება წლებიც კი დასჭირდეს. გამოძიება შეიძლება 10 თვე გაიჭიმოს, აპელაცია 6 თვეს, კასაცია კიდევ 6 თვე, გადაწყვეტილების ჩაბარება 2 თვე, ნებაყოფლობითი აღსრულება 4 თვე, იძულებითი აღსრულება კი კიდევ 2 თვე. თან ეს მოხდება იმ შემთხვევაში, როცა დასაქმებული პროფკავშირშია გაწევრიანებული, თუ არადა ან თუ თვითდასაქმებულია, მაშინ „ვაი დამარცხებულს“.

დღეს უკვე აღარ ისმის „ახალი ეკონომიკური სკოლა – საქართველოს“ მესვეურების „რჩევები“, რომ საერთოდ გაუქმდეს „შრომის კოდექსი“, კანონი „პროფესიული კავშირების შესახებ“ და გაფიცვის კონსტიტუციური გარანტია, მაგრამ უკვე არსებული სამართლებრივად და ტექნიკურად დაუცველი შრომა გაყინულ მდგომარეობაში სურთ, რომ დარჩეს.

ევროპული მიდგომა საწარმოო ტრავმებისა და პროფესიული დაავადებების მიმართ ეყრდნობა სქემას, რომლის მიხედვითაც დამსაქმებელი და სახელმწიფო აერთიანებენ რესურსებს დასაქმებულის დასაცავად.

სამუშაო ადგილებზე უსაფრთხოების უზრუნველყოფას დიდად წაადგებოდა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის № 81 კონვენციის „შრომის ინსპექციის შესახებ“ რატიფიცირება. შემდგომი ნაბიჯები უნდა იყოს № 102 კონვენციის „სოციალური დაცვის მინიმალური სტანდარტების შესახებ“ და № 121 კონვენციის „საწარმოო ტრავმების კომპენსაციის შესახებ“ რატიფიცირება. დასაქმებულს, ამ შემთხვევაში, გარანტირებული ექნება დახმარება ავადმყოფობის, უმუშევრობის, მოხუცებულობის შემთხვევაში. ბავშვის დაბადება ან მარჩენალის დაკარგვა გაღატაკების სინონიმი აღარ იქნება. დეტალურად იქნება გაწერილი საწარმოში უბედური შემთხვევებითა და დაავადებებით მიყენებული ზიანის კომპენსირების სქემების ძირითადი პრინციპები. დამსაქმებლებს ვალდებულებად დაეკისრებათ კომპენსაციის გაცემა და დაზარალებული დასაქმებული მას მიიღებს შრომის უნარის დაკარგვის მთელ პერიოდში. დასაქმებულისთვის კომპენსაცია იქნება მისი ხელფასის არანაკლებ 50%, ხოლო მარჩენალდაკარგულისთვის არანაკლებ 40%. დასაქმებული დაზღვეული იქნება დასაქმების პირველივე დღიდან.

საქართველოში არსებული უმუშევრობის ძალიან მაღალი დონე დასაქმების მსურველს ხშირად უბიძგებს იმუშაოს მძიმე, საშიშ და მავნე პირობებში. ეს, რა თქმა უნდა, იწვევს შრომის უნარის მასობრივ დაქვეითებას, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს რეპროდუქციული უნარის გაქრობას, შემთხვევით არაა, რომ გაეროს მოსახლეობის აღწერის მიხედვით, საქართველო დემოგრაფიულად გაქრობადი ქვეყნების სიაშია.

ამ ვითარების გამოსწორების უმოკლესი გზა კი უსაფრთხო სამუშაო პირობების შექმნაშია, ეს ხომ ადამიანის უმთავრესი უფლების – სიცოცხლის უფლების გარანტიაა.

დავით არაბიძე

ლალიძის წყალი თუ ჯოჯა-ჯოლა?

„ლაღიძის წყლების“ მაღაზია გახსნისთანავე თბილისის სავიზიტო ბარათად იქცა, ჯერ კიდევ საუკუნის წინ, 1906 წელს, მაშინ 18 წლის მიტროფანე ლაღიძის შექმნილი რეცეპტით ნატურალურ ხილის წვენებზე დამზადებული ლიმონათი ისე მოეწონა აკაკი წერეთელს, ურჩია თბილისში გაეხსნა მაღაზია, რაშიც დიდი ილია ჭავჭავაძე დაეხმარა ახალგაზრდას. ასე გაჩნდა იმდროინდელ გოლოვინის პროსპექტზე „ლაღიძის წყლები“. არ არსებობდა ჩვენს დედაქალაქში ჩამოსულიყო სტუმარი და „ლაღიძის წყალი“ არ დაელია. ერთმა უცხოელმა კოლეგამ ისიც კი მითხრა: „ქვეყანაში, სადაც ასეთი სასმელი გაქვთ, „კოკა-კოლა“ რაში გჭირდებათო?!. საქართველოს მოსახლეობაც პირველი შემთხვევისთანავე „ლაღიძის წყალს“ წლის ნებისმიერ დროსა და ამინდში მიირთმევდნენ. ერთგვარი შეხვედრების, ხალხის და განსაკუთრებით, ახალგაზრდების თავშეყრის ადგილადაც იქცა.

სამწუხაროდ, ეს წინათ, წარსულ დროში იყო. 2004 წელს ხელისუფლებაში მოსულმა ავადსახსენებელმა „ნაცმოძრაობის“ მთავრობამ საუკუნოვან მაღაზიას ფუნქციონირება შეუწყვიტა. ამასაც არ დასჯერდნენ და ქვეყნის დამაცველმა სააკაშვილმა პირდაპირი გაყიდვის წესით ვინმე ხავთასს მიჰყიდა. შენობა მას შემდეგ კიდევ რამდენჯერმე გადაიყიდა და ახლა იქ ტანსაცმლის მაღაზია ფუნქციონირებს.

რამდენიმე თვის წინ თბილისში გავრცელდა ხმა „ლაღიძის წყლები“ უნდა აღდგესო. რომელ ჭკუათმყოფელ და ქვეყნის მოყვარულს არ გაუხარდება ჩვენს დედაქალაქს დაუბრუნდეს ასეთი განძი, თუმცა, სამწუხაროდ, საქმე სხვაგვარად არის.

— სამი თვის წინ ჩვენთან მოვიდა „გუდფუდის“ დირექტორი ვახტანგ ათაბეგაშვილი და გვთხოვა ნებართვა ძველ ადგილზე გაეყიდა ჩვენი სიროფიანი წყალი, — გვითხრა სააქციო საზოგადოება „ლაღიძის წყლების“ დირექტორის მოადგილემ ნანა ჩახაიამ. — თუმცა, როგორც აღმოჩნდა, მხოლოდ სარდაფის აღდგენაზე იყო საუბარი, სადაც გახსოვთ, ალბათ, ხაჭაპური იყიდებოდა. ჩვენი კატეგორიული მოთხოვნაა, აღდგეს მთლიანი კომპლექსი. ფაქტობრივად, ქვემო დარბაზს თავდაპირველად მხოლოდ სარდაფის დანიშნულება ჰქონდა ისტორიულად კი პირველ სართულზე იყიდებოდა წყლები.

— რატომ თავიდანვე თქვენ და მიტროფანე ლაღიძის მემკვიდრეებმა არ შეისყიდეთ მაღაზია?

— ჩვენი სააქციო საზოგადოების გენერალურმა დირექტორმა თორნიკე ლაღიძემ, რომელიც ასევე დიდი მიტროფანეს შთამომავალია, ჯერ კიდევ 2004 წელს თხოვნით მიმართა სააკაშვილის ხელისუფლებას უფლება მოეცათ, შეგვესყიდა, მაგრამ უარი უთხრეს და მიზეზად დაასახელეს – კულტურული მემკვიდრეობის ძეგლიაო. თუმცა ეს სტატუსი მალე და ჩუმად მოუხსნეს და გაყიდეს კიდეც. კონტრაქტით მეპატრონეს ოცი წლის მანძილზე მაღაზიისთვის პროფილი არ უნდა შეეცვალა, მაგრამ მაღაზია რამდენჯერმე გადაიყიდა, ახლა „პრივატ-ბანკის“ საკუთრებაა და ტანსაცმლით ვაჭრობენ. სამარცხვინოა!

— თუ აპირებთ ახლა მაინც სცადოთ, ეგებ დაუბრუნდეს „ლაღიძის წყლები“ მემკვიდრეებს და თბილისს?

— მცდელობას არ ვაკლებთ. როგორც კულუარული ინფორმაციით გავიგეთ, დღევანდელი ქალაქის მერი დავით ნარმანია დაინტერესებული ყოფილა, რათა „ლაღიძის წყლები“ დაუბრუნდეს ქალაქს.

— ქალბატონო ნანა, თბილისში რამდენიმე ადგილზე გამოჩნდა მაღაზიები „ლაღიძის წყლების“ წარწერით, მართლა თქვენი ნაწარმი იყიდება?

— დიახ, თბილისში რამდენიმე ადგილზე, კერძოდ, სამების ეკლესიასთან, კოსტავას ქუჩაზე, რუსთაველის კინოთეატრში, „კარფურში“ ჩვენი ნაწარმი იყიდება. დედაქალაქში, ვისაც მოაქვს ჩვენი პროდუქცია, მკაცრად ვამოწმებთ. ჩვენი მთავარი მოთხოვნაა ხარისხის და სიროფის დოზირების დაცვა. ფასებს კაფეების თუ მაღაზიების მეპატრონეები ადგენენ, მაგრამ ყველასთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს.

— რადგან ხარისხი ახსენეთ, ალბათ, ფალსიფიცირების შემთხვევებიც გაქვთ.

— სამწუხაროდ, ბევრი ცდილობს ჩვენი სახელი გამოიყენონ და ამზადებენ ფალსიფიცირებულ ნაწარმს. 2009 წელს რუსეთის საარბიტრაჟო სასამართლოში პროცესი მოვუგეთ ყოფილ მინისტრს გურამ აფსანძეს, ვინმე რამაზ ლაღიძესთან ერთად, რომელიც თავს მიტროფანე ლაღიძის შვილიშვილად ასაღებდა თავს, დაიწყეს ლიმონათის ჩამოსხმა. არის ასეთი შპს „ლაღი“, რომელმაც 2001 წელს დაიწყო ლიმონათის ჩამოსხმა. ხალხს ატყუებდნენ, „ლაღიძის წყლების“ შვილობილი ფირმა ვართო. ჩვენი ბოთლის ნიმუშიც კი მიითვისეს. საქპატენტში ვუჩივლეთ და მოვუგეთ პროცესი. ფალსიფიცირება 10-ათასიანი ჯარიმით ისჯება, ამიტომ ვეუბნები მათ, რა ურჩევნიათ, პატიოსნად ითანამშრომლონ ჩვენთან, რაც მეტ მოგებას მოუტანთ, თუ ჯარიმების გადახდა ურჩევნიათ? იგივე „ლაღმა“ ახლა სიროფების გამოშვებაც დაიწყო, რისი უფლებაც მათ არ აქვთ.

... კოსტავას ქუჩაზე „ლაღიძის წყლების“ მაღაზიაში შევედი. თითქმის ცარიელი იყო. ხალხის ნაკლებობაზე მეტად გამყიდველი ქალბატონის ნათქვამი მომწვდა გულზე – ზოგიერთი სტუმარი, განსაკუთრებით ახალგაზრდები, ჩვენთან „კოკა-კოლას“ ითხოვენო. სამწუხარო ფაქტია, რომ ჩვენმა ახალგაზრდობამ არ იცის, თუ რა განძის პატრონები ვართ, რომელსაც „ლაღიძის წყლები“ ჰქვია. გასული საუკუნის 80-იან წლებში „ლაღიძის წყლებში“ შესული ასეთ შემთხვევას წავაწყდი. ვიღაც უცხოელი ახალგაზრდა წყალს უზომოდ ბევრს სვამდა, რაზეც გამყიდველი წუხდა, ცუდად არ გახდესო. მართალია, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ შარშან ხელახლა მიანიჭა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი, მაგრამ მთავარი მაინც რუსთაველზე „ლაღიძის წყლების“ მაღაზიის დაბრუნებაა. თუ მართლა დაინტერესებულია დავით ნარმანია თბილისს დავუბრუნოთ კოლორიტული ძეგლი, დარწმუნებული ვარ, მთელი საქართველო მხარს დაუჭერს და მერიც საკუთარ იმიჯს ათმაგადაც გაზრდის.

გია ბურდული
551 71 27 07

1. ქალაქი ლიტვაში
2. ქუთაისის უბანი
3. სანკ-პეტერბურგის სადერბურთო გუნდი
4. ვინ სელექციას მისდევს
5. ოუგოსლავიის ყოფილი ლიდერი ოსიფ ბროზ ...
6. სამაგშვო მალაზიათა ჭაელი თბილისში
7. სატვირთო გემის კაპიტანი
8. დაწერილი, ან დაბეჭდილი თხზულება
9. ზღვაში შეჭრილი ხმელეთის ნაწილი
10. „ცენტრ პოინტის“ მშენებლობა „ორთაჭალის ...“
11. ბულბულის ხმიანობა
12. მატერიკი
13. სქელკანიანი გოგრა
14. ყველაზე პრესტიჟული პრემიის დამაარსებელი
15. ჰოლივუდის მსახიობი როჯერ . . .
16. იგივეა, რაც კოკორი
17. მსახიობი ... კრუზი
18. აფრიკული შაბმანი გველი
19. ბალეტის მოცეკვავე მამაკაცი
20. მწვერვალი კავკასიონზე
21. დედნიდან გადაღებული ასლი
22. ფეხსაცმლის საპირე ტყავი
23. ტბა რუსეთში
24. მატყლის წვის სუნი
25. წყალბურთი
26. უდიდესი ძუძუმწოვარა
27. ზღაპრული არსება
28. მეცნიერება ბავშვთა მკურნალობის შესახებ
29. ესპანეთის ნაკრების ფეხბურთელი
30. ფეხსაცმელი ფიგურული სრიალოსათვის ყინულზე
31. ამ ქალაქში მოკლეს კენედი
32. ველოშეჯიბრი
33. ჩოგბურთის მსგავსი თამაში ვოლანით
34. პაკისტანის სახელმწიფოენა
35. დიდი ტოტებიანი მანდალი
36. ჩოგბურთელი მარტინა ...
37. გერმანელების მეტსახელი II მ. ომში
38. უსაფუძვლოდ გამომცხვარი პური
39. ვეტერანი მეკარე ოთარ . . .
40. ფრანგი ფიზიკოსი . . . პასკალი
41. მდინარე აფრიკაში
42. . . . რაზიკაშვილი
43. კავშირგაბმულობის სახე
44. სპარსული პოემა
45. სიკეთე
46. ინგლისელი ფეხბურთელი ემლი . . .
47. აკადემიკოსი ქალი . . . ლორთქიფანიძე
48. ევროპის პატარა ქვეყანა
49. ძილში ლაპარაკი
50. ევროპის ფეხბურთის ფედერაცია
51. თურქული საფეარი
52. ამ ქალაქში იწვრთნებოდა სპარტაკი
53. სახის ნაწილი
54. სამოვრების აზერბაიჯანში
55. რუს კომენისტთა გაზეთი
56. ბელგიის დედაქალაქი
57. კუთხის ტრიგონომეტრიული ფუნქცია
58. ვინც დისერტაციას იცავს
59. მიმეანი
60. გერმანელი ქალბატონის ხსენება
61. უელსის დედაქალაქი
62. მსახიობი . . . სმიტი
63. რომის „ჩექმებიანი“ იმპერატორი
64. მრგვალი ბრტყელი ქვა
65. ინგლისის ელჩი საქართველოში
66. საჭირაო ეტლი ინგლისში
67. რუსული წარმოების მაცივარი
68. გატაცების საწინააღმდეგო რადიომოწყობილობა ავტომობილში
69. მსახიობი ქალი . . . მასტროიანი
70. სამი გოჭიდან ერთ-ერთი
71. აპრილის ძველი სახელი

ოთხსიტყვიანი



ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ: აბაზი, მაფია, ნაივი, ტოკიო, არბატი, აპოხტი, გილდია, დუმილი, ლაღიძე, პრიორი, რაკეტა, სიგარა, ღრიალი, ყადაღა, ჩანახი, ხარიხა, სერაფიმი.

ᲗᲐᲠᲐᲨᲣᲚᲐᲓ: ადექი, აღაპი, გალუა, არმანი, ასკეტი, ბრაუნი, ვალერი, ზღარბი, კენედი, ორხევი, ტიგრან, ფარავგა, ჭიჭიკო, ჯაპანა, პიტაჩი, პარიტეტი, ტრიპტიხი.

სამიდან ერთი



ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ: 1. დელონი, ხუჭუჭა, მოდელი. 2. შამოტი, ჯაგარი, თემიდა. 3. მარიკა, ხელეჩო, პომადა. 4. კლიშე, ელიბო, უნაბი. 5. ალაგე, სკოჩი, ჭყონი. 6. ანოდი, იმედი, ალისა. 11. კრაჭუნი, ანაკლია, ტრეზეგე. 12. პეტარდა, კარმენი, პეტროფი. 13. კორდონი, ბულსარა, დამასხი. 14. ბეკონი, დელონი, იარისი. 15. მასალა, ხალათი, ყეყეჩი. 16. გუმანი, მოდული, ლაფარო.

ᲗᲐᲠᲐᲨᲣᲚᲐᲓ: 3. დელეგატი, შალაშინი, მათუსალა. 7. ბუნება, ქედანი, ტალახი. 8. დოლომიტი, რამადანი, კაპიტალი. 9. სულელი, ბორანი, ბუტიკი. 10. კლაიპედა, ციციკორე, ჭალადიდი. 14. ბოჰემა, ბელელი, ბახალა. 17. მენდესი, ფანტომი, კამზოლი. 18. დებოში, სამარა, კოლოფი. 19. კლარუსი, ტრიტონი, პროტონი. 20. კომუნა, მორალი, ნათურა. 21. სიცილია, კოკარდა, ლატარია.

ფიფქვოანდი



ა–9 ს–
ბ– ტ–
გ– უ–5
დ– ფ–
ე–22 ქ–
ვ– ღ–
ზ– ყ–
თ– შ–16
ი–1 ჩ–
კ– ცკ–
ლ–4 ძ–
მ– წ–
ნ– ჭ–
ო–24 ხ–25
პ– ჯ–
ჟ– ჰ–
რ–3

14 წლის მუსტაფა ჰუსეინი – 21-ე საუკუნის ყველაზე მამაცი და უშიშარი ბავშვი

2003 წლის მარტში დაიწყო ომი, რომელშიც ამერიკის შეერთებული შტატები და დასავლური კოალიცია დაუპირისპირდა სადამ ჰუსეინის დიქტატორულ მმართველობას.

ბრძოლა ხანგრძლივი გამოდგა და დიდი მსხვერპლის ფასად, მეცხვარის ოჯახში დაბადებული, შემდეგში კი ერაყის დიქტატორად შემდგარი – სადამ ჰუსეინ აბდ ალ-მეჯიდ ალ-ტიკრიტი იქნა ჩამოშრეული ხელისუფლებას.

ეს ისტორია თითქოსდა ნაცნობია და დიდ სიახლეს არ შეიცავს, თუმცა ცოტა თქვენთაგანმა თუ იცის, რომ ჰუსეინს ჰყავდა 14 წლის შვილიშვილი, რომელიც ამერიკელ ჯარისკაცებთან შეტაკების დროს გმირულად დაიღუპა.

დიახ, 14 წლის მუსტაფა სადამ ჰუსეინი, გახლდათ ის პიროვნება, რომელმაც, სასწაულებრივ, ეულად ამერიკის შეერთებული შტატების 400-მდე მებრძოლს გაუწია მედგარი წინააღმდეგობა და რამდენიმე საათიანი შერკინების შედეგან იქნა მოკლული.

2003 წლის ივლისში, ამერიკელმა მეომრებმა შტურმით აიღეს ერაყის ჩრდილოეთით მდებარე ქალაქი მოსული. ამ ქალაქში მდებარეობდა სადამ ჰუსეინის ერთ-ერთი თანამებრძოლისა და სახელმწიფო მოხელის შეიხ ნავაფა ზეიდანის რეზიდენცია, სადაც თავს აფარებდნენ სადამ ჰუსეინის შვილები ქუსეი და უდეა, ასევე მისი შვილიშვილი მუსტაფა.

14 წლის ყმაწვილი იყო უკანასკნელი სულიერი არსება, რომელიც გაებრძოლა ამერიკელ მეომრებს, შეიხ ზეიდანის სასახლის აღების დროს. რადგან პირველივე შტურმის შედეგად დაიღუპა ყველა სასახლეში მყოფი ადამიანი. მუსტაფამ იარაღით ხელში, იმ ოთახს შეაფარა თავი, სადაც მისი მამის, ბიძის და მათი პირადი დაცვის უფროსის გვამები იყო და მოსახერხებელი პოზიცია დაიკავა მტრის საწინააღმდეგოდ თავის დასაცავად.

ამერიკელ ჯარისკაცთა მტკიცებით, როცა ისინი სახლში „გასაწმენდად“ შევიდნენ მათ ცეცხლი გაუხსნეს. შეტაკება 6 საათი გაგრძელდა და 14 ამერიკელი ჯარსკაცის დაღუპვის და ორი ათეული მებრძოლის დაჭრის შემდეგ, ამერიკელებმა მტერი გაანადგურეს.

„ჩვენ ვფიქრობდით, რომ ჩვენ წინაშე რამდენიმე კარგად გაწრთვნილი მეომარი იბრძოდა, რადგან რამდენიმე საათი პოზიციის შეცვლას ვერ ვახერხებდით. მაგრამ ბოლოს, როცა შევედით და დავათვალიერეთ მეტოქის დისლოკაციის ადგილი, აღმოჩნდა, რომ ჩვენ 6 საათიან ბრძოლას, 14 წლის ნამდვილ გმირ ბიჭუნასთან ვაწარმოებდით. ჩვენ თავიდან არ დავიჯერეთ, თუმცა ყველა ფაქტი ამაზე მიუთითებდა. ის მედგრად იცავდა თავს, მიუხედავად იმისა, რომ მან თვალწინ იხილა მშობლის და ახლობლების სიკვდილი, ის ამით ბავშვურ პანიკაში არ ჩავარდნილა, არამედ ნამდვილი ვაჟკაცის დარად იარაღით დაიცვა სახელი და სიცოცხლე“ – განაცხადა ამერიკელმა ჯარისკაცმა, რომელიც პირადად ესწრებოდა ზეიდანის სასახლის შტურმით აღებას.

მართლაც დაუჯერებელი რამ ჩაიდინა მცირეწლოვანმა მუსტაფა ჰუსეინმა, მან გმირულად გაიბრძოლა და მისი ეს გმირული საქციელი მტრის თვალშიაც საქები და მოსაწონი აღმოჩნდა.

ბავშვმა სნაიპერული შაშხანით ხელში რამდენიმე საათიანი ბრძოლა გაუჩაღა ოთხ ასეულ ამერიკელ მეომარს, რომლებიც კბილებამდე შეიარაღებულნი და ასევე რამდენიმე წლიანი სამხედრო გამოცდილების მქონენი იყვნენ და ამ გამორჩეული ქმედებით 14 წლის ბავშვმა საუდამო ადგილი დაიმკვიდრა, არამხოლოდ ერაყის არამედ მსოფლიო ისტორიაში.

რამდნეიმე დღის წინ მუსტაფა ჰუსეინი **New York Times**-მა „21 საუკუნის ყველაზე მამაც და უშიშარ ბავშვად“ დაასახელა.

ამ გიგანტმა გამომცემლობამ მუსტაფას მიუძღვნა მთელი ვრცელი სტატია, რომელშიც დასკვნის სახით ნათქვამია, რომ: „..ჩვენ რომ მსგავსი ბიოგრაფიის ბავშვი გვყოლოდა, ჩვენ მას ამერიკის ყოველი შტატის, თითოეულ ქალაქში დავუდგამდით ძეგლს. მის გმირობაზე ყველგან და ყოველთვის ვისაუბრებდით და მას მისი ასაკის და არამარტო(ავტ.) მოზარდებისთვის ნამდვილ მისაბაძ მაგალითად ვაქცევდით. თუმცა მისი ისტორია და სახელი დავიწყებას მიეცა”.

დიახ, ასეა ყველაფერს თავისი ფასი აქვს, ეგეთი ბედი უწერია დამარცხებულ მხარეს, მიუხედავად იმისა, თუ როგორ იბრძოდა, ის გამარჯვებული მეტოქის ჩრდილში იკარგება სამუდამოდ, მისი გმირული საქციელები ნელ-ნელა დროის დინებასთან ერთად ფერმკრთალდება, მხოლოდ გამარჯვებული და მისი ისტორიაა გმირული საქციელებით მოცული.

`saerTo gazeTis~ iuridiuli konsultacia

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი

მთვარისა კევლიშვილი.
ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69

* * *

–განქორწინებას ვაპირებ მეუღლესთან. შესაძლებელია თუ არა, ეს მოხდეს სასამართლოს გარეშე?

–დიახ, ეს შესაძლებელია, თუ არსებობს ორი პირობა: 1. ორივენი თანახმა უნდა ოყოთ განქორწინებაზე და 2. არ უნდა გქონდეთ ქონებრივი დავა, ყოველ შემთხვევაში, განქორწინების ეტაპზე.

თუ არსებობს ეს ორი აუცილებელი პირობა, შეგიძლიათ მიმართოთ სამოქალაქო რეესტრის ორგანოს თქვენი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. გადაიხდით სახელმწიფო ბაჟს 45 ლარის ოდენობით და სააგენტო კანონით დადგენილი წესით მოახდენს თქვენს განქორწინებას.

* * *

—ჩემი ქალიშვილი განქორწინებულია მეუღლესთან. მათ ჰყავთ ერთი მცირეწლოვანი შვილი, რომელიც ჩემს ქალიშვილთან ცხოვრობს. ჩემი ქალიშვილი აპირებს საზღვარგარეთ წასვლას და სურს ბავშვის წაყვანაც. ბავშვის წაყვანის წინააღმდეგია ჩემი ყოფილი სიძე. არის თუ არა სავალდებულო მისი თანმობა მოცემულ შემთხვევაში და თუ არის, გთხოვთ გვითხრათ, არსებობს თუ არა ბავშვის საზღვარგარეთ გაყვანის რაიმე სამართლებრივი მექანიზმი, ერთ–ერთი მშობლის უარის შემთხვევაში?

–როდესაც ერთ–ერთ მშობელს საზღვარგარეთ მიჰყავს შვილი, აუცილებელია მეორე მშობლის თანხმობა. არსებობს გამონაკლისი: შეგიძლიათ სარჩელით მიმართოთ სასამართლოს ბავშვის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. თუ თქვენი ქალიშვილი საფუძვლიანად დაასაბუთებს, რომ საზღვარგარეთ წაყვანა ბავშვის ინტერესებისათვის ხდება, შესაძლოა, სასამართლომ ეს საკითხი გადაწყვიტოს თქვენს სასარგებლოდ.

* * *

– შეიძლება თუ არა ქონებრივი დავა განიხილოს არბიტრაჟმა?

– შეიძლება. დაგიკონკრეტებთ:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-12 მუხლის შესაბამისად, პირთა თანასწორობაზე დამყარებული კერძო ხასიათის ქონებრივი დავა, რომლის მოწესრიგებაც მხარეებს შეუძლიათ ერთმანეთს შორის, მხარეთა შეთანხმებით, შეიძლება განსახილველად გადაეცეს არბიტრაჟს.

* * *

– ჩემმა შვილმა პირობითი სასჯელის პერიოდში ჩაიდინა ნაკლებად მძიმე განზრახი დანაშაული და ამჟამად სასჯელს იხდის ერთ-ერთ დაწესებულებაში. როდის იქნება შესაძლებელი მისი პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლება?

–როდესაც მოიხდის ფაქტობრივად დანიშნული სასჯელის სამ მეოთხედს.

* * *

—სამოქალაქო კანონმდებლობის მიხედვით, ვინ უნდა აღასრულოს ანდერძი?

–ანდერძის აღსრულების მოვალეობა, ჩვეულებრივ, ანდერძით მემკვიდრეებს ეკისრებათ, რომლებსაც შეუძლიათ ანდერძი ან ერთად აღასრულონ, ან მისი აღსრულება ერთ ან რამდენიმე მემკვიდრეს მიანდონ. თუმცა, შესაძლოა, ანდერძში მითითებული იყოს სხვა პირიც / ან პირები /ანდერძის აღმსრულებლად. ასეთ შემთხვევაში აუცილებელია ამ პირმა ანდერძზე ან მასზე დართულ განცხადებაში წერილობით გამოხატოს თანხმობა. გარდა ამისა, ანდერძის აღმსრულებელს, შეუძლია, ნებისმიერ დროს უარი თქვას თავისი მოვალეობის შესრულებაზე, რის შესახებაც წინასწარ უნდა გააფრთხილოს მემკვიდრეები.

შესაძლოა, ასევე, ანდერძით განისაზღვროს ცალკე მესამე პირი, რომელსაც დაევალება ანდერძის აღმსრულებლის დანიშვნა და მემკვიდრეთათვის აღნიშნულის შეტყობინება.

ავეჯის გადაზიდვა
593 20 46 87

„შხამიანი ბაღი" – ყველაზე საშიში ბაღი მსოფლიოში

აქ თქვენ ვერ ნახავთ ვარდებსა და ქრიზანთემებს, ისევე, როგორც ტიტებს, ნარგიზებსა და იებს; აქ ვერ ნახავთ მარადმწვანე ბუჩქებსა და ხეებს; აქ ვერ ისეირნებთ თავისუფლად, რადგან მეთვალყურეების ფხიზელი თვალი ერთი წუთითაც არ მოგაშორებთ მახვილ მზერას; აქ ყოველი ფეხის ნაბიჯზე გამოკრულია წარწერები მკაცრი გაფრთხილებით, რომ არ შეეხოთ მცენარეებს, რომლებიც ამ იდუმალ ბაღში ხარობენ. თქვენ ფიქრობთ, რომ ამ ბაღში უიშვიათესი ეგზოტიკური მცენარეებია თავმოყრილი? სრულებითაც არა.... ეს ერთ-ერთ ყველაზე საშიში ბაღია მსოფლიოში-ალნვიკას შხამიანი მცენარეების ბაღი.

ბაღი, სადაც თავმოყრილია მკვლელი-მცენარეები, მდებარეობს ინგლისში, ნორტუმბერლენდის საგრაფოში, ალნვიკას ციხესიმაგრის ტერიტორიაზე. მის შესასვლელ ჭიშკარზე გამოსახულია თავის ქალა გადაჯვარედინებული ძვლებით. ბაღში ხარობენ საშიში, უაღრესად შხამიანი მცენარები: მანდრაგორა და თავშავა, კონიო და ჩილიბუხა, ბელადონა და ოპიუმის ყაყაჩო- სულ დაახლოებით ასამდე მცენარე, რომლების გაშენება თქვენს ეზოში სასტიკიდაა აკრძალული, რადგან მათგან აწარმოებენ ნარკოტიკებს ან ისინი შეიცავენ ადამიანის სიცოცხლისათვის საშიშ, მომაკვდინებელ შხამიან ნივთიერებებს.

მიუხედავად იმისა, რომ ალნვიკას შხამიანი ბაღი ამ ცოტაოდენი ხნის წინ დაარსდა, აქაური ბაღებისა და პარკების ისტორიას სათავე შორეულ 1750 წელში აქვს. მხოლოდ ორი ასეული წლის შემდეგ შეივსო ადგილობრივი მებაღეობა იმ შხამიანი მცენარეებით, რომლებზეც წეღან ვისაუბრეთ. ბაღის განახლების ისტორია დაკავშირებულია ნორტანმბერლენდის ახლანდელი ჰერცოგინიას სახელთან. სწორედ ის გახდა 2000 წელს ციხესიმაგრის მფლობელი და მოინდომა ადგილობრივი ბაღის მასშტაბური რეკონსტრუქცია. თავად შხამიან ბაღს საფუძველი უფრო მოგვიანებით, 2005 წელს ჩაეყარა.

ამბობენ, რომ ჰერცოგინიას შხამიანი ბაღის გაშენების იდეა გაუჩნდა წარსულში იტალიის ქალაქ პადუაში არსებული ბაღის მიმბაძველობით, სადაც მედიჩებს გამოჰყავდათ სხვადასხვა შხამიანი მცენარეები. ამ მცენარეებისაგან დამზადებული საწამლავით კი თავიდან იცილებდნენ მტრებს.

თავდაპირველად ბაღში იზრდებოდა სამკურნალო მცენარეებიც, მაგრამ შემდგომში ისინი სხვაგან გადარგეს, რომ ბაღს სავსებით გაემართლებინა "შხამიანის" სახელი.

ტურისტები და მოგზაურები, რომლებიც ინტერესით ნახულობენ ალნვიკის ბაღს, აქ დაიშვებიან მხოლოდ სპეციალური გიდების თანხლებით, რომლებიც ყურადღებით ადევნებენ თვალს, რომ არავინ შეეხოს შხამიან მცენარეებს.

აქ ყველგან გამოკრულია საფრთხის მაუწყებელი წარწერები, უსაფრთოხების მიზნით ბაღის მთელი ტერიტორია სადღეღამისო მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება, ხოლო ზოგიერთი, განსაკუთრებით საშიში მცენარე მავთულხლართებითაა შემოსაზღვრული.

ბაღის მთავარი დანიშნულებაა აჩვენოს ადამიანებს, თუ რა საშიშია ნარკოტიკი. ამაზე ძალიან დაწვრილებით დელიკატურად გიამბობთ გიდი ექსკურსიის დროს.

მიუხედავად იმისა, რომ "შხამიანი ბაღი" სავსებით ამართლებს თავის სახელწოდებას, უნდა ვაღიაროთ, რომ მისი ხედები გასაოცრად ლამაზი და თავლწარმტაცია.

მოამზადა ანა ვადაჭკორიამ

ასტროლოგიური პროგნოზი

ვერძი – უცნობთან დაწყებული თანამშრომლობა თქვენი კარიერისთვის ძალიან სასარგებლო აღმოჩნდება. ფინანსური საკითხების მოგვარებისას არ აჩქარდეთ – უფრო გათვლილი და ბალანსირებული მოქმედება გმართებთ. ოჯახში მომწიფებული კონფლიქტის განმუხტვა მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ.

კურო – ყველას, განსაკუთრებით კი, საკუთარი თავის მიმართ ძალიან მომთხოვნი ხართ და უარს ვერავისგან აიტანთ. გონება კარგად გიმუშავებთ და ფინანსურ პრობლემებს შესანიშნავად აგვარებთ. არ არის გამორიცხული, რომ მოულოდნელად საკმაოდ დიდი ქონების პატრონიც გახდეთ. ოჯახში ძალიან მშვიდა და ჰარმონიული სიტუაცია გაქვთ.

ტყუპები – ტყუპების ენერგეტიკული მდგომარეობა საკმაოდ არამდგრადია და კარგი იქნება, თუ სიმშვიდეს და კეთილგანწყობას შეინარჩუნებთ. თუმცა თქვენს მატერიალურ მდგომარეობაზე წუწუნი ნამდვილად არ მოგიწევთ. ძველი საქმეები ახალ მოგებას მოგიტანთ და ამას შუა კვირაში შეიტყობთ.

კირჩხიბი – სიმშვიდე და გაწონასწორება გჭირდებათ. იმ უამრავი საქმიანი წინადადებიდან, რომლებსაც ამ დღეებში შემოგთავაზებენ, არცერთი ივარგებს და ამდენად, დაფიქრებაც არ ღირს. ოჯახში დაძაბულობის მიზეზი მხოლოდ თქვენ ხართ. თუ არ იტყვით, რა გსურთ, ვერავინ მიხვდება.

ლომი – თუ ამ კვირას ახალი სამსახურებრივი რომანით დაიწყებთ, აუცილებლად გამიჯნეთ ერთმანეთისგან საქმე და პირადი საკითხები. სასიყვარულო ურთიერთობებში კი მართლაც ცხელი დღეები გაქვთ. ისამოვნეთ ცხოვრებით, ოღონდ ზომიერების გრძნობას ნუ დაივიწყებთ.

ქალწული – თქვენი კარიერის საკითხით, ბოლოს და ბოლოს, საკმაოდ კომპეტენტური პირებიც დაინტერესდებიან და დიდი ხნის ნანატრ წარმატებასაც მიაღწევთ. ფინანსურ საკითხებში არსებითი ცვლილებები არ არის, მაგრამ პერსპექტივა მრავლად გაქვთ და ეს გამშვიდებთ.

სასწორი – ერთობლივ პროექტზე იწყებთ მუშაობას, რომელიც აუცილებლად წარმატებით დაგვირგვინდება და ამ საქმიდან სხვებზე მეტად თქვენ ისარგებლებთ. ფინანსების საქმე ნამდვილად გამოსწორების გზაზეა. მეტი მოთმინება გმართებთ. საყვარელ ადამიანთან ურთიერთობაში მართლაც რომ საუკეთესო დღეები გაქვთ.

მორიელი – მხოლოდ კარიერაზე ფიქრობთ და თქვენი პირადი ცხოვრება უკანა პლანზე გადადის. არ არის გამორიცხული, რომ ამის გამო საკმაოდ მნიშვნელოვანი მოვლენა გამოგრჩეთ და გვიან მიხვდეთ. ოჯახში სიმშვიდე და გაგება გჭირდებათ. სიყვარულისთვის კი მართლაც მზად ხართ.

მშვილდოსანი – საქმიანი წინადადებები თითქოს თავზე საყრელად გაქვთ და თქვენ მხოლოდ სწორი არჩევანის გაკეთება გმართებთ.

თხის რქა – ეს კვირა საკმაოდ ნელა და მძიმედ იწყება, მაგრამ ყველასთვის და განსაკუთრებით თქვენთვის, მოულოდნელი შედეგებით დასრულდება. წარმატებაზე, რომელსაც სწორედ ამ დღეებში მიაღწევთ, უკვე დიდი ხანია, ოცნებობდით.

მერწყული – სარისკო საქმეებს, ჯობია თავი აარიდოთ. განსაკუთრებით კი კანონსაწინააღმდეგო ქმედებებს ერიდეთ. ოჯახში თითქმის ერთგვარი გაუცხოება შეინიშნება, მაგრამ დროებით ერთმანეთისგან დასვენება ყველასათვის სასარგებლო აღმოჩნდება.

თევზები – საკმაოდ დაძაბული მოვლენების ცენტრში აღმოჩნდებით და მაქსიმალური შემართების და მოთმინების გამოჩენა მოგიწევთ. ფინანსური საკითხები ამ კვირაში ნაკლებად გადარდებთ, ოჯახის წევრებსაც საკმაოდ სერიოზული პრობლემები აქვთ, მაგრამ კვირის ბოლოსთვის ყველაფერი მოგვარდება.

ISSN 2233-3983

სახალხო მკურნალი (მცენარეული პანაცეა)

ქალბატონი ირმა სიხარულიძე სამედიცინო დარგის მუშაკია, მაგრამ ავადმყოფებს საუკუნეებით გამოცდილი საგვარეულო წამალ-მალამოთი მკურნალობს. იგი წარმატებით კურნავს: ოსტეოქონდროზს, პოლიართრიტს, მწვავე რადიკულიტს, კისრის, მხრის და მენჯ-ბარძაყის მუხლსახსრების ართრიტს; ქვედა კიდურების სისხლძარღვთა შევიწროებას, ე.წ. მარილების დაგროვებას ქუსლისა და ტერფის არეში, დისკოზს, სამწვერა ნერვის ანთებას, შიდა ქალის წნევას.

წამალი მცენარეულია და არანაირი უკუჩვენება არ აქვს.

ნანა თათარაშვილი: მე ერთ-ერთი იმათგანი ვარ ვინც საკუთარ თავზე გამოსცადა ეს წამალი. სახსრების აუტანელ ტკივილს ვგრძნობდი.

სახალხო მკურალ ირმა სიხარულიძესთან. მეათე სეანსის შემდეგ ტკივილი მთლიანად გამიქრა, აღმიდგა შრომისუნარიანობა, გამიუმჯობესდა სისხლის მოძრაობა.

ქალბატონ ირმასთან განიკურნა ცნობილი მსახიობი ლეილა აბაშიძე, მსოფლიო ჩემპიონი დიტო შანიძე, დამსახურებული პედაგოგი ნანული მელიქიშვილი, რეჟისორი ლილი ჯიქიძე, მწერალი მერაბ შათირი და სხვა მრავალი.

დიტო შანიძე: ყოფილი მსოფლიო ჩემპიონი ვარ მძლეოსნობაში. ახალგაზრდობაში რამდენიმე სერიოზული ტრავმა მივიღე. ათასგვარი მკურნალობით თავმობეზრებულს განკურნების დიდი იმედი არ მქონდა. ირმა სიხარულიძესთან 20-დღიანი მკურნალობის შემდეგ კი შედეგი აშკარა იყო და მეც ვაღიარე ამ წამლის ძალა.

მანანა ჩხიკვიშვილი: ექიმებმა დამისვეს ართროზის ანუ კოქსართროზის საწყისი ფორმის დიაგნოზი. თხუთმეტდღიანი კურსის შემდეგ მე, ფაქტობრივად, განვიკურნე. მთელი ცხოვრება ქალბატონი ირმას მადლიერი ვიქნები.

მიმართეთ და ენდეთ ირმა სიხარულიძეს. მას შეგიძლიათ დაუკავშირდეთ:
ქ. თბილისი, ფოთის ქ.№2 (მეტრო წერეთელთან) ტელ: 557 358 900, 34 21 63